

# დასუჰასუჰაჰა საქარსუჰაჰა



საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტი \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

28 თებერვალი, 2014 წ.

№8 (3694)

ბამონის 78-ე წელი

ფასი 1 ლარი

*მე მარცხი  
დავიდა დავიდა!  
გაერთიანდით!*

გაზაფხული შემოსულა, ლენ,  
ბუდეები გაუნყვიათ ჩიტებს...  
მე გიყიდი წითელ-ყვითელ ჩიტებს,  
თეთრი ტილო მომიქარგე შენ!  
გაზაფხული შემოსულა, ლენ!

მოგანატრე სათიბი და ტყე,  
სუნი ქუსლით გასრესილი ანწლის,  
შორს გუმბათი ბეთანიის ტაძრის  
და ცისფერი, უბორკილო დღე...  
მოგანატრე სათიბი და ტყე!

ანი აღარ გაგაჩერებ შინ,  
ანი ოჯახს ვერ დარქმევ „დილეგს“,  
მკვირცხლი ბიჭი შეუყენე ბილიკს —  
მწევარივით გამიბტუნე წინ!  
ანი აღარ გაგაჩერებ შინ!

გაზაფხული შემოსულა, ლენ,  
რია-რია გაუმართავთ ჩიტებს...  
მე გიყიდი ყვავილიან ჩიტებს,  
თეთრი ტილო მომიქარგე შენ!  
გაზაფხული შემოსულა, ლენ!

*მურმან ლებანიძე*



# სულსახელი ლექსები

## და სიტყვა...

და სიტყვა: ავად ყოფნის მარილი...  
და სიტყვა: იგრძენ, სინჯე და ხარჯე...  
და სიტყვა: საღვთო საჩუქარით...  
და სიტყვა: შენ რო გიღერებს ხანჯრებს!..

ის წამი, როცა აღარ ეკუთვნი  
თავისთავს, როცა ყოფნას ინანი...  
როცა შიგ სულში გტკივა კუნთები...  
და გკარნახობენ კაცნი წინანი  
სიტყვებს: შავეთის ლოკე მარილი...  
სიტყვებს: ქრილობა იგრძენ ამ ღამით...  
და სიტყვა: თითქოს გველის ქარივით...  
და სიტყვა: უფლის თვალთა ხამხამი!..

## მთავის მდინარე

მარტომგზავრია ეს მდინარე:  
ხევეს სვამს და  
წყაროებს სვამს და  
მთების ცრემლებს ირევს ტიალი...

და მარტო მიდის:  
მთების ფესვებს გულზე აჩნია  
მისი სველი ნატერფალები...

და ჩერდება მორევებთან:  
წყლის სარკეში თავისთავის დანახვას ცდილობს:  
თავისთავში თავისთავის დანახვას ცდილობს  
და ვერ ახერხებს...  
და კვლავ მიდის, მიდის და მიდის:  
ისიც ლეთეს უახლოვდება!

●  
წარსულის გმინვა ავიდა ცამდი.  
დავყურებ დროის პირშავ ნატერფალს:  
ის სისხლის წვიმა თვალეში ჩამდის:  
შენთვის დასალერულ სისხლს ემატება!

## სიტყვის თავისუფლება

ეს სიტყვა უცებ გაჯიუტდა და  
დანყველილმა  
უკვე ხელი გადამიგრიხა!

მოდი,  
გავგზავნი მას დროებით თავშესაფარში:  
უჯრაში,  
სადაც ნაცარი ყრია,  
სადაც ქაღალდის უდაბნო კვნესის...

უარყოფილი პოეზიის სასაფლაოზე,  
აღბათ, ეს სიტყვა თავს მოიკლავს და  
თავის ძირძველ სიჯიუტეს დააბრალებს  
სუიციდის გარდუვალობას!

ვერაფერს ეტყვი:  
ის ხომ უფრო შემძლეა და თავისუფალი  
იმ წინაპარზე უფრო მეტად,  
ვინც შოთაის,  
ვინც ვაჟაის,  
ვინც გალაის  
გულში ასე არ ჯიუტობდა!

●  
შენ ეს სტრიქონი დარდში გაცვალე:  
თან გაატანე ჟამთა სიავე...  
და თვლი, დამარცვლავ ფიქრში ნანვალე  
სიტყვას, ბევრი რომ ელოლიავე...

გულში რომ ზარდე და უდაბნოში  
დარგე და მერე რწყავდი ცრემლებით...  
შუალამეში დარდებს წამოშლით  
თქვენ ორნი: ზამთრის ღამისმთევლები:

შენ და სიტყვა და შენ და სტრიქონი,  
შენ და ეს მწუხრი, განუჭვრეტელი...  
ჩამოქროლილი ლექსი ქორივით...  
და დარდი, როგორც შავი კედელი...

## რალაც

და ყოველდღე,  
და ყოველ ღამე  
შენში, შენში იზრდება რალაც:  
არა ფიქრი,  
არა ხსოვნა,  
არა სტრიქონი,  
არა ლექსი, ღვთითდანყველილი...

არამედ: დარდი:  
ფიქრის, ხსოვნის,  
და წარსულის,  
და მამულის საღვთო ფესვივით...

სულ მალე იგრძნობ,  
რომ ის ფესვი  
შენს ოხერ გულს ჩაეტოტება!

## მოლოდინი

არაგვო, სიტყვებს მირჩევ ბრძენივით.  
გულს გახევეს შენი მთების ხარხარი,  
ისიც: დღესაც რო ზურგზე ვიგრძენი  
შენი ტალღების ნამათრახალი!

მწარეა ხსოვნა, ოქროდ რომ ფასობს:  
ის ხსოვნა მტკივა ნახანჯრალივით...  
მინდა, რო სისხლი ვასესხო წარსულს  
და ძველი გზების ვლოკო მარილი!

ვინ იცის, კიდევ რალა მოგველის,  
ჩაგვეტოტება ძველი წყურვილი:  
დიდგორი: სისხლის დაუზოგველი,  
კრწანისის მინა: სისხლდანურვილი...

დარდის მოტივით გულებს დატოტინის  
მკვდართა მზის ცრემლი, მთებზე ცურვილი...

## ჩემი სტუმრები

*ვცხოვრობ ეული, სულის მეობად  
მყავს სიმარტოვე...  
ვან ვეი*


სიმარტოვეც მყავს და ვან ვეიც  
და კიდევ ისიც:  
ჩემკენ ხელებგამოწვდილი ტაო ძიანი...  
ჩემს ღამეში რომ გამოიძინეს  
და სიმარტოვის საერთო ზეცა  
სიტყვებით რომ მოავარსკვლავეს...

ჩემი სტუმრები  
პოეტები:  
ჩინმიჩინის ისტორიის შუალამიდან...  
სუყველას გულზე ანერია  
მარტოობის იეროგლიფი:  
ეს არის მათი ნალვლიანი ბიოგრაფია...

მარტოობის უკვდავ არწივებს  
გაკვირვებით ჩემი თავიც და ერთმანეთიც...  
და უკვირთ კიდევ:  
ჩემი ქოხის პირქუშ კედელზე  
ვაჟა-ფშაველას სურათები,  
მარტოობაში დაღვრილ ცრემლში და  
მარტოობაში დაღვრილ სისხლში პირნაბანები...

ორნახადს დავლევთ და მოვიგონებთ იმას,  
ვინც მილოს მღვრიე ტალღებს თავი აჩუქა...  
იმას,  
ვინც მშვიდი ოკეანის გრილ სარკეში შეაბიჯა და  
იქ რომ დარჩა სამარადისოდ!  
იმას,  
ვინც სიზმრებს გადაუგდო შავი არაგვი:  
თეთრ უდაბნოს რომ რწყავს გამეტებით!..

ჩემი სტუმრები:  
ძველისძველი სიმარტოვე და...  
პოეტები:  
ჩინმიჩინის ისტორიის შუალამიდან...



ჯარჯი ფხოველი

## მწყაესი

ხელს გამოგინვდის სიტყვა ქარმაგი:  
შენ უნდა მწყემსო სისხლში ნავლები...  
ქართული ენა გიხდის ჯამაგირს:  
ცას მოგიზომავს ღმერთის მტკავლებით...

შენია ეს ცა: უფლის ნაკურთხი:  
ზედ აინვდება სხივი ხმალივით...  
თვალთ მოივლი ვარსკვლავ-კუთხეებს,  
მზერას შეგატრის მთვარის ნალევი...

და იგრძნობ ზეცას, როგორც ბუ დარანს.  
თან შავეთის ქარს იგრძნობ მალევე...  
მინა ჩაგაცმევს ღამის სუდარას  
და ვარსკვლავები შენს სისხლს დალევენ!

მზეს დაიგულე გულის მაგიერ,  
იგრძნობ, რომ საღვთო საქმეს შეები...  
მწყემსო, ჟამი-ჟამ დათვლი ჯამაგირს:  
შენია ზეცის ლურჯი ღრები!

●  
გეტყვი: არ იცის ჟამმა დანდობა:  
მიენდე, მაგრამ წლებმა გაგსენეს...  
ჩემი სიტყვები შენზე დარდობენ:  
დავცქერ სტრიქონებს, ცრემლით სასვეებს...

ობოლჩიტვით სული გიტირის,  
მწუხრში დატოტინი მინას, ნახმელობს...  
რომ დამხვდი: გულმა ვერ დაგიტია,  
შავდარდო შავო და შავნალველო!

## ყმუილი

აქ მგლის ყმუილი მოგენატრება,  
როცა ის ერთი სიტყვა გშია,  
რო მოძებნი  
და ვერ იპოვი!

გახვრეტილი ჯიბის სინდრომს მოიმიზეზებ,  
ან სიბერის გულმავინყობას...  
ან სხვა რამეს მოიგონებ: ღვთითდანყველილ  
ამქვეყანაში  
მიზეზი ხომ სულ იოლად დაიძებნება...

იმ სიტყვას რო ვერ იპოვი,  
ეს სურვილი დაგემსჭვალება:  
ნეტავ, მგლის სიტყვა  
დამემსჭვალოს სულის სიღრმეში  
და იქ დარჩეს თავზარდამცემი,  
სხვამ რო ვერავინ გაიგონოს  
ეს ყმუილი ამქვეყანაზე!



# ლევან ვასაკიძე

## სისხლის ლექსები

ნელა-ნელა ინერება  
გულის სისხლის ლექსები,  
კრეტსაბმელთან ილვენთება  
მოლოდინი შეხების.

„მზე შინა და მზე გარეთა“ –  
სული ხორცში მარტილობს,  
ერთად ყოფნას ერთადერთად  
ქართულობს და ადვილობს.

რომ ვიცოდე, მეგობარო,  
რად აქვს გემო მაყვლისა  
ღვინოს თიხით შემობარულს,  
სადარს შვების საყდრისა.

სადარს მისი მომგონების  
გულის გონის ნადები,  
მოკისკისე გოგონების  
ბიჭის თვალში ჩამგდები.

რომ შემეძლოს ქართველობა,  
განა არ ვინდომებდი,  
ამ მარგვლას და ამ რთველობას  
განა მოვიძღომებდი.

ხარბად ვკრავდი დროს მარჯვენას,  
დავამსხვრევედი ბორკილებს,  
გავმართავდი გასაფრენად  
ლექსებს – ეჭვით თოკილებს...

ნელა-ნელა ინერება,  
კია, სისხლის ლექსები...

## ზამთარი ასურალი მამის საპანეში

ჩამომსხვრეულ ქართლის სიზმრებს  
ველარ სწვდება ფიქრები,  
მტკვარი არაგვს ცრემლად ირწევს,  
კარსანს სცვივა ფიფქები.

მოკანკალე თრიალეთის  
ჭირნახულით ხსნილება  
და ქალაქურ ჯოჯოხეთის  
უსირცხვილო ლხინება.

რა სასტიკად დალეულა  
საქართველოს მიწები,  
ქარის რონინს მთვარეულად  
უცქერს გაფაციცებით

მიტოვებულ სახლთა ჯარი  
გამოფატრულ თვალებით –  
სული ალა-მაჰმად-ხანის  
ნატირები ქალების.

ცრემლით ვზივარ ცივ მიწაზე,  
ზურგს მიბურძღვავს ზარები,  
კანრავს ყვავი წრეებს ცაზე,  
მიცდის და ვებრალები:

მეც ამ ზვარებს ვენირები,  
მათ თუთუნში ვინთქმები,  
ალარაფერს ველოდები,  
ალარავინ ვიქნები.

ყველა ბგერა ამაოა,  
ყველა ბგერა შემდება,  
ყველაფერი სადავოა,  
ყველაფერი გეშლება.

უნამუსოს ყველა ბოდვას  
დარქმევია უფლება  
და მემრუშე სულის მოდგმა  
ყმანვილებს ეუფლება.

ვაჟკაცს სძინავს, ბავშვი ტირის,  
მსცოვანები დუმობენ,  
ან სტუმარი რას მიყვირის  
ან რაებზე ხუმრობენ.

რატომ ვირჩევ შერჩეულებს,  
მერამდენედ ვტყუვდები,  
ვასაფლავებ ერთეულებს  
და ფერხულში ვბრუნდები.

ვაჰ, რამსიგრძე ზამთარია,  
საუკუნე გავიდა,  
რაც არაა გამხარია  
და სულ ვინყებ თავიდან.

კვლავ მარტო ვარ იმედებით,  
შეცდომების ჩამდენი,  
ვიმსხვრევი და ვიხედნები,  
როგორც კერპი ზადენის.

და ცოდვისგან ნათოვ თავს ზე  
ზღვებად გაშლილ სამყაროს  
ვედრი მშობელ ქვეყანაზე –  
ხელისგულზე ატაროს,

ჩვენ ვერ ვუვლით – მან ჩაიკრას,  
ჩვენ არ ვიცავთ – მან სცადოს,  
ჩვენგან იგი მან დაიცვას  
და აღდგომა აცადოს.

მე დამმარხოს გულაღმა და  
მონყინებით მმლერალი,  
ყინვის ცაზე უხვ ნამადა  
მოფენილთა მცქერალი.

ოჰ, რამსიგრძე ზამთარია,  
საუკუნე გავიდა,  
რაც არაა გამხარია  
და არც არაა მინდა.

# რა უთქვამს... რა „ნიბნი“ დაუნერია...

დიდი ილია ჭავჭავაძის წერილში „ნუ-  
თუ?“ ერთ-ერთი განსაკუთრებულად  
დასამახსოვრებელი, ყველასთვის სა-  
ცოდნელი ნააზრევი ასეთია: „არის ზო-  
გიერთი იმისთანა ზნეობრივი კანონი,  
რომელიც კაცთა ერთმანეთობით ცხოვ-  
რებას საძირკვლად უდევს და რომელიც  
ყველასთვის ერთნაირად სავალდებუ-  
ლოა, რა დასისა და რწმენისაც გინდა  
იყოს და ერთი იმ კანონთაგანი ის არის,  
რომ რაც შენ არ გინდა მოგივიდეს, იმას  
ნურც სხვისთვის მოინდომებ“.

ეს გაუხუნარი შეგონება ამჟამინდე-  
ლი ცხოვრების მიღმა ვერ იქნება, რად-  
გან კარგა გვარაიანად დასანანი, უღირსი  
მოვლენები ხდება. იქმნება შთაბეჭდი-  
ლება, რომ ცალკეულ პიროვნებათათვის  
სამშობლოს ბედი უფრო ცოტაა, ვიდრე  
პირადული მისწრაფებანი. არადა, დღეს,  
როგორც არასდროს, ერთად ყოფნა, ერ-  
თიან ფერხულში ჩაბმა ბევრად საიმედო  
და სასურველია.

„ლიტერატურულ საქართველოში“  
ბოლო ხანს გამოქვეყნებული წერილე-  
ბი, მართლაც, მრავლისმარჯვებელია.  
ამ მხრივ უდავოდ მოსახონია და გულ-  
თან მისატანი საქართველოს მწერალ-  
თა ეროვნული აკადემიის წევრის, პოეტ  
ავთო ჩხაიძის პუბლიკაცია „ვინ და რო-  
გორ ებრძვის კულტურისა და ძეგლთა  
დაცვის მინისტრს, მწერალ გურამ ოდი-  
შარიას“?

ცხადია, რომ ადამიანთა ნაწილი,  
გაურკვეველი სულისკვეთებით შეპყ-  
რობილი, ნიადაგ იმის ცდაშია, ხალხში  
მცდარი, შეუსაბამო განწყობილება და-

ნერგოს, ყოველივე ამას იყენებენ კერძო  
ინტერესებისთვის, ეძებენ გზებს, რომ  
კვლავაც ნაეპოტინონ დაკარგულ პრი-  
ვილეგიებს.

მაგრამ უხერხემლოა ეს ჩანაფიქრი,  
რადგან ჩვენი ხალხი გონიერია, არასგ-  
ზით არ დაუშვებს ქართული სულიერე-  
ბის, ეროვნულობის ნაბიღვის ავადსახ-  
სენებელი წლების განმეორებას.

და, რა თქმა უნდა, ვერ მივემხრობით  
უსწორო, მახეზღარ და შურისმაძიებ-  
ლურ კრიტიკომანიას. ამგვარი ტენდენ-  
ციები უსარგებლოა და მომწამვლელი  
ჩვენი საზოგადოების, მეტადრე ახალ-  
გაზრდობისთვის. ჩვენს ჭაბუკებსა და  
ქალიშვილებს კარგად უნდა შევასმი-  
ნოთ, რა არის ღირსება, ნამდვილი პატ-  
რიოტული, მოქალაქეობრივი გულოვა-  
ნება და, საერთოდ, ადამიანური ცხოვ-  
რების უტყუარი მიმართულება.

მადლიერების გრძნობა გვიჩნდება  
ცნობილი მწერლის თეიმურაზ ლანჩავას  
მიმართ წერილისთვის „სიყვარულს გუ-  
ლი სჭირდება“. მის გონიერებით აღსავსე  
წარწერაში ნათლად გამოჩნდა, თუ რანაი-  
რად შეუძლიათ ზოგიერთებს სიმართ-  
ლე, ჭეშმარიტება მიაფუჩეჩონ, სამაგა-  
ლითო საქმეები მრუდედ დაასურათონ.

სწორედ ასეთ უგული ადამიანთა შე-  
სახებ თუ ბრძანებს რუსთაველი: „რა  
უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მო-  
უნერია“.

ამკარაა, რომ ამჯერად საქართველოს  
კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინის-  
ტრი გურამ ოდიშარიას ამოიღეს მიზან-  
ში. ნეგატიურად ახასიათებენ მის ყველა

სასიკეთო ნამოწყებას. არადა, თითქოს  
საკამათო არ არის, რომ ქართულ კულ-  
ტურაში მნიშვნელოვანი ძვრებია, რო-  
მელთა დანახვა ძალიან უჭირთ მავანთ.

ძნელადმისახვედრი არ უნდა იყოს,  
ძალის თავი სადაცაა დამარხული. მო-  
უთოკავი წყურვილი აქვთ, ხელოვნურად  
შექმნან ვითარება, რომელიც კულტუ-  
რის მინისტრს გადადგომას აიძულებს,  
რათა კულტურისა და ძეგლთა დაცვის  
მინისტრის სკამზე დასვან მხოლოდ მათ-  
თვის სასურველი კაცი. მეტსაც ვიტყ-  
ვით, ყოველივე ამის მიღმა ქვეყნის ახ-  
ლანდელი ხელისუფლების დისკრედი-  
ტაციის ნადილი იკვებება, რაზეც ძილი  
და მოსვენება აღარა აქვთ ხალხისგან  
ზურგმექცეულ ყოფილ ისტებლიშმენ-  
ტებს.

სავსებით ვიზიარებთ იმათ აზრს,  
ვინც ფიქრობს, რომ „ვილაც-ვილაცებს“,  
ეტყობა, ძველი „ტკბილი“ და „კეთილი  
დროის უკან დაბრუნება სურთ“, როცა  
ათასებს და ასი ათასებს ისე იჯიბავდ-  
ნენ, მომკითხავი და ხმის გამცემი არავინ  
იყო. კულტურის სამინისტროს ახალი  
ხელმძღვანელობის „დანაშაული“, აღ-  
ბათ, ის არის, რომ მათ აღკვეთეს სამი-  
ნისტროში არსებული განუკითხაობა და  
კულტურის სფეროში მოპარპაპე მაფიას  
კარი მოუხურეს...

ცხადია, სამინისტროს თითოეულ  
მუშაკს დაკვირვება და სულგრძელობა  
მართებს, ვინძლო კულტურებიდან ძალა  
არ მოიკრიბოს უკულმართად მოსინე-  
ობამ.

აღსანიშნავია, რომ ბატონი გურამ  
ოდიშარიას ღირსებათა მიჩრდილვის  
მიზნით, ცალკეულმა პირებმა, მისი შე-  
მოქმედების დაკნინებაც ინდომეს, მაგ-  
რამ ეს არ გამოუვიდათ და არც გამოუ-  
ვათ. ამ სინრფელით სავსე პოეტს ლექსი  
უდავოდ არ დაენუნება. მღელვარე და  
ტკივილიანია მისი პოეზია, ოპტიმიზმი-  
თაც აღსავსეა, სამშობლოზე ფიქრისა  
და ოცნების გამოხატულებაა; აქ აღარა-  
ფერს ვამბობთ მის პროზაზე. საკითხა-  
ვია, რამ აიძულა უსწორო სიტყვის კაცე-  
ბი, რომ ჭეშმარიტებას უარყოფენ, დიდი  
ილია ხომ მუდამაჟამს მოგვძახის: „რაც  
შენ არ გინდა მოგივიდეს, იმას ნურც  
სხვისთვის ინდომებ“.

დრო, უფრო სწორად, ახლო მომავალი  
რელიეფურად ახდის ფარდას მშფოთვა-  
რე ზოილის მსგავს დემაგოგიურ კრიტი-  
კობანას.

დღესავით არის ნათელი, რომ საქარ-  
თველოს კულტურისა და ძეგლთა დაც-  
ვის მინისტრი გურამ ოდიშარია და მისი  
საქართველოს სამსახურში მდგარი თა-  
ნაგუნდებლები არ შეანელებენ კარგად  
ნამოწყებულ საქმიანობას, ისევე მოლო-  
ნიერდება ქართული კულტურა. კვლავ-  
ცა გავიხარებთ სამაგალითო სიახლეე-  
ბით.

**რეზო ჭანიშვილი**  
საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვა-  
ნეთა შემოქმედებითი კავშირი

# მარნეულა თუ გიხომ, უნდა მიხვიდა

ღმერთი ვერ შექმნის ადამის, პეტრეს, პავლეს, ნიცმე კი ზარატუსტრას ბიოგრაფიას. კაცი თავად უნდა იყოს საკუთარი ბიოგრაფიის, თავისი ისტორიის შემქმნელიც და დამწერიც.

შინეს უთქვამს: ყოველი საფლავის ლოდვევს კაცობრიობის ისტორია წევსო. ამ დიდი ისტორიის ცალკეული ფურცლები კი ჩვენ ვართ, თითოეული ჩვენგანი, ჩვენი ცხოვრების ბნელი თუ ნათელი მხარეებით, სივრცე-დროში ჩვენი შესაძლო არსებობით და ეს შესაძლებლობა რაღაცით ყოველთვის მეტია, ვიდრე ჩვენი ცხოვრება...

**ჯემალ ლავლიანიძე, მწერალი... როგორია მისი ბიოგრაფია?**

საამისოდ ვნახოთ მისი მოთხრობების პირველი კრებულები! თვალი გადავავლოთ წიგნის შესავალს, სადაც თითქმის დაუჯერებელი მონაცემებია! ავტორი ჯემალ დავლიანიძის ამ მოკლე ბიოგრაფიისა გახლავთ საქართველოში ცნობილი პოეტი, ან გარდაცლილი გივი გეგეჭკორი:

„ჯემალ დავლიანიძის მოთხრობების პირველ წიგნს „იმ ცეცხლის ყვავილები“ ჰქვია. მხოლოდ სიყვარულია ის ძალა, რომელიც მწერალს აიძულებს, კალამს მოჰქვიდოს ხელი და კვლავ ააბრიალოს ერთხელ ჩამქრალი ცეცხლის ყვავილები, გააცოცხლოს და სული ჩაუდგას მისთვის ესოდენ ძვირფას სურათებსა და ადამიანებს, რომ კვლავ დაიბრუნოს ერთხელ და სამუდამოდ მოგონების ბურუსში დაწიქული, გაცრეცილი წარსული...“

ჯემალ დავლიანიძე ახალგაზრდა კაცია, მაგრამ უკვე ცხოვრების დიდი გამოცდილება აქვს. მას უმუშავია მუშად ელექტრომონტაჟის სპეციალისტად, მზარეულად და გიტარის დამკვრელად რესტორანში, მტვირთავად სადაბალოში, ცეცხლფარეშად საქვაბეში, ავტომანქანების მრეცხავად ავტოფარეშში, ტექნიკოსად მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, საქონელმცოდნედ ამავე ინსტიტუტის მომარაგების განყოფილებაში, ქარხანა „პოლიმერმაის“ კომპლექტაციის ინჟინრად ქალაქ ტამბოვში, კომენდანტად საავტორო ტექნიკუმში. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა პნევმატურ ჩაქურჩვე საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე; ჯერ კორესპონდენტად, შემდეგ პასუხისმგებელ მდივნად მარნეულის გაზეთში, რედაქტორად კინოსტუდია „ქართუ-

ლი ფილმის“ მე-2-ე შემოქმედებით გაერთიანებაში და ა.შ. 1977 წელს ჟურნალმა „ცისკარმა“ დაბეჭდა მისი რომანი „წონასწორობა“.

ჯემალ დავლიანიძე ქართულ მწერლობაში ამ პატარა წიგნით შემოიღო.

**პირველი წიგნი დღესასწაულია!**

ბედნიერი ვარ, რომ ეს დღესასწაული შემიძლია პირველმა მიუზლოცო!

დიახ, ეს გახლავთ 1978 წელი, როცა ჯემალ დავლიანიძე მხოლოდ 31 წლისა იყო!

მას შემდეგ 36 წელია გასული და, წარმოდგინეთ, 1966 წლიდან საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაბმულს, დღემდე რამდენი რამ გადახდა.

მხოლოდ ეს არ არის ბიოგრაფია და ამ კაცის ამბავი... ან მხოლოდ ის, რისი გამოვლენაც მან შეძლო, არამედ ისიც, რაც მისი არსებობის პოტენციალი დარჩა და, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ჯერ ვერ გამოვლინდა. მინდა ამ კაცის „შესაძლებელში“ შევიხედო.

რატომ ვინტერესდები სახელდობრ ამ კაცით? არა, მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ იგი მწერალი, მეგობარი და კოლეგაა. ამ არჩევანსაც, როგორც ყველაფერს სამყაროში, თავისი მიზეზი აქვს. და, რადგან მიზეზი არსებობს, ე.ი. არსებობს მიზეზიც. წინასწარ არაფერს ვამბობთ. ყოველივეს თავისი დრო და უამი აქვს: ხეს – კვირტობისა, ნაყოფს – მოწვევისა, ფრინველს – საკუთარ ბუდეში მიბრუნებისა. ჯემალ დავლიანიძესთან მიმავალს, გზად კანტის სიტყვები ამეკვივება: „უნდა გვეყოს ვაჟკაცობა, საკუთარი გონებით ვი-აზროვნოდ და ვიცხოვროთ!..“

უმაღლე მივხვდი, დიდი ფილოსოფოსის ეს სიტყვები გასაღები რომ იქნებოდა ჯემალ დავლიანიძის გამოფენილი თუ გამოუფენილი ცხოვრებისა, ამიტომ მწერალს პირველად ეს ვკითხე:



**– ჯემალ ბატონო, როდის იგრძენით პირველად, რომ უკვე მზად იყავით გეცხოვრათ და გეფიქრათ საკუთარი გონებით?**

– ჩემი გონებით აზროვნება მაშინ დაიწყო, როცა პირველი ლექსი (1956წ.) და პირველი მოთხრობა (1959წ.) დავწერე. ვერ ვიტყვი, რომ მშობლებს ყველაფერს ვუჯერებდი. მამაჩემმა, როცა სიჭაბუკეში შევედი, ერთხელ სკამზე დამსვა და მითხრა: შვილო, სიგარეტის მიწვევა თუ გინდა, ჩუმად არ ჰქნა ეგ საქმე, პირველი ღერი ჩემს თვალში გააბოლოო! ალბათ, მამაჩემის ამ სიტყვებზე გააკეთა თავისი საქმე და, რაღა თქმა უნდა, სპორტმაც. ჩემს ცხოვრებაში არ არსებობდა დღე, სპორტით რომ არ ვყოფილიყავი დაკავებული. ქართული ჭიდაობა კასპის რაიონში, ჩემს დედუღესში, ნახერხზე ვისწავლე, რაც შემდგომ თავისუფალ ჭიდაობაში გამომადგა. მერე საცურაო აუზს მივაკითხე, – აქაც კროლის სტილში, სამოციან წლებში, მეორე თანრიგის ნორმატივები ჩავაბარე! ვთამაშობდი ხელბურთს და ვიყავი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი, თუმცა გასვლით თამაშებში მონაწილეობა აღარ მივიღე მწვრთნელის ცუდი საქციელის გამო. ბოლოს ალბინიზმს შევრჩი, მე-სამე თანრიგის ვარ, მაგრამ იქაც საკმაოდ ბევრი მეგობარი დამეღებოდა და თავი მივიანებე. მეუღლეც „საკუთარი გონებით“ და აზროვნებით“ მოვიყვანე. რუსეთის ქალაქ ტამბოვშიც ოთხი წელიწადი „ჩემი გონებით“ გადავსახლდი, სადაც მომარაგების განყოფილებაში საქონელმცოდნედ (ე.წ. „ტალკაჩად“) ვმუშაობდი და პარალელურად, რადგან ჩემი ფილოლოგია რუსეთში არავის სჭირდებოდა, რესტორანში გიტარას ვუკრავდი! სამშობლოში მობრუნებულს „საყვარელმა კომპარტიამ“ თბილისში, მშობლიურ სახლში არ ჩამწერა და მარნეულაში შემიფარა, სადაც ცნობილმა პოეტმა, რომელიც გაზეთ „ახალ მარნეულს“ რედაქტორობდა, ჩამწერა კიდევ! ასე, რომ ცხოვრების გადაწყვეტი, თამამად შეიძლება ითქვას – მეც მარნეულელი ვარ.

**– საკუთარი გონებით აზროვნებამ და ცხოვრებამ სირთულეები ხომ არ შეგიქმნათ?**

– თქვენ მეკითხებით: საკუთარი გონებით აზროვნებამ და ცხოვრებამ პრობლემები ხომ არ შეგიქმნათო. ვგონებ, ეს აქსიომაა. თითოეულ ჩვენგანს მხოლოდ „საკუთარი აზროვნება“ უქმნის პრობლემებსაც და, რაღა თქმა უნდა, მიღწევებსაც! საამისოდ, მარნეულში ჩემი შრომა-საქმიანობის დროს თავს გადამხდარი რამდენიმე ეპიზოდიც იკმარებს! როგორც გითხარით, რუსეთში, კერძოდ, ქალაქ ტამბოვში, 1970-1974 წლებში ვხვდებოდი და, როცა სამშობლოში დავბრუნდი, თბილისში, საკუთარ სახლში, დედაჩემთან აღარ ჩამწერეს. ამიტომ ქალაქ მარნეულში დავიწყე სამსახური, გაზეთის რედაქციაში და ამან ჩანერგა გამინაღდა! დღემდე შენახული მაქვს გაზეთ „ახალი მარნეული“ რამდენიმე ასეული ეგზემპლარი! იგი, მოგეხსენებათ, ორენოვანი გახლდათ: ქართულ-აზერბაიჯანული! რედაქციაში დასაქმებულ ყველა აზერბაიჯანელთან თბილი, მეგობრული და მოკვებულეება მიქონდა, რაც დღემდე გრძელდება! არასოდეს ვმალავ და ყველგან ყოველთვის ვამბობ, რომ აზერბაიჯანელები დაუცხრომლად მშრომელი ადამიანები არიან და ის დოვლაიცი, რაც მარნეულშია, სწორედ მათი წყალობაა! აზერბაიჯანელებთან ჩემს თბილ ურთიერთობას, როგორც ჩანს, სათავე დაუდო ჩემი ბავშვობის დროინდელი მეგობრობამ აზერბაიჯანელებთან! ის სოფელი, სადაც დავიბადე, კასპის რაიონშია და გარდასულია ჰქვია. მეზობლად ცხოვრობდნენ ნორზალოვები. ოჯახის უფროსს სონა ერქვა, მრავალშვილიანი კაცი იყო! ერთ-ერთი მათგანი იყო თემურ ნორზალოვი, პატარაობიდანვე ერთად გავიზარდეთ. მათთან ბევრჯერ გამითევებია დამე, საქმელიც მიმირთმევია... ბავშვები ყოველდღე ერთად ვთამაშობდით! სამუხაროდ, ჩემი სიყრმის მეგობარი, თემური, ამჟამად გარდაცვლილია. მისი ცოლ-შვილი პირველ ხანებში კასპის რაიონის სოფელ ფერმაში ცხოვრობდა! სხვათა შორის, როცა გაზეთ „ახალი მარნეული“ მთავარი რედაქტორი სამსახურიდან გაუშვეს, მის ადგილზე დანიშნულმა ახალმა უფროსმა ჩემი განთავისუფლების მიზეზი რომ ვერ

მონახა, განმიცხადა: შენი თანამდებობა, – პასუხისმგებელი მდივნობა, – პარტიული ნომენკლატურაა, კომპარტიის წევრი უნდა გახდეო. მან ყველაფერი გათვალა: იცოდა, კომპარტიამ რომ არ გაგწვერიანდებოდა. ამიტომაც იძულებული შევიქნე, სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადება დამეწერა. აღსანიშნავია და დღესაც ჩემთვის სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ჩემი რედაქციიდან წამოსვლა ყველაზე ძლიერ აზერბაიჯანელმა მეგობრებმა, ჩემმა თანამშრომლებმა განიცადეს. მათ გაცილებით მომიწყვეს და რესტორანში დიდებული სუფრაზე გამაღეს...

ახლა კი ორიოდ სიტყვით იმაზეც მოგახსენებთ თუ რა მომიტანა „საკუთარი გონებით აზროვნებამ და ცხოვრებამ“ მარნეულშიც. მოგეხსენებათ, 70-იან წლებში რაიონული გაზეთები როგორ იცხრილებოდა ცენზურით!.. ერთხელაც ქალაქ მარნეულის ცენტრში მდებარე საბავშვო ბაღს ვესტუმრე. სტატიის დაწერა მიწოდდა, მაგრამ... იქ ნანახმა იმდენად აღმშფოთა, ფელეტონის დაწერა გადამანწყვტინა! ზამთარი იდგა. საბავშვო ბაღის შენობაში, სახურავიდან წყალი ჩამოდიოდა, გათბობა არ ჰქონდათ და თბილ სამოსში გამოხვეულ ბავშვებს მაინც სციოდათ. მრავალმათგანს ახველებდა კიდევ. გადაწყვეტილება აღვასრულე – დავწერე ფელეტონი სათაურით: „ხაჭო არ არის, ხოჭო“. ეს იმიტომ, რომ ბავშვთა კვების რაციონში ხაჭო არც იხსენიებოდა, თანაც, საბავშვო ბაღში ჩატარებული რემონტი გაცილებით ძვირი დამჯდარა, ვიდრე მისი აშენება!

ფელეტონი ოპერატიულად დაიბეჭდა. მთელ რაიონში ერთი დღე დაიბრუნა ატყდა! აღმოჩნდა, რომ ფელეტონის გამოქვეყნება მხოლოდ რაიონის ან ცენტრალური კომიტეტის ნებართვით ყოფილა შესაძლებელი!

იმ პერიოდში მარნეულის რაიონის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე გვარად ალიევი გახლდათ (სამწუხაროდ, სახელი აღარ მახსოვს!). დამიბარა და, რომ იტყვიან, ქურამი გამატარა! მაგრამ შემახურა, დამტუქსა და ბოლოს, კაბინეტიდან რომ მაცილებდა, ხმადაბლა მითხრა: ვიცი, მართალი ხარ, მაგრამ...

ფელეტონს ამის შემდეგ ნულარ დანერ ჩვენთან შეუთანხმებლად, თორემ ახალგაზრდა კაცი ხარ, იძულებული შევიქნებით, შენი საკითხი მკაცრად დავსვათო!

ახლა მეორე მაგალითი: გაზეთში პარტიულ ცხოვრებას რედაქტორის მოადგილე უძღვებოდა და მონინავესაც მუდამ იგი წერდა. ძე-ხორციელს მის სფეროში შეჭრის უფლება არ ჰქონდა. არადა, მონინავე, ე.წ. „პარტიული პარავოზი“, ყოველ ნომერში აუცილებლად უნდა დაბეჭდილიყო!

ერთხელაც, რედაქტორის მოადგილე ვერ გამოცხადდა სამსახურში და პირველი გვერდი, სადაც მონინავე იბეჭდებოდა, ცარიელი რჩებოდა. იძულებული გავხდი, თავად დამეწერა, ვიფიქრე, თემად ხალხთა მეგობრობა და მშვიდობა ამერჩია. დავწერე და დაიბეჭდა კიდევ.

ისევ სასწრაფოდ გამომიძახეს – ჯერ აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებაში, მერე კი რაიკომის მეორე მდივანთან, ბახიშ კალაევთან.

ისევ განკითხვის უამი! მკაცრად, მკაცრად დამტუქსეს – მონინავე სტატიის პარტიული სტილი არ არის დაცულიო! ვერასგზით ვერ მივხვდი, რა იყო ეს ოხენი პარტიული სტილი. გაოცებულმა რამდენჯერმე ვკითხე იქ მყოფთ, აეხსნათ, რომ შემდეგში მცოდნოდა!

ბოლოს, როცა ყველა გავიდა და რაიონის მეორე მდივანთან ერთი ერთზე დავრჩი, კალაევმა მამაშვილურად დამარიგა (მამინ მოსასმენი აპარატურა, ვგონებ, დღევანდელ დონეზე არ მონტაჟდებოდა!): შვილო, პარტიული სტილი თუ გაინტერესებს, ჩადი ახლა რედაქციაში, აიღე საკავშირო გაზეთი „პრავდა“ ანდა ჩვენი რესპუბლიკის გაზეთი „კომუნისტი“, ნახე მონინავე და უმალ მიხვდები ყველაფერსო! ასეც მოვიქციე. მთელი დღე ვიჯექი, ვკითხულობდი პარტიულ მონინავეებს და ვერაფერი გავიგე! შინაარსის გაგება, თურისი თქმა სურდათ ავტორებს, შეუძლებელი აღმოჩნდა და უცხად, როგორც იქნა, გამინათდა გონება: უნდა მეწერა ისე, რომ მხოლოდ სიტყვების რაზარუხი ყოფილიყო და აზრი კი ვერავის გამოეტანა! გავბედე და ავედი რაიკომის მეორე მდივანთან. უმალვე მიმიღო. ჩემი შთაბეჭდილება გავუზიარე. მცირე ხანს თვალთვალში გამიყარა და ბოლოს დარდიანი ღიმილით მითხრა: ისეა ჩვენი ცხოვრება მონსობილი, ჯერჯერობით მეტს ვერაფერს ვიზამთო!

ესეც თქვენი „საკუთარი გონებით აზროვნება“, რომელსაც იმ დროს თვით რაიკომის მდივნებაც კი ვერ ახერხებდნენ!

**– თქვენი ამ დიდი „ოდისეადან“ რომელ ეპიზოდს იგონებთ სინანულით ან სიამით?**

საქართველოს გადასარჩენად გამოიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში 1966 წლიდან ვიყავი ჩართული. ისე ვიცხოვრე, კომუნისტურ პარტიაში არ შევსულვარ! ამიტომაც მრავალი უბედურება შემამთხვია უშიშროების სამსახურში! ბევრი რომ არ გავაგრძელო, დღეს პირადობის მონობაში, იქ, სადაც საცხოვრებელი მისამართი უნდა ეწეროს, სიტყვასიტყვით მიწერია: „მისამართის გარეშე“, ანუ – ლტოლვილი საკუთარ სამშობლოში! რაც შეეხება თქვენ კითხვას, ჩემი ცხოვრებიდან რომელ ეპიზოდს იგონებ „სინანულით და სიამით“, მაგონდება ხანში შესული მამაჩემი, რომელიც რაჭის ერთ მშვენიერ სოფელში ცხოვრობდა. მოგეხსენებათ, შვილებს სულ გვევინა – მშობლები არასოდეს მოგვიკვდებიან და... სიცოცხლეში ბევრს ვცოდავთ ამ მხრივ... მენანება, რომ უფრო ხშირად არ ვნახულობდი. ყოველი ჩემი დანახვა ბერიკაცს სიხარულის ცრემლს წარმოადენდა... ერთდროულად „სინანულით და სიამით“ 1991 წელი მაგონდება, როცა საქართველოში ძლიერი მინისტერა მოხდა და რაჭა-იმერეთი თითქმის მინასთან გაასწორა. იმ დღეს, როცა მინა იძრა, თბილისში ვიყავი და ტელევიზიით ვადევნებდი თვალს, რას გამოაცხადებდნენ. საღამოთი ▶▶

►► გადმოსცეს, რაჭა, სადაც მამაჩემი ცხოვრობდა, მთლიანად დაინგრაო. ჩავსხედით ჩემს „ნივამი“ ჩემი უფროსი შვილი, ერთ-ერთი მეგობარი, რომლის დედაც იმ დროს რაჭაში იმყოფებოდა და დასავლეთ საქართველოსკენ გავეშურეთ. საშინელი სანახავი იყო მშობლიური კუთხე. გლეხები ეზოში დანთებულ კოცონებთან ისხდნენ... შუალაშისას მივაღიქვი იმ ადგილს, სადაც ჩვენი სახლი მეგულებოდა, მაგრამ იქ ნანგრევებია და მხვდა. ეზოში მამაჩემის „ზაპოროჟეცი“ იდგა. უხმაურად შევედი. ვფიქრობდი, მამა დალუპული იქნებოდა. ავტომანქანის კარი გამოვადღე. დაღლილ-დაქანცულს იქ ჩაძინებოდა. თვალის კარი გაახილა, მოჩვენება ვეგონე. როცა დარწმუნდა, ცხადიერი შვილი ვიდექი მის წინ, ტირილი აუვარდა და შემომძახა: შვილო, დაბლა, ბარში, თქვენს გარდა თუ დარჩა ვინმე ცოცხალიო. აღმოჩნდა, პირველი კაცი ვიყავი სოფელში, ვინც ამოვივი. აქაურებს ჰგონებიათ ატომური ბომბი ხომ არ აფეთქდაო. ყველაფერი განადგურებული ეგონათ, უფიქრობათ, მხოლოდ ჩვენ დაფრთხილნი ვიყავით. მამა დავამშვიდე. როგორც იქნა, ენაც ამოვიდგა. დიდ ვაშლის ხეებზე მიმითითა და ხმადაბლა მეუბნება: მინა რომ იძრა, ამ ხეთა წვეროკინები ისე იზნიქებოდნენ იქით-აქეთ, ლამის მინას ეხლებოდნენ... ფეხზე ვეღარ დავდექი, გავიქეი და ისე ვუცქეპროდი, როგორ მექცეოდა სახლ-კარიო!.. ოჯახში ერთი ჭიჭაც არ დარჩენილიყო მთელი, ღვინო რომ ჩამოგვესხა. ამასობაში გონს მოსული მეზობლებიც შემოიკრიბნენ, ჩვენს მესერთან იდგნენ და დადუმებული მოგვიჩვენებდნენ. მამიდა მომი-ახლოვდა და ყურში ნაშურჩულა: შვილო, ჯემალი, მამაშენი მინისძვრის შემდეგ სრულ ჭკუაზე ვერ არის, გაუფრთხილდიო. ვკითხე, რატომ ამბობ ამას-მეთქი. ამისხნა: მინისძვრა რომ მოთავდა, ყველამ, ვინც შეძლო, თავი მოედანზე მოიყარა და ერთმანეთს ვეკითხებოდით, რა მოხდა ჩვენს თავს, რა დავგემართაო. ამ დროს მამაშენი ადგილს მოწყდა, ეზოში შეთვარდა, მარანს მიადგა, ნიჩაბი აიღო და სათითაოდ დაიწყო ქვევრების თავის მოხდა. ერთს მოხდა თავი და ხმამალა დაიყვირა: არის! მერე მიჰყვა მეორეს, მესამეს... ცხრამდე ავიდა და სულ ამას გაიძახოდა: არის!.. მთელია!.. ღვინო არ დამიკარგავს, ქვევრი არ გახეთქილა და საწყისს ეს ამბავი უხაროდა. დავასკვენი, რომ ბერიკაცი ჭკუიდან გადგა, რადგან სახლ-კარი, ავეჯი, ჭურჭლეულობა – ყველაფერი დაკარგა და ღვინის გადარჩენა უხაროდაო. ყველაფერს მივხვდი და მამიდაჩემი დავამშვიდე: სხვა რა უნდა ექნა მამაჩემს? ღვინო რომ გადაურჩა, ისღა დარჩა სასიხარულოდ-მეთქი. აი, მერე მოხდა, რაც მოხდა. სახელდახელოდ სუფრა კასრზე გავმულეთ და, ჭიქის უქონლობის გამო, ხრიკით დავინწყეთ სმა. ჩვენი მოგვარე სიკო ბიძიაც მოვიდა. რამდენიმე მეზობელმაც გაბედა მოახლოება და, უცხად, შუალაშისას, სანთლის შუქზე ასვეტილმა მამაჩემმა ხმამალა განვიცხადა: ახლა კი უნდა ვიმღეროო. აი, მამინ ნამდვილად ვინმეზე მამიდას ნათქვამი. მამაჩემი ვართლაც შეშლილამეთქი და ვთხოვე: მამა, ეგ საქმე არ ქნა, სოფელი ჩაგვქოლავს, სამეზობლოში მოხუცი ქალი მოიყოლა ნანგრევებმა, დაილუპა, სირცხვილს სად ნაუვიდეთ-მეთქი. შენ გაჩერდიო, – თითქმის დამიყვირა და, სანამ ვუპასუხებდი, ამ საზარელ სიტუაციაში არაჭული მრავალკამიერი ნაშოიყო. მერე თითი ასწია, პირველი ხმა მითხარითო. სიკო ბიძია კარგი მომღერალი გახლდათ, მაგრამ ხელი ჩაიქნა და ჩუმად მითხრა, – მამაშენს მიხედე შვილო, როგორც ჩანს, ყველაფერი რიგზე არ უნდა ჰქონდეს... ვერ გაუძლო, ალბათ, უბედურმა, შეიძლება და სუფრას ნელ-ნელა გავცალა. ჭიქისკენ მიმავალი სიბნელეში გაუჩინარდა. მცირე ხანს იმღერა მამაჩემმა მარტომ და უცებ ძმაკაცი მეუბნება: – ბიჭო, მამაშენი თან ტირის, თან მღერის; ცოდოა, პირველი ხმა თქვი, მე მეორეს ვიტყვიო. სიბნელეში აქამდე არ შემომჩნევია მამის ცრემლები. როცა ყველაფერს მივხვდი, ბლომად ღვინო მოვსი და მამას სიმღერაში ავეყვი. ძმაკაცმაც აგვიბა მხარი და გაგმართეთ სიმღერა. მრავალკამიერს

რომ მოვრჩით, სხვა სიმღერა მივაყოლებო და... ჭიქკართან მისული სიკო ბიძია მობრუნდა, ჩემთან მოვიდა და მიჩურჩულა: ჯემალიკა, შვილო, შენ პირველი ხმა გიტყვი, მესამე გვითხარი, პირველს მე ვიტყვიო. ამასობაში რამდენიმე მეზობელიც შემოგვემატა და, ისეთი სიმღერები დავაგუფუნეთ, ვინმე უცხო, ამ დანგრეული სოფლის და ჩვენი შემოხედვარე იფიქრებდა, ნაღდად შემოიღებოდა არიანო. სიმღერას რომ მოვრჩით, მამამ სადღეგრძელო წარმოთქვა: – შვილებო, განა არ ვიცო, ყველას გიყი გეგონეთ, მაგრამ... ახლა მინდა მხნეობის, იმედის, სიცოცხლის სადღეგრძელო თქვე! გაუტყებელი ქვევრები რომ ვნახე, გამეხარდა – ამ სახლს კვლავაც აშენება უნდა და ეს ღვინო მეუბნებისთვის დამჭირდება-მეთქი. დედას ვუტყვი – კიდევ ავაშენებთ, კიდევ ვადღეგრძელებთ და ვიმღერებთ კიდევაც... ჩვენ მხოლოდ მხნეობა გადაგვარჩენს! გაუმარჯოს კაცის მხნეობას და იმედიაწობას! – იქმყოფთ სანათურის შუქზე სიხარულის ცრემლი უბრწყინავდათ თვალებში... სწორედ ამას ვიგონებ ვუდამ სინანულითაც და სიამითაც!.. სხვათა შორის, ის, რაც ახლა მოგიყვით, თავის დროზე გახეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდვით და ამ ორიოდ წლის წინ გამოცემულ ქართული პროზის ანთოლოგიაშიც შეიტანეს.

– ბატონო ჯემალ, მინისძვრის დროს ვშუაობდი ტელევიზიაში, სადაც შეიქმნა სპეციალური ბრიგადა და დასამარებლად საჩხერეში გავეშურეთ. დაზარალებულ სოფლებს (დარღას, ჭალას, პერეკს) ვუმართავდით ხელს. ერთხელაც, რაიონული ცენტრის გარეუბანში მუშაობისას, ერთი ხნიერი მანდილოსანი მოვიდა ჩვენთან, მადლობა გვითხრა თანადგომისათვის, ღვინით გავვიმასპინძლდა და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა: კიდევ კარგი, ეს უბედურება თბილისში არ მოხდა, თორემ დიდი მსხვერპლი იქნებოდაო. ამ ქალბატონს თვალბრუნ უდინდესი დარდი ჩასდგომოდა. როცა ამ ამბავს ვიგონებ, მეც სინანული და სიამე მიპყრობს.

თქვენ გარკვეული წვლილი მიგიძღვით საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის შექმნაში. ახლა ამ აკადემიის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი ბრძანდებით. რას მეტყვით აკადემიის შესახებ? – საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია დროულად შეიქმნა, რადგან დღევანდელ მსოფლიოში მცირერიცხოვან ერებს ნამლა-განადგურება ემუქრებათ! ყველა დიდ, ე.წ. სუპერსახელმწიფოს დედამიწის ყველა კუთხეში, უპირველესად, თავისი ინტერესები აქვს. ამ ქვეყნებში არიან ჩვენდამი მეგობრულად თუ მტრულად განწყობილი ძალები! ჩვენ კავკასიელები ვართ და ჩვენი ოდინდელი პრომეთე-ამირანის მითი შემთხვევით არ შექმნილა! დიახ, კავკასია, – როგორც სიკეთე, სინათლე ანუ პრომეთე-ამირანი ცოცხალი უნდა იყოს, მაგრამ ბოროტთაგან აუცილებლად მიჯაჭვული და დახუნდებული!.. ეს ბედისწერაა!.. კავკასიელებმა ჩინებულად ვიცით, უძველესი იმპერიებიდან მოყოლებული დღევანდლამდე, ეს გიგანტი ქვეყნიჭამიები რასაც სწადიდოდნენ ჩვენი ხალხისა და სამშობლოს წინააღმდეგ!

ამიტომ, მწერალთა აკადემია, ქართული მწერლობა ვალდებულია, დაიცვას და გადართინოს ეროვნული ღირებულებანი, ტრადიციები, კულტურა, ხელოვნება, მწერლობა, თეატრი და ა.შ. უპირველესად შემოტევა ხორციელდება ჩვენს სარწმუნოებაზე. თუ დღევანდელი მოვლენებით ვიმსჯელებთ – მსოფლიოში დღეს არსებული დიდი სახელმწიფოების პოლიტიკა მიმართულია სარწმუნოებათა და ოჯახური ადია-ნესების წინააღმდეგ! საამისოდ ათასგვარი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია შექმნილი, რომლებსაც უხვად აფინანსებენ გრანტებით!

მოგეხსენებათ, რომაული იმპერატორი – „გათომე და იბატონე!“ – ჩვენი საერთო მტრების სამოქმედო კრედაა. ისტორიული მეხსიერებით კავკასიელებმა ჩინებულად ვიცით, როგორ ცდილობდნენ საუკუნეების მიღმიდან დღემდე ერთა შორის შუღლის ჩამოგდებას. მით უმე-

ტეს, მათ ხელს აძლევთ ეთნიკურად მრავალფეროვან კავკასიელთა ერთმანეთზე გადაკიდება, რაც ამჟამადაც აშკარაა! მწერალთა ეროვნული აკადემიის ვალია, ვიქადაგოთ მეგობრობა და სიყვარული ხალხებს შორის. აღმოიფხვრას სიძულვილი და მტერმა ვერ შეძლოს ჩვენს შორის შუღლის ჩამოგდება. მე კარგად მახსოვს, პაპაჩემის ეზოს ღობეებს იმდენი კარი ჰქონდა დატანებული, რამდენი მეზობელიც გვყავდა! ამას ერქვა სამეზობლო ჭიქკარი, რომლის აჭედვაც მაშინაც კი აკრძალული იყო, თუ ერთმანეთში ჩხუბი მოხდებოდა! სხენებული სამეზობლო ჭიქკარის ხელშეუხებლობა იმას მიაჩნებოდა, რომ მტრობით დანგრეული შემდგომში სიყვარულით, ძმობით, მეგობრობით აშენებულიყო!

ასევე უნდა იყოს ერებს შორის! ძმობას არაფერი სჯობს და ის ძველი ტრადიცია სამეზობლო ჭიქკარისა აზერბაიჯანელებმა და ქართველებმა კარგად უნდა შევითვი-სოთ, მყარად დავიმკვიდროთ ცხოვრებაში!

– ბატონო ჯემალ, საუბრის დასასრულს, მინდა კიდევ ერთი კითხვა დაგისვამ...  
– ბრძანეთ!

– ორტევა ი გასეტი წერდა: „ჩვენი ცხოვრება ჩვენივე შესაძლებლობების კაპალაოგა და ამიტომაცაა იგი ესოდენ გასაოცარი და მრავალსახოვანი“-ო. მაინტერესებს, სად გადის თქვენი შესაძლებლობების ზღვარი? (მეგობარი მწერალი მრავალმნიშვნელოვნად მიყურებს და გამომცდელად მიღიბის).

– ჩემო მირზა, ამ კითხვის პასუხსაც იქვე, ამ დიდი მოაზროვნის ნაწერებშივე რომ იპოვიდით, დარწმუნებული ვარ, თუმცა მაინც შეგახსენებთ: „სამყარო, ანუ ჩვენი შესაძლო არსებობა ყოველთვის რაღაც უფრო მეტია, ვიდრე ჩვენი ბედი ან ცხოვრება, რომლითაც ვცხოვრობთ.“ ამას, ფიქრობ, ორივე ვეთანხმებით, მაგრამ თქვენ მაინც დამისვით ეს კითხვა. რატომ მიდინხართ შემოვლითი გზით? მკითხეთ პირდაპირ, – სად დევს თქვენი შესაძლო არსებობის ზღვარი-თქო.

– დიახ!.. მართალი ბრძანდებით, მაგრამ ამჯერად კითხვას ვისვამთ არა როგორც მწერალს, არამედ როგორც შესაძლო სახელმწიფო მოხელეს...  
– გულახდილად გითხრათ, ვერ ვხვდები თქვენს ნართაულს. მითხარით გატეხილად, რას გულისხმობთ?!

– ჩვენ მოკლედ, თუმცა მაინც ვისაუბრეთ მარნეულის რაიონში თქვენს ადრინდელ მოღვაწეობაზე...  
– ეს უკვე წარსულია!..

– წარსული, მაგრამ... აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა...  
– ვფილოსოფოსობთ, მამოვ?!

ორივეს გვეცინება. მერე ვრუმდებით. მაინც არ ვეშვები. ცოტაოდენი პაუზის შემდეგ მშვიდად ვაგრძელებ საუბარს:

– ხომ არ გავიწყდება, ჯემალ ბატონო, მარნეული რომ ჩემი მშობლიური რაიონია?  
– არა, არ გავიწყდება... მადლობა ღმერთს, მემოსინეს ჯერ არ უღალატია ჩემთვის.

– არც მარნეულელთათვის... მათ ახლაც ახსოვხართ, მეგობარო!  
– საკმარისია... პირდაპირ მითხარი, რისი თქმაც გსურს.

– არ მინდა, ხმამალა ნათქვამად გამომივიდეს, მაგრამ, როგორც მწერალს, მთელი ქვეყნის თუ არა, ჩემი მშობლიური რაიონის გულისცემაზე მაინც მაქვს ყური მიღებული. მესმის მისი ყოველი ჩქამიც კი...  
– მერედა, მირზა ბატონო, რას გეჩურჩულებს იგი?

– ის შენ გისხენებს... ახსოვხარ და გისხენებს... ამბობს, უზენაესმა ჩვენ,

ყველანი, ადამიანებად შეგვექმნაო, მაგრამ კაცობამდე თავად ჩვენვე უნდა ვაკვიკლიოთო გზა... ყველას არ შეუძლია ამ გზის გავლა. მარნეულს ახსოვს შენი კაცობა, შენი დიდი სული, შენი უშუალობა, უანგარობა...

– საუბარი შევეწყვიტე. მეგობარ მწერალს დაჟინებით ჩავაცქერდი. მის სახეზე უკმაყოფილება შეენიშნე.

– ბატონო ჯემალ, რა მართალი ყოფილა ის კაცი, ვინც თქვა: „სამართალი ყველას სურს, სიმართლე კი არავის“-ო. თავმდაბლობის გამო ნუ გაიგივდები ყველასთან, ნუ გაერევი ყველაში. თქვენი დიდი მოციქულის სიტყვებისა არ იყოს, „ყველა დარჩეს იმად, რადაც იქნა ხმობილი. მონად ხარ ხმობილი? ნუ სწუხხარ, მაგრამ თუ შეგიძლია მოიპოვო თავისუფლება, უმაღვე ისარგებლე ამით“... შენც ისარგებლე იმით, რადაც ხარ ხმობილი, ჩემო ჯემალ!.. ისარგებლე და სხვებიც ასარგებლე... მარნეულმა თუ გიხმო, უნდა მიხვიდე! უნდა მიხვიდე, თუკი შენი შესაძლებლობების კაპალაოგა ჯერა უნდა მარნეულა. და თუ ეს ასეა, და თუ მარნეულმა გიხმო, მიდი იმად, რადაც გიხმობს: – რიგითად? – რიგითად ეახლე! ხელმძღვანელად? – ხელმძღვანელად მიდი. მთავარია, როგორც ნინთა, ახლაც იახლო სამართლიანობა და სიმართლე.

– კარგი, ჩემო მირზა! არ ვიფიქრებ იმაზე, თუ როგორ არის მოწყობილი სამყარო. ვიფიქრებ მხოლოდ იმაზე, როგორ მოვიქცე ჩემთვის განკუთვნილ ცხოვრებაში. იმაზეც, დავბრუნდები თუ არა მარნეულში. ისე, სხვათა შორის, ზემოთაც გითხარით, მარნეულის რაიონი მუდამ მახსოვს. ხშირად მაგონდება მაშინდელი, ეგრეთწოდებული, საბჭოთა მეურნეობები: ყარაღანის, არაფლოს, დამია-გეურარხის, ალგეთის, სადახლოს, ყულარის ცხენსაშენი, წერეთლის და ა.შ. ზეპირად ვიცოდი, სად იყო მევენახეობა, მეთამბაქოეობა, მეხოსტნეობა... ხშირად დავდიოდი სოფელ-სოფელ და გაზეთის თითქმის ყოველ ნომერში ვაქვეყნებდი წერილებს, ნარკვევებს! მარნეულთან ახლაც მაქვს კავშირი. გეცოდინება, იქ არის ერთი ლამაზი სოფელი ზემო სალარი, სადაც ცხოვრობს რაგიმ (რომა) ჰუსეინოვი. იგი რუსეთში, კერძოდ, ქალაქ ტამბოვში, 1993 წელს ემიგრაციაში წასული ჩემი უფროსი ვაჟიშვილების მეგობარია და იქ მცხოვრებ აზერბაიჯანულ დიასპორას ხელმძღვანელობს. მრავალი წელიწადი შვილი არ უჩნდებოდა! მერე ღმერთის სახელზე მეჩეთი ააშენა და მოხდა საოცრება – შვილი ეყოლა! რაგიმ ჰუსეინოვის სიხარულის ერთ-ერთი გამზიარებელი ვარ მუდამ და, თუკი რამე სჭირდება მის ოჯახს, შეძლებისდაგვარად მუდამ ვეხმარები... სხვათა შორის, როგორც გითხარი, 1970-დან 1973 წლის ბოლომდე რუსეთში, ქალაქ ტამბოვში ვცხოვრობდი და იქ მყოფ აზერბაიჯანელებთან მჭიდრო ურთიერთობა მქონდა. ყველასი არა, მაგრამ ერთ-ერთი მათგანის სახელი მახსოვს – დავლეთი ერქვა. რესტორანში ჩხუბი მომივიდა და დავლეთი და მისი თანამემამულე აზერბაიჯანელები გვერდში დამიდგნენ. შემდგომ მათ მივეხმარე, ქარხანა „პოლიმერმაშპი“ მოვახსენე სამსახურში და იმდენი ვქენი, ბაქოში მივლინება გავუხერხე, რათა სამშობლო და ახლობლები მოენახულებინათ! დავლეთთან ერთად რამდენიმე დღე „კპზ“-შიც მაქვს გატარებული ისევ და ისევ ინცინდენტის გამო. თავს ვერავის დავაჩაგვრინებდი, მით უმეტეს, ტამბოველებს! თუ დავლეთი და მისი მეგობრები ამ სტრუქტურებს ნაიკითხავენ, აუცილებლად მოაგონდებთ ჩემი ვინაობა და იქნებ, კიდევ ვინახულოთ ერთმანეთი! ჩემო მირზა, ცოტა გამიგრძელდა სიტყვა, მაგრამ არ შემეძლო არ მეთქვა ის, რაც მოგახსენე! რაც შეეხება მარნეულს, კიდევ ვიმეორებ – ვიფიქრებ, დავბრუნდები თუ არა მარნეულში, ჩემი ქვეყნის ერთ-ერთ უღალაზეს მხარეში...

– გაზეთები: „გურჯისტანი“ და „სოზენ იბილი“.

ესაუბრა მირზა მამოქვი

# გივი სინარულიძე - 70

## გივი სინარულიძე – სისოხლის სინარულის მასწავლებელი

ის სამყარო და ეს სამყაროც მისი ბინადრებითურთ უფალმა შექმნა. მაგრამ სამყაროს განსხვავების მიზნობრივი მიზეზი ადამიანი გახლავთ, რომელიც, ვითარცა მიკრო და მაკროკოსმოსი და ღვთის ხატი, ერთობ რთულ სულიერ და ფიზიკურ წარმონაქმნს წარმოადგენს. იმავდროულად საგულისხმოა, რომ იგი არის სოფელსა და ზემთასოფელს შორის გადებული, მათი მკაცრდამრეხელი ხიდი, სხეულით ამ ქვეყანასთან, სულით კი ღვთიურ საუფლოსთან მიჯაჭვული. ამიტომაცაა, რომ ადამიანური „მე“ სულის და სხეულის მოთხოვნებიდან სააქაო და საიქიო, ხილული და უჩინარი ყოფის თუ ჭიდილის არსებობის არჩევის, უპირატესობის მინიჭების გამო მუდმივი შერკინებაა.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გივი სინარულიძე ამქვეყნიურ სიცოცხლეს უპირატეს პატივს მიაგებს, მას სიცოცხლე, თავისი ტრაგიზმითა თუ ბედნიერებით, განსაცვიფრებელი ძალით უყვარს და იგი ადამიანური ბედნიერების ერთადერთ უმთავრეს წყაროდ მიაჩნია. უფრო სწორად, ის აღვსილი და აღტყინებულია სულის თავისუფლებით და ყოველივეს, რაც მის თავისუფლებისკენ თავდავინწყებულ ლტოლვას ზღუდავს – იქნება ეს ფარისევლობის ჭაობში ჩაფლული საზოგადოების მოთხოვნები, თუ მკაცრად განსაზღვრული და დადგენილი ეთიკურ-მორალური კანონის ჩარჩოები, ებრძვის და მათ დამსხვრევას ლაშობს. მეტიც, ის შეგნებულად იქცევა გამომწვევად, რათა ამ ყალბი საზოგადოების აღშფოთება და ზიზი გამოიწვიოს, აი ამგვარად იგი ხაზს უსვამს და წარმოაჩენს თავის სულიერ ამალღებულობას და დასცინის იმ საზოგადოებას, რომელიც სხვათა დასანახად ისე იქცევა და ცხოვრობს, რომ თავის გარეგნული, მოჩვენებითი წესებით და მორალური ქეშმარიტად სულიერად ამალღებულ ადამიანებს თვალში ნაცარს აყრის.

ამ თვალთახედვით, გივი სინარულიძე მაგონებს ბერძნულ ფილოსოფიაში დაფუძნებული ცინიკური მიმართულების „კირენაული სკოლის“ მიმდევართ, რომლებიც ლალი ცხოვრების წესს და სულის აბსოლუტურ თავისუფლებას ქადაგებდნენ. მათი აზრით, სულის აბსოლუტური თავისუფლება მიიღწევა სიამოვნებით. ხოლო ის, ვინც მოკლებულია სიამოვნების აღქმას, „სამგზის უბედურია“. საერთოდ, სიამოვნებისკენ ლტოლვა ადამიანის თანდაყოლილი ბუნებრივი მოთხოვნაა. შესაბამისად, ისინი თავდავინწყებით ეძლეოდნენ განცხრომას და უარყოფდნენ ყოველივე მორალურ და სამართლებრივ ჩარჩოს. მათი მტკიცებით, „თავისუფალი სული მუდმივი აღვსილობაა, რომელზედაც ვერ ახდენს გავლენას როგორც გარე ფაქტორები, ასევე შინაგანი სულიერი განწყობილებანი“. ეს არის თავისუფლების ისეთი საფეხური, როცა ინდივიდი ამალღებულია ყველასა და ყველაფერში და გვევლინება საკუთარი თავის მფლობელად ყველა გარემოსა და სიტუაციაში. ასე რომ, მათი რწმენით, ადამიანი უნდა ეძლეოდეს განცხრომას, ტკბებოდეს სხეულის მშვენიერებით: მას არ უნდა ხიბლავდეს სიმდიდრე, მაგრამ მისგან მიღებულ სიამოვნებაზე უარს არ უნდა ამბობდეს. იმავდროულად, არ უნდა დაგვაინწყდეს დიონისე ლაერტიუსის შეგონება: „განცხრომის ბატონად გვევლინება არა ის, ვინც უარს ამბობს მასზედ, არამედ ის, ვინც ეძლევა მას, მაგრამ ისე, რომ არ ემორჩილება“...

ბერძნულ ფილოსოფიაში ჩვენს მც-

რე ექსკურსს ამაოდ არ მიიჩნევს ის, ვინც გივი სინარულიძის ცხოვრების წესს იცნობს და ვისაც მისი „იამური“ მაინც ნაუკითხავს. მეტიც შეიძლება ითქვას, ჩემი ხედვით, გივი სინარულიძე „კირენაული სტილის“ წარმომადგენელია, რომელიც 21-ე საუკუნეში ისე ირჯება, ვითარცა ამ სკოლის მიმდევარი მრავალ საუკუნეთა მიღმა ცხოვრობდნენ. და ეს არც არის გასაკვირი, დღევანდელი საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილს, მორალის ნიღაბს ამოფარებულს, კვლავაც ფარისევლობის ჭაობში აქვს ფეხვი გადგმული. გივის კი, მისი სიტყვების პერიფრაზს თუ ვიქმთ, მთელი სიცოცხლის მანძილზე კლავდა სურვილი, მოეცვა მოუცველი, შეეთავსებინა შეუთავსებელი, მას ეს სურვილი ეხმარებოდა მიზნის მიღწევაში.


დაიხ, გივი სინარულიძის ცხოვრების ნირი – ეს არის თავისუფალი სული – ამბობი დათრგუნვილი და ბედმოდრეკილი საზოგადოების წინააღმდეგ. ეს გახლავთ გალაშქრება ე. წ. მორალის წინააღმდეგ, რის შემდეგაც მორალის მოაზრების ახალ, უფრო მეტად საფეხურზე ადის. მისი ქცევა, მიუხედავად იმისა, რომ მრავალ ჩვენგანს ამორალურად და ცხოვრების ნორმალური მდინარიდან ამოვარდნილად გვეჩვენება, არის სწორედ დამყაყებული, ფულით გაყვყეჩებულ ადამიანთა უსახური და ძირისძირამდე გახრწნილი ყოფის მხილება.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ისიც, რომ მე არ მეგულება მეორე ადამიანი, გნებავთ, მწერალი, რომელიც ესოდენ გულწრფელობით წერდეს თავის „ცოდვებსა“ და, ვიტყვი, ფართო საზოგადოებისთვის მიუღებელ ქცევებზე. ის თითქოს იწვევს მთელ თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებას ორთაბრძოლაში და უქმეხად უცხადებს: რაც ვარ, ეს ვარ და სხვაგვარად არ ძალმიძს, გნადათ გამკილეთ, ეს მე საკვებით არ მადარდებს, რამეთუ მე სულით ამალღებული, შინაგანად წმინდა და წრფელი განცდებით თქვენზე აღმატებული ვარო.

და კიდევ ერთი, გივი სინარულიძეს ტრაგიზმით და სიმძიმით აქვს გული დაიარებული. იგი ღრმა, მოურჩენელი იარით არის დაკოდილი, მაგრამ თავის ტკივილს სხვას არ ახვევს თავზე და მოლიმარი, ბედნიერი კაცის ნიღაბს ირგებს მუდამ, რადგანაც გამოცდილებით იცის, ადამიანთა მოდგმას, კერძოდ, მის ირგვლივ მოფუსფუსე ელიტარულ საზოგადოებას, არ შეუძლია ქეშმარიტი თანადგომით სხვისი ჭირის, ნუხილის გაზიარება და გათავისება.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, – გივი სინარულიძის თავისუფალი სულის აღტყინებას ასაზრდოებს ძლიერი და ყოვლის მომცველი სიყვარული: ქალისა, ზოგადად ადამიანისა, მშობლებისა, მეგობრებისა და, რაც მთავარია, სამშობლოსი, რომლის მიღმაც მან ნავსაყუდელი ვერსად პოვა! ეს სიყვარული მოიცავს მას და საბოლოოდ ეს გრძნობა შთანთქავს ყოველივე სხვა არსებითს, თუ არა არსებითს... და მაინც მგონია, რომ გივი სინარულიძის უმთავრესი ღირსებაა მისი ღვთით მინიჭებული ბუნებრიობა, რომელიც ეფუძნება მის უჩინარ სულიერ სამყაროს: ამიტომ უპრიანია, ის მარად ასეთივე იყოს და დარჩეს, როგორც უშუალოდის და შინაგანი ზნეობრიობის მაგალითი.

ელიზბარ ჯაველიძე



თითქოს ცისარტყელა ქალაქის ხიდა და ზედ სიყვარული მტკვენებად ჰკიდია

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია ულოცავენ ცნობილ მწერალს საიუბილეო თარიღს, უსურვებენ დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.

### სიყვარულმა ჩამოთოვა

თბილისური ჯიგრიტა ვარ გაბრწყინებული, სანთელი ვარ, თბილისურად მე ანთებული, ჩემ თბილისზე სიყვარულით გაგიყვებული, ხანძარი ვარ, მე გრძნობების აღმოვებებული.

თაფლის სკა ვარ, მეტეხის მთას დაკიდებული, მე სიტკბო ვარ, სკიდან ფიჭად ამოვებული, თბილისური ემზითა ვარ განათებული და მთვარე ვარ, მტკვარს დაირად ჩაკიდებული.

გორგასალის ხობობი ვარ, გაცოცხლებული, ჩემ თბილისის სილამაზით გოგნებული, გოზინაყად ქცეული და ჩახობებული და უისროდ შენ ქუჩებში გაგორებული.

მე ზვავი ვარ, მთის წვერიდან დაგორებული და, თბილისო, შენს კალთაში ჩაგორებული, ავაზა ვარ, შენი ემზით გაცოფებული, დურაჯი ვარ, შენზე ფიქრით გზააბნეული.

ალვის ხე ვარ შემოდგომის, შეციებული, ფოთლებისგან დაცლილი და გატიტვლებული, შეყვარებულ აკაცობს დაცლებული, მახინჯი ვარ, მისგან უკვე დანუნებული.

გაზაფხულზე აფეთქებულ-აყვავებული, ტაბახმელის ნიავისგან აღზევებული, თბილისისგან გულში მაგრად ჩახუტებული, აკაცობს სიყვარულში გახუნებული.

მე ია ვარ, ვარდზე მაგრად შეყვარებული, შენს ქუჩებში გაზრდილი და გალაღებული, ლამის წყვდიადს დამძვრალი და განათებული, ცისარტყელა, ცის კამარას გაბრწყინებული.

დარდიმანდი, თბილის ქალაქს დაბადებული, ოჯალეშთან, ხვანჭკარასთან შეზავებული, აშული ვარ, შენზე ფიქრით გზააბნეული, „ბროშკასავით“ ვარ შენს მკერდზე მე დაბნეული.

აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ, ამ ქალაქის ფიგარო ვარ და სომხები იძახიან, ჯიგაროჯან, ვორდედ, ოვა, ვიცი, მალე დაზამთრდება და თბილისში თოვლი მოვა, ქუჩებს გაამზურებენ ვახტანგ, აშოტ, ყობო, ვოვა... თოვლის ნაცვლად ჩემს თბილისში სიყვარულმა ჩამოთოვა.

გივი სინარულიძე

# ჩვენსად, ჩარსულთ, ჩვენსად!

## ელმავალში ...

„ორივე ხელი აქ გადამტყდომოდა“, თქვა მან, უზარმაზარი ხელები ნინ წამოსწია და მჯავზე დაიხედა. მერე გრძელი, ზაქარიასისეული პაუზა დაიჭირა, ამოიხვნეშა და განაგრძო:

„... და მაგის აქედან წასვლაზე ხელი არ მომენერა.“  
ეს ამბავი რუსთაველის თეატრის ლია კრეზაზე ხდებოდა. ჩვენ სულგანაბლები ვისხედით. პარტიკის დასაწყისში ჭალარა, ბრგე მოხუცი იდგა. მოხუცად მაშინ აღვიქვამდი, თორემ ორმოცდათხუთმეტისა არც იქნებოდა.

უძინარი და შეწუხებული ჩანდა, იყო კიდევც. ეს „მოხუცი“ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური და ლენინური პრემიების ლაურეატი, რუსთაველის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ბატონი სერგო ზაქარიასი იყო, ჩემი უფროსი მეგობარი.

ხოლო ის, ვისი წასვლის ბრძანებაზეც ხელი მოანერა, იყო ჩემი მეგობარი გოგი ქავთარაძე. გოგი ბაკურიანის ცნობილ სიმპოზიუმზე წავიდა დაუკითხავად და ამიტომ ისჯებოდა, მაგრამ სინამდვილეში მიზეზი უფრო ღრმად იყო ჩამარხული – გოგის რუსთაველის თეატრში სამსახიობო და რეჟისორული მოღვაწეობა აღარ აკმაყოფილებდა და დირექტორობა მონდომებოდა.

აკი, დანიშნეს კიდევც, რუსთაველიდან წასვლის შემდეგ, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად, დირექტორად და მსახიობად. რამდენიმე თვის შემდეგ ტელეგრამა მივიღე ბათუმიდან – გოგი პრემიერის თარიღს მატყობინებდა. წაუსვლელობა არ შეიძლება. ეწყინება. მხარდაჭერა სჭირდება ბიჭს.

წასვალ და, უფროსმა რომ გაიგოს და მიმავლოს ქავთარაძეს, მე ვინ დამნიშნავს მერე ბათუმის თეატრის იმად (თავიდან ნუ ჩამომათვლევენებთ)?!

გაპარვა სჯობს. გადანყვეტილება მიღებულა. გივი ჭიჭინაძე – ჩემი მეგობარი, რაც მთავარია, ბავშვების უდიდესი მეგობარი, ხომ გახსოვთ: „დათუნისა ერგო ერთი ქილა ერობი“. ანდა:

„იცით, ეს ციციქნა სამყურა სხვაზე ლამაზი რითია? ცალ ყურზე ცვარმარგალიტის სამი საყურე ჰკიდია.“

ამავე დროს რუსთაველის თეატრის მსახიობი და მე ლამის თორმეტი საათისთვის თბილისის რკინიგზის სადგურზე შევიპარეთ.

თბილისი-ბათუმის მატარებელზე ყველა ბილეთი გაყიდული აღმოჩნდა. დაუარეთ მატარებელს. „მეუღლაროდნი“ ვაგონიდან დავიწყეთ. გამცილებელმა ხელები გაასავსა, კონტროლორები დადიან, „ლევია“ ვერ წაგვიყვანით. მატარებლის თავამდე, ე.ი. ელმავალამდე უშედეგოდ ვიბუზილეთ. უცნობი კონტროლორის მიშის ზარს სცემდა „პრავადნიკებს“.

ის-ის იყო, განბილბულები უკან უნდა გამოვბრუნებულიყავით, ზემოდან ხმა ჩამომესმა:

– ბატონო გოგი, რა გაგჭირვებიათ? ელმავლის ლია ფანჯრიდან მემანქანე მილიმოდა.

– პრემიერაზე მივდივართ და გვენძრევა, ბილეთი ვერ ვიშოვნეთ-მეთქი ხომ ვერ ვეტყვი, მეგობარს უჭირს და მასთან მივდივართ ბათუმში-მეთქი.

შენუხდა. თანაშემწეს გადახედა. თუ გვიკადრებთ, ამობრძანდით ჩვენთან. ერთად ვიმგზავროთო.

ავიდათ. დიდუბიდან, გასულმა მატარებელმა სიჩქარე აკრიფა.

კაბინაში დასაჯდომი კი არა, დასადგომი ადგილიც არ იყო. ბატონი თედოს უკან, რკინის კედელს მიყუდებული, გაშეშებული ვიდექი, ელმავლის მეორე მხარეს იგივე სურათი იყო. სკამზე მემანქანის პირტიტველა უსაქმური „პამოშნიკი“ იჯდა და გაუთავებლად აბოლებდა სიგარეტს. „პამოშნიკის“ უკან რკინის კედელს მიყუდებული გამხდარი კაცის ლანდი მოჩანდა. ჩემი გათვლით, ეს გივი უნდა ყოფილიყო.

მცხეთამდე სახალისოც კი იყო მგზავრობა – შენსკენ უსწრაფესად მორბენალი შპალები, ჯვარი, სვეტიცხოველი... მატარებელმა დაამუხრუჭა და მივხვდი, რომ ასე ბათუმამდე ვერ ჩავალწევდით.

მცხეთის სადგურზე ცისფრად შეღებილი ხის ჯიხური იდგა, სადაც შარშანდელი ბისკვიტები, ჭიანი კანფეტები, ახალმოხარშული კვერცხები, ცივი კატლები, ლიმონათი, არაყი, შამპანური და უამრავი სხვა რამ იყიდებოდა. ორი ბოთლი არაყით, ორი ლიმონათითა და საშუალო კონდიციის „პრიანიკით“ დავბრუნდი. მემანქანემ, ბატონმა თედომ არაყი არ გაიკარა.

იგოეთთან „ბუხი“ თანაშემწემ ცარიელი ბოთლები სიბნელეში მოისროლა.

რამდენადაც მშვენიერი იყო გზა მცხეთამდე, იმდენად უშნო – მცხეთიდან.

ჩვენსკენ მომავალი შპალების მოძრაობის სიჩქარემ გრადუსის მატებასთან ერთად იმატა და მხოლოდ იმას ველოდით, მინფე გულაბივით როდის მოვწყდებოდით მე და გივი მატარებელს.

ელმავალმა მწარედ დაიკვილა და სამი საათის მგზავრობის შემდეგ გაჩერდა. თავი ავნიე და ჩემსკენ მომავალი მეორე ელმავალი დავინახე.

გადახტომის კი არა, დაკვივების დროც აღარ მრჩებოდა.

ბატონმა თედომ: ახლა აქ აღმართი იწყება, ერთი ელმავალი ვეღარ ენევა, მეორეს მოგვახმარენ, ცოტას ამოისუნთქეთ, ჩვენ ნინა ელმავალში გადავალთ და ჩვენს ადგილზე დასხდებითო.

გვაკოცა ნინა ელმავალმა და მემანქანე „პამოშნიკიანა“ იქ გადაბრძანდა.

მე და გივი სავარძლებში მოვეწყეთ. ერთი, სერგოს შემოახედა, ზაქარიასქს, მეტი არაფერი მინდაო, ჩაიქოქილა გივიმ და მხარი იცვალა.

როგორც მერე გამოირკვა, ჩავთვლივით. ბათუმის გაჭახჭახებული თეატრის, ბულვარის, „ინტურისტის“, ზღვის ტალღების კადრები ძილ-ბურანში ერთმანეთს ცვლიდა, შიგადაშიგ ბატონი სერგოს განრისხებული მზერა ანათებდა, ქავთარაძის მოსალოდნელი წარმატებისა და ჩვენი გაპარვის მოსალოდნელი გამჟღავნების შიში ერთმანეთში ირეოდა.

მატარებელმა დამუხრუჭება დაიწყო, ცოტა ხანს ინულია და გაჩერდა.

გამელვია. გივისაც: რომელიღაც ბაქანზე სულ ორიოდე კაცი იდგა. ისრები დილის 5-ს აჩვენებდა.

– ვაიმე! – გაისმა გივის ხმა. – რა იყო? – სერგო! სერგო!

– რა სერგო, გაუტყე? – გაიხედე... გავიხედე და... უცნობ პერონზე სერგო ზაქარიასქს დგას. არა, ეს სიზმარს აღარ ჰგავდა!

ელმავლის კარი მშვიდად გავაღე, ჩავხტი, მივუახლოვდი... – დილა მშვიდობისა, ბატონო სერგო!

– ო, ბატონო გოგი, თქვენ აქ, საიდან? – მე და გივი, ბატონო სერგო... – ბატონო გივი, თქვენც აქ ხართ? გამარჯობა!

– გამარჯობა... ბატონო სერგო... ჩვენ... მე და გოგი... – მოიცა! – გავანყვეტივით. – ბატონო სერგო, მე და გივი... ყველაფერი ჩემი ბრალია, ქავთარაძის პრემიერაზე მივდივართ, არ გეწყინოთ, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ... მართალია, ჩვენ უნდა გვეთქვა... მაგრამ...

– კარგი, კარგი, რა მოხდა... ელმავალში რა გინდოდათ? – ბილეთები არ იყო და ასე მოვდივართ... – თქვენ რა გითხარით... ბარგი სადა გაქვთ?

აუ, გვიჭერენ!!! არა გვაქვს. – მოდი, ამაღამ ჩემთან დავრჩეთ და ხვალ მე ჩავიყვანთ ბათუმში ჩემი მანქანით. აუ, ქავთარაძესაც იჭერენ!!!

– ჩვენ სადა ვართ? – ხარავალში, ოღონდ სერგო თქვენს დირექტორს, ჩემს უფროს ძმას ჰქვია, მე ბორია ვარ. ეს ჩემი სიდედრია, გაიცანით, თქვენი მატარებლით ჩამობრძანდა, ამას ვხვდებოდი. ისე, ბედი გქონიათ.

ნახევარ საათში ზაქარიასქსის ოჯახში ვიყავით. ირიყრაჟა. პატიყის დრო აღარ იყო და პირდაპირ იმერულად, გაქათქათებულ ლოგინებში შევცვივდით.

სიცილი ჩამესმა და გამომეღვიძა. თვალი გავაჭყიტე, მაგრამ ჯერ ვერ მივხვდი, სად ვიყავი. გვერდზე გივი იწვა და იგუდებოდა.

– რა იყო, გაუტყე?! – მალა აიხედე, შე ჩემო... ჩვენს თავზე, ჩვენი მღვერის – სერგო ზაქარიასის უზარმაზარი სურათი ეკიდა

დიდხანს ვინჯით საბანაფარებულეში. ნელ-ნელა ოთახის ყველა კუთხე-კუთხული იმერული კერძების სურნელით გაიჟღინთა.

დღის ოთხ საათამდე ბატონი სერგოსა და ბუხუტის ფოტოებით განყობილ ზალაში მოვილხინეთ იმერულად. მერე მასპინძელმა თავის მანქანაში ჩავსვს და რამდენიმე საათში ბათუმის თეატრთან მიგვასარილა.

ნეტავ, თუ ასლოკინებდა იმ ღამეს ბატონ სერგოს!

მოსკოვში, მაშინდელ გორკის, ამჟამად ტვერის ქუჩაზე იდგა და დღესაც ამჟამად დგას სასტუმრო „ცენტრალნია“. სწორედ ამ სასტუმროში განთავსდა რუსთაველის თეატრის დიდი დასი 1966 წლის გასტროლების დროს.


ეს მოგზაურობა უკანასკნელი იყო, როდესაც ნომერში ვინმესთან ერთად მომიწია ცხოვრებამ.

ეს ვინმე ნუგზარ პავლოვიჩი გახლდათ. ჩვენ ერთი „პოლულუქსი“ გვეკავა.

ნუგზარი დიდი გულსხმიერებითა და ხელგამლილობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ სუფთა კაცი იყო, უბრეტენზიო. ამდენად, ერთი თვე იოლი აღმოჩნდა მასთან ცხოვრება.

გასტროლები დამთავრდა. თეატრი თბილისში ბრუნდებოდა, მაგრამ მე გადაღებები მქონდა და ერთი კვირა კიდევ მიწევდა დედაქალაქში დარჩენა.

გამომშვიდობების წინ ნუგზარ პავლოვიჩს ვთხოვე: თუ ძმა ხარ, რაც შეგიძლია შეუმჩნევლად გადი სასტუმროდან, თავისუფალ ლოგინს რომ დაიგულებენ, ე მანდ, ვინმე უცხო არ შემომისახლონ-მეთქი. დიახ, მაშინ ასეთი წესი იყო. საბჭოეთში ლოგინს არ გავაცდენდნენ, ადგებოდნენ და ვინმეს შემოგისახლოვდნენ, ისევე დიდი საბჭოეთის მოქალაქეს, ვთქვით, ყირგიზეთიდან ან ესტონეთიდან. წასვლის წინ სართულის მორიგეც კი გავაფრთხილე. წარმოიდგინეთ, ერთი



გოგი ხარაბაძე

თვე იქ ცხოვრობდით, ჩვენს ქუჩაზე გვეყავდა მოქრთამული ხან შოკოლადებითა და ყვავილებით, ხან რითი და ხან რითით... ნუგზარ პავლოვიჩი დღეს მიდის, ნუ გამიბაზრებ ამ ამბავს, უცხო ვინმე არ შემომისახლონ-მეთქი. დამპირდა, ჩემზე იყოსო.

ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, უკან რომ მოვბრუნდით. სიმართლის თქმა ჯობს – მართო არ გახლდით. სართულის მორიგეც შემაჩერა:

– У тебя там новый жилец, куда ты ее ведешь...? – Как? – გავგიჟდი მე. – Нугзар Павлович обошел всю гостиницу от директора до последней уборщицы... поблагодарил всех, попрощался. У нас другого выхода не было, вот и подсадили нового жильца... что поделаешь?!

აი, ასეთი საჩუქარი გამიკეთა ნუგზარ პავლოვიჩმა, ჩვენმა სასიქადალო კომენტატორმა ნუგზარ ჯულელმა.

განბილბულები გამოვბრუნდი უკან. მეგობარი შინ მივაცილე და, სხვა რა გზა და ჯანდაბა დამრჩენოდა, ნომერში ავედი. კარი შევაღე და... დიდი ოთახის შუაგულში, მრგვალ მაგიდაზე... ხელი დევს... შავი ხელი, უფრო სწორად, ხელი შავ ხელთათმანში...

საძინებელში ნათურა ანთია. ნუგზარის ლოგინში უცხო კაცი ნევს... შიშის ოფლმა დამასხა. ვუყურებთ მოჯადოებულელებით ერთმანეთს მე და ნუგზარის მაგიერი... მერე წამოინია და ცალი ხელი გამოუჩნდა, მეორე ისევე მაგიდაზე იდო...

საკუთარი მუხლებისა და კბილების წკარუნი გავიგონე და თავქუდმოგლეჯილი ნომრიდან გავვარდი.

კარგად მახსოვს, კვირა დღე იყო. სართულით მაღლა გოგი ქავთარაძე ცხოვრობდა. ბედად, ნომერში დამხვდა, დამანყარა, დამამშვიდა, წყალი მაპკურა. ერთად ვაგინეთ ჯულელს და ბოლოს, ცოტა გადაკრულში იყო და – გმირული გადაწყვეტილება მიიღო:

მე, მე გადავალ, ჩემო ძმაო, შენს ნომერში. შენ აქ იცხოვრეო. ისედაც აღელვებული ვიყავი და გოგის ამ კეთილშობილური საქციელის შემდეგ სულ არ დამეძინა. დილით ამობრუნდა. მშვენიერი კაცია, რომელიღაც გასაიდუმლოებული ავიაქარხნის დირექტორია, როსტოვის ახლოს. უთენია ადგა, მომიბოდიშა და წავიდაო. როგორც იქნა, მეღირსა ჩემს ოთახში დაბრუნება. შხაპი მივიღე, ტანსაცმლის გამოსაცვლელად კარადა გავაღე და... მთელი თაროები საცხა არაყის ბოთლებით, სუფუხითა და ბასტურით. ყველაფერი გულდასმით დავათვალიერე, სადმე „ზაპასნიო“ ხელი, ხომ არ ჰქონდა დამალული. არ აღმოჩნდა.

ასე გავრძელდა ერთი კვირა. როსტოველი ქარხნის დირექტორი ღამით ლოგინში მიძინარე ქავთარაძეს ხედავს, დილით, ტანსაცმლის გამოცვლის დროს, ხარაბაძეს და ეს ერთი და იგივე კაცი ჰგონია ამ უბედურს, მაგრამ საქმე ის არის, ჩვენც ვერ ვხვდებოდით, ვერც წარმოვიდგენდით, რომ ერთ კაცად აღგვიქვამდა ეს უპატრონო.

რა მოხდა, გაუჭირდა კაცს! თქვენ რა? იოლად არჩევთ იაპონელს ჩინელისგან? ან ესტონელს ლატვიელისგან? პოლად, ასე არიან ისინიც, ე. ი. რუსებიც. ხშირად უკითხავთ ჩემთვისაც, ოღონდ ახალგაზრდობაში: „Вы еврей или азербайджанец“-ო. ამ უბედურსაც რა ექნა, დილით ადრე მიდიოდა უფროსობაში და ყელამდე საბანაფარებული ქავთარაძის თავს ხედავდა, ხოლო საღამოს მე, შხაპის მიხალეზად ან ტანსაცმლის გამოსაცვლელად წუთიერად შესულს და აერია „რამსები“.

ერთხელ მე და გოგი ერთად შევედით ნომერში. მრგვალ მაგიდას უჯდა. თხლად დაჭრილი სუფუხი და ბასტურმა, შავი პური, ბრინჯა და არაყის ბოთლი ედგაწინ. ერთი კი ამოგვხედა... გვიყურა, გვიყურა გამტყერებულმა და... გადაყრავდა საცოდავი.

მოვასულიერეთ და მთელი დღე გვიჭახუნებდა ცალი ხელით ჭიქას. სულ „Ой, бяда... ой, бяда“-ს იძახდა! მეორე დილით მე გამოვფრინდი, გადაღებები დამიმთავრდა.

არა! გადაღებები გოგისაც დაუმთავრდა, მაგრამ იმ ნომრიდან, სანამ კარადაში განთავსებულ არაყის ბოთლებს არ დაცლიდა, ვინ გამოიყვანდა. თუმცა, როგორც მერე თვითონ გამოტყდა, კარადის დაცარილების შემდეგ ჯერ თავისი და შემდეგ გასაიდუმლოებული ქარხნის ხელმძღვანელის ჯიბეებიც დააცარიელა და მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდნენ დირექტორი – ავიაციას და გოგი – ქართულ ხელოვნებას.

**გზაში**

სასიძონი  
კვიპაროსნი  
ასვეტილი ბიჭებია,  
წვეტიანი ქუდით თავზე  
ლაჟვარდებში იჭრებიან.

და თეთრკაბა ნუშის ხეებს  
ნუშის თვალი უხელიათ,  
ალვის ხეებს იწუნებენ,  
თუთის ხეებს უმღერიან.

აქეთ კაკლებს, გაბერილებს,  
თავის ჩრდილს რომ უცქერიან,  
მშვენიერი ატმის ხენი  
ჩუმად ეკეკლუცებიან.

შეუცვლია ყველას ფერი,  
ზეცა ლურჯი ზღაპარია,  
დღეს ყველა და ყველაფერი  
გაზაფხულმა გადარია.

**სანთელი**

ილოცდა ხელებაპყრობილი  
და ხელუხლები.  
სხეულის დანვით განირიდა  
ბნელეთის რიდე...  
მერე ნელ-ნელა, თავისთავად,  
მოსწყდა მუხლები –  
ჩაიჩოქა და  
გათავდა კიდეც...

**ნაძვი**

პატარა ნაძვო, გეხლება ქარი,  
ზამთრის ქარი და თოვლი,  
სუდარას გაფენს ეს იანვარი,  
ტყეს ჟამი უდგას გლოვის...  
განყდება ქარი, უნდა როგორმე  
გაგტეხოს, დაბლა დაგცეს,  
ნუ გერცხვინება, თუ გაჭირვებულს  
ოხვრა და კვნესა დაგცდეს...  
შენ მაინც უნდა იდგე, ძამია,  
ყოველგვარ ჭირში გაძლო.  
რა ვქნათ, თუ ახლა თოვლის ქარია,  
მზეც გადმოგხედავს, ნაძვო.

**ვიქრი**

გულწრფელი ვიყავ,  
მართალი ვიყავ,  
ძალიან ბევრმა  
ხელობაც მიქო.  
ვილაც მლანძღავდა,  
მაქებდა ვილაც,  
ჩემთვის ყოველი  
სულ ერთი იყო.  
ჩემში, ჩემს გარდა  
იყო ვილაცა,  
ჩემთან დარდობდა,  
ჩემთან ულხინდა.  
სულს უამებდა  
სუფრა იმასაც,  
ერთად ვდგებოდით  
საძმო სუფრიდან...  
ცრემლს ისლა ღვრიდა,  
მე რომ ვტიროდი,  
ვალეებიც ჩემი  
უნდა ეხადა.  
ჩემი კაცობის  
იყო მირონი,  
ქვეყანა როგორ  
არ დაეხატა...  
სულსა მხდიდა და  
მაცლიდა სიქას,  
ბევრჯერ დროც თითქოს  
მისით შეჩერდა...  
არაყს მოსვამდა  
ნახევარ ჭიქას,  
ფუნჯს და საღებავს  
მომაჩეჩებდა...  
ტანჯვის და ეჭვის  
მსერავდა ჭვალის.

და მაინც, ჩემო,  
უნდა მენირა –  
მწამდა-არ მწამდა  
საკუთარ თავის.  
და ხშირად სული  
კბილით მეჭირა...  
სინრფელ-სიმართლის  
ჭაპანს მივათრევ,  
უკვე ახლოა  
კარი სამარის.  
ქება-ძაგება –  
გითხრათ სიმართლე –  
ჩემთვის სულერთი  
სულაც არ არის!!!

**ზღვასთან**

ზღვასთან, სილაზე თამაშობს ბავშვი,  
სილით შენდება სახლი თუ ხიდი.  
მზე უციმციმებს პატარას თმაში,  
აგვისტო იწვის კიდიდან კიდი  
და კმაყოფილი თამაშობს იგი  
ნიჟარებისგან ნაშენ აუზთან...  
მოვარდა ტალღა, თეთრი და თბილი,  
ყველაფერს ფართო ხელი წაუსვა...  
და გულიანად იცინის ბავშვი,  
რა შეედრება იმის ცელქობას,  
მერე თავიდან იწყებს, აშენებს.  
კვლავ მოდის ტალღა... ბავშვი ერთობა...  
და ამ ბავშვს ვგავართ ამქვეყნად ყველა.  
ვხარობთ, გვიყვავის  
ვარდიც, სოსანიც  
და მერე მშვიდად, ნელა და ნელა  
თავის ფართო ხელს გვისვამს დრო-ჟამი...

**წყაროსთან**

მოთქრიალებს, მოჩუხჩუხებს წყარო,  
მზე კი მთებზე ამალლებს ცდილობს.  
– გამარჯობა, ჩემო ბებო დარო,  
– ჩემი სწორი მოიყარე, შვილო...

თოვლიან მთებს მზე ამოსცდა უკვე  
და ილხენენ იისფერი მთები.  
– ახალგაზრდებს დილის ძილი უყვართ,  
ჩვენ კი მუდამ ადრინად ვდგებით.

წყაროზე თქვეს ხნიერებმა აგრე,  
სინანულად ჟღერს მათი ხმის კილო.  
– მართა ბებო, რათა სდგებით ადრე?  
– ამ სიცოცხლეს ვეშურებით, შვილო!..

**გაზაფხული**

ენძელები თეთრი თოვლის რუკას,  
მოხატავენ თითქმის ყველა მხარეს.  
გაზაფხული ლოლულებზე უკრავს  
და წკრიალი ეფინება არეს!  
საფრთხილოს ჩიტი გულში პოეებს,  
ვერ იჩერებ უმიზეზო სიცილს,  
ლამაზ სტრიქონს აპოვინებს პოეტს  
და დაცხრება ცოტა ხანი, იცის...  
ცას ღრუბელთა გადაუვლის ჯარი,  
მზე უეცრად ჩამოაფენს სხივებს...  
აქროლდება გაზაფხულის ქარი  
და ზამთარი დაიძვრება მძიმედ.  
გაყურდება ყველაფერი ერთხანს.  
ტკაცატკუცი აუტყდებათ კვირტებს.  
ჩამობერტყავს ზეცა მრავალ მერცხალს,  
ირგვლივეთი რა სიხარულს იტევს.  
ენძელები თეთრი თოვლის რუკას,  
მოხატავენ თითქმის ყველა მხარეს.  
გაზაფხული ლოლულებზე უკრავს  
და წკრიალი ეფინება არეს!

**დედაჩემის, საუბ (ალექსანდრა) მდივნიშვილის დარიბება**

– შეგხვდება თოვლი, სიცივე, ცხოვრების  
რილო-ჭრილო,  
არ გაბოროტდე, იცინე – შენ, ჩემო თვალისჩინო!  
ცხელ გულზე არ გადაწყვიტო, არც ვის დაჰპირდე  
ხვალეს,  
სანამდე სიტყვას იტყოდე, ათამდე დაითვალე...



**შოთა სოდაშვილი**

სულ იუმორით შეხედე გაჭირვებას და ტკივილს,  
დარდებს არ გაეთელინო, არც ვარამსა და ტირილს.  
გულმხიარული იყავი – შუბლი შეიკარ ძვირად.  
ლექსი სულყველგან იციან, მთესველია თუ მხვნიელი,  
ლექსში ვეება სიბრძნეა კაცობრიობის მსხნელი.  
სულ ლექსმა გააძლებინა ქართველი კაცის მოდგმას.  
სილამაზე აქვს მარადი თვით დატირება-

მოთქმას:  
– „დასხდნენ მგოსანნი გლოვისა“, არცა  
შემკრთალან ოდნავ,  
მასაც კი სილამაზე აქვს, გლოვის სიტყვებით  
მორთვას.

სიტყვაა დიდი ნუგეში – აქვს თავის ხმა და ჯიში.  
თუკი ჭირს აკეთილშობილებს, მამ, რა იქნება ლხინში!  
წუთისოფელი დიდია, კარგკაცობისთვის – მცირე.  
შენ ნუ იქნები ნურასდროს კარგს და ცუდს  
შუა – ტირე.  
შენ ნუ იქნები, იცოდე, ის ქვასროლია სესე.  
სიტყვა ნათელით, ნარჩევით – სითბო, სიკეთე  
თესე!

არ დაგავინყდეს მოკითხვა და ახლობელთან მისვლა.  
გულს კი ნუ ატკენ ნურასდროს, გულს  
გაუფრთხილდი მისას!  
რომ უხაროდეთ დანახვა შენი და მოსვლა-  
მისვლა.

რასაცა გასცემ, მომიკი. ვინც თესავს – ისა მკისა!  
არ დაუნუნო არავის მასპინძლობა და სუფრა,  
თუკი არა აქვს სუფრაზე სასმელ-საჭმელი უხვად.  
ნუ მიხვალ, სადაც არ სურხარ, ის უშენოდაც  
გაძლებს –

მხარში დაუდექ, თუ უჭირს, თუ კარგად არი – განზე!  
არ შეარცხვინო ეგ შენი წარმოშობა და გვარი,  
ყველაზე საამაყო კი, კარგი სახელი არი.  
თავაზიანად მოექექე პატარებსა და დიდებს,  
ჭაბუკობაში დათესე, რომ სიბერეში მკიდე.  
მამულს, ოჯახს და მეგობრებს – ცალ-ცალკეა  
თუ გუნდად...

უზომო სიყვარული და პატივისცემა უნდათ.  
– მწვავდა, მათობდა, მიძლოდა ქართული ლალი  
ლექსი.

სულ ტკივილებით ვიცხოვრე – ნაღდი პოეტის წესით.  
ვერასდროს შევინარჩუნე ის კარგი „ოქროს კვეთი“.  
მადლობელი ვარ, დედილო, შენა ხარ  
ჩვენი ღმერთი.

ზომიერება კარგია, მაგრამ მარადის მსდევდა –  
უზომოდ ნაღდი გრძნობები, სითბო, დარდი და  
სევდა.

მათრია, მცემა ცხოვრებამ ათი ათასი ღვედით.  
ვუძლებდი შენი იმედით, შენი სიმხნევით, დედი.  
არა ვწუნუნებ, მე ვიცი – ეს არის ჩემი ბედი.  
ათასი ჭირი მომკერდა, ვერ მომიხარა ქედი.  
ეს მაძლებინებს, დედილო, გული მაქვს ისევ ბავშვის.  
თუკი შემცვალა ცხოვრებამ, ვილა ვყოფილვარ,  
მაშინ?!

ჩვენი ქართული, მართალი სიტყვა ხომ რჩება  
ღმერთად.  
ვერმომერევა ცხოვრება – მე და სიტყვა ვართ ერთად!..

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკა-  
დემია და გაზეთ „ლიტერატურული საქართვე-  
ლოს“ რედაქცია იუნჯებიან, რომ პოეტ შოთა  
სოდაშვილს გარდაეცვალა მეუღლე  
**თეარ სუციშვილი**  
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის  
ოჯახს.



# ფსიქიკასა და სოცხალ სხეულს შორის... კობა არაბულის მითოსის საყარო

იუნგი თავის სალექციო კამათში ფსიქიკასა და სოცხალ სხეულს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებაზე, დოქტორ ვილფრედ რ. ბაირონის საპასუხოდ, ამბობს: „ევროპა აზიის მხოლოდ ნახევარკუნძულია; მაშინ, როცა ყველა კონტინენტზე მოიპოვება უძველესი კულტურები, რომელთა ნიაღვრე ადამიანები ათასობით წელთა მანძილზე ინტროსპექტულ ფსიქოლოგიაში ინვერტირდნენ სულს, მთელი ჩვენი ევროპული ფსიქოლოგია არათუ გუშინ, არამედ დღეს დილითა გამოვიწყეთ. ამ ხალხებს ისეთი შინაგანი ხედვა აქვთ – პირდაპირ ფანტასტიკური, ამიტომ არაცნობიერში ზოგი რამის გასარკვევად იძულებული გავხდით, მზერა აღმოსავლეთისკენ მიმემართა, აღმოსავლური სიმბოლიკის გასაგებად გავრჯილიყავი“-ო.

თითქმის იმავეს იმეორებს დიდი მისტიკების ავტორი ჰერმან ჰესეც: „ჩვენი მგზავრობის მიზანი, ეს ჩვენი აღმოსავლეთის ქვეყანა, არ იყო გეოგრაფიული ცნება. ის იყო სულის სამშობლო, ის მდებარეობდა ყველგან და არსად და ყველა დრო მასში ზედროულობას ერწყმოდა. ამის ცოდნა მხოლოდ ნამიერად მომეცა და იმჟამად ეგ იყო ჩემი უდიდესი ბედნიერება“ („მოხილვა დილის ქვეყნისა“).

ძველი ახლო აღმოსავლეთი – ძველი შუამდინარეთი და უფრო უძველესი იბერიული... ჩვენ არ გვჭირდება არც დილის ქვეყნის მოხილვა და არც საღამოს ქვეყნისკენ გახედვა. ჩვენ მხოლოდ საკუთარ ნიაღვრე უნდა ჩავიხედოთ, იუნგის ცნებით – ჩვენს „ინტროსპექტულ ფსიქოლოგიაში“ ანუ შინაგან სიღრმეში და იქ გამოვავლინოთ, იქ გამოვწვრთნათ დღევანდელი ატროფირებული და მეხსიერებაწაშლილი სული.

ინტროვერტული ხედვა სწორედ ის, რასაც სივრცის მეოთხე განზომილებაში შევყავართ – ესაა სიღრმე. ყველა სამ სივრცით განზომილებათაგან განსხვავებით, იგი ყველაზე შეუცნობელი და იდუმალია. იგია დასაბამი და, სწორედ, იქ არის დამარბული ჩვენი საწყისური, არქაული ცოდნა და სიბრძნე, ჩვენი მითური ანდრეხები, რომლებიც ისევე ძველია, როგორც თავად სამყარო.

შინაგანი ხედვით ჩვენ ვიძირებით ჩვენს არაცნობიერში – „ბნელ წარმოდგენათა“ სფეროში, მაგრამ, თუკი ამ არაცნობიერს ფარდობითობის კატეგორიაში შევიყვანთ, იმას, რასაც ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ არაცნობიერს ვუწოდებთ, მითურ დროში და იმ დროის ადამიანთათვის ყოველივე ეს სახეებით ცნობიერი იყო. თუ გამოვავლინებთ მითებს, თუ შევძლებთ „სიზმართა დროში“ შეღწევას, იქიდან სხვა, ახალ რეალობაში გამოვიღვიძებთ. ამას მარადიული „დაბრუნება“ ჰქვია. და ნუ გაგიკვირდებათ, თუ ერთ მშვენიერ ენკინობის დღეს, კიდობნის გახსნის დღეს (ეს იგივეა, რაც ნოეს კიდობნიდან წარღვნაგამოვლილი ანუ განწმენდილ-განახლებული სიბრძნის, ცოდნის, ციციცხლის ინფლაციის დღე!) ხოგაის მინდი მოულოდნელად დაბრუნდეს თავის სამშობლოში..

მარადიულ სამშობლოში მარადიული დაბრუნებით იწყება მიმქრალი, მიბინდული მეხსიერების აღდგენა. ნელა, მყოვრიად შეიცნობ შენს არქეტიპებს, არქეტიპექტებს, მთელ არქერეალობას და ისინიც შეგიცნობენ შენ. ასე დაბრუნდამინდიადა: „პირველად ღვთისმშობლის ნიშმა იცნო მოსული?!“

მერე – პირიმზის ყვავილმა, რომელიც ის ის იყო ამოდიოდა თოვლიდან და მერე – ქალმა, რომელსაც მთვარის შუქი ედგა სახეზე...“

არც ქაჯავთეგამოვლილ, სიბრძნედა-კარგულ მინდიას ასსოვდა ბევრი რამ: „ის თანდათან იხსენებდა ქალს,

## ნაილი პირველი

რომელიც მის ხსოვნაში სანთელივით ენთო...  
 იხსენებდა ძალს,  
 რომელსაც „წმინდა გიორგის მწვეარი“ ერქვა...“  
 იხსენებდა ცხენს – მტრის მდევარს, სამშობლოს ნიშებს – სულში რომ ედგნენ... ფარს – დავითფერულს...  
 „და ბოლო ომს, რომელიც მისთვის საბედისწეროდ დასრულდა...“  
 და ხდება სასწაულებრივი, საკრალური, მისტერიული გარდასახვები: „ბრუნდებოდა ხოგაის მინდი: თანდათან ჩამოდიოდა სინათლე მთებზე, ბრუნდებოდა ღამე – ღამეში, დღე – დღეში, სიხარული – სიხარულში, დარდი – დარდში, ზამთარი – ზამთარში, ყვავილი – თოვლში, ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა...“

ასე იბადება უმაღლესი კანონზომიერების ქაოსიდან კოსმოსი!..

და ისევ ენგადთან მისვლა... ისევ ქაჯებთან ომის მითი... ისევ გრანდიოზული მისტერიები... ხორციელი მინდია კვდება, სულიერი მინდია აგონიაში დადის – მითურ და სიზმართა დროში გარდაქარდება, იქ, სადაც მარადიული შესაძლებლობების წარმოუდგენელი სინამდვილეა, ამოუნურავი, უწყვეტი გარდასახვა-გარდაცვალების (და არა სიკვდილის!), მუდმივ შესაძლებლობათა უსაზღვრო სივრცე და...  
 მინდიაც ახალი მზის სინათლეზე გადაის. ამ სინათლეში დევს მისი ღვთაებრივი ონტოლოგიური იმპულსი. აქ, სახელდობრ აქ, პოეზიით გამოვლინებულ მითთა და მითებით ნაშობი პოეზიის ცოცხალ ქურუმს, ბატონ კობა არაბულს (ღმერთმა ნუ ქნას – უკანასკნელს!) მითომეცნიერებაში დამკვიდრებული ცნება, – „მითოსის ეტიოლოგიზმი“, – ახალ თვისებაში გადაჰყავს. ეს „ეტიოლოგიზმი“ არ მოიცავს ოდენ მიზეზობრიობას. მიზეზობრიობა მხოლოდ საწყისთან მიბრუნება, არქეტიპთან მისვლაა. ბატონ კობა არაბულის „მითოსის ეტიოლოგიზმი“ მიზეზობრიობის გვერდით შედეგობრიობის სივრცეც ჩნდება, რასაც სტატეკური საწყისობა დინამიურობაში გადაჰყავს – ცოცხლდება მითური დრო, ცხადიერდება სიზმარული რეალობა. გაძგიფული კადრები მოძრაობას იწყებენ, არქეტიპები – ჩვენი მუდმივი არსებობის ღვთაებრივი ონტოლოგიური მუხტები – იღვიძებენ, ხორციქმნილი ხდებიან...  
 „მაშინ ხოგაის თორმეტი წლის უწვერული ყრმა დაუდგა თვალნი –  
 გამოეცხადა ჭიმაღ!  
 მას ახალ ასხნული ჰქონდა აბჯარი და პერანგს დაბლა ჯერ კიდევ არ მოუჩანდა მუქასარი?!“  
 ჯერ მთლიანად მონიფული ვერ იყო კაცად და მეომრად...  
 „მე შევადრევე ქაჯთა ქალაქში – უთხრა ამ ყრმამ ხოგაის – და შიგნიდან ჩაკეცავო ჩემი მახვილი...“  
 „ვერ შეძლებო“, – უთხრა ხოგაიმ.  
 „კი, ვიზამო“, – მიუგო ყრმამ და „ვერცხლის მძივი დაანახვა ხოგაის...“  
 „...“  
 ხოგაის გაახსენდა სამძივიანთან ნაწოლი ღამე...  
 „მე ღვთის ნასახი ვარო!“ – უთხრა ვაჟმა...  
 „მამ, კი შეხვალ და შეაღწევო!..“ – მიუგო ხოგაიმ, –  
 შენ შეილი ხარ ჩემი –


და ეს ნაზმანები მქონდა ძილის-შორისშიო“ ...

საკუთარი მე-ს შეცნობისა და ენიგმა-ინფორმაციის ამოკითხვის მთელ ამ მისტიკურ ნაწილს, უფრო შორს მოგვინვეს ნასვლა. განსაკუთრებული ცოდნა უნდა გამოვიხმოთ გონის უფსკრულიდან. აქ, ერთი ნუთით, თქვენი ნებართვით, ისევ იუნგს შევანუხებ, რომელიც ამბობს: „განსაკუთრებული ცოდნა საშინელი ნაკლია – კაცი, რაღაცნაირად, მეტისმეტად შორს მიჰყავს, ისე შორს, რომ მას ახსნა-განმარტების მოცემა აღარ ძალუძს“.

როგორმე შევეცდები ახსნა-განმარტების მოცემას... და, როგორც ვთქვი, ამისთვის მაინც მომიწევს გზიდან გადახვევა.

სამყაროში ყველაფერი – სულიერი თუ უსული, მათ შორის ჩვენც, ადამიანები, – უმცირესი ნაწილაკებისგან, ატომებისგან შედგება. ფოტონსაც კი, – სინათლის ამ უმცირეს კვანტსაც აქვს თავისი წარმომავლობის ენიგმა-ინფორმაცია და ჩვენ, უმაღლეს არსებებს, რომელთაც წარმომავლობის იგივე – ვარსკვლავიერი ნიაღვრე გვაქვს, განა ჩვენშიც არ იქნება კოდირებული ენიგმა-ინფორმაცია? სწორედ, რომ გვაქვს და, სწორედ, რომ ამ ენიგმა-ინფორმაციით მოხდა ხორციელი მინდიას და მისი ღვთაებრივი არქეტიპის – ბალლი მინდიას ურთიერთშეცნობა. მას ცნობიერებისა და სამყაროს ერთიანობა განაპირობებს, რომელიც, თავის მხრივ, გვიხსნის მითურ ცოდნას და მითურ მეხსიერებას. ეს კი გასაღებია დასაბამითი სამყაროს მდგომარეობაში გასასვლელად, რაც ნიშნავს იმას, რომ გვეძლევა ზოგადი რეალობის ინფორმაციების წვდომის შესაძლებლობა. არადა, სამყარო გაუქვნილია ენიგმა-ინფორმაციებით. იგი გვიამბობს თავის თავზე და პარალელურ სამყაროებზეც, ხილულ თუ ბნელ მატერიებზე, ფიქსირებულ თუ ბნელ ენერგიებზე, უნივერსუმთა სიმრავლეზე, მათ მდგომარეობაზე, მაშინაც კი, როცა ყველაფერი ღრმა სინგულარობაში „თვლემდა“, როცა სამყაროთა მთელი ეს სიმრავლე და უსაზღვრო განვითარება წერტილი იყო, ნულოვანი რადიუსით.

კვანტური ფიზიკის მიხედვით, ობიექტის თვისებრივი უნიკალობა განისაზღვრება არა მისი შემადგენელი ნაწილაკებით, არამედ იმ ინფორმაციით, რომელსაც ეს ნაწილაკები შეიცავდა. ასევე ადამიანი, ეთნოსი, ერი. მათი თვისებრივი უნიკალობა, თვითმყოფობა, მათი არსებობის აუცილებელი პირობა ენიგმატური ინფორმაციაა. ასე, რომ ლოკალური რეალობა სუბიექტისა თუ ობიექტისა ყოველთვის სცილდება იმ ერთი, კონკრეტული სამყაროს ზღვრებს, რომელსაც ვიცნობთ, რომელშიც ვარსებობთ, და მიუღმივად ქმნის ახალ ალტერნატიულ სამყაროებს, სადაც სუბიექტის თუ ობიექტის შესაძლებლობათა უსასრულო ვარიანტების განხორციელება შესაძლებელია. კაცობრიობის გრძელჟამიერი ისტორია სახეა ერების, ეთნოსების, ცივილიზაციების სასაფლაოებით. ისინიც ცოცხალი ორგანიზმებია – იბადებიან, ვითარდებიან, კვდებიან. მეცნიერთა ანალიზური დასკვნებით, ყოველი ეთნოსის სიცოცხლის ხანგრძლივობა, საშუალოდ, 1500 წელია. გაივლის რა თავისი განვითარების ექვს ფაზას, მისი უდიდებულესობა ისტორია მათ თავის სასაფლაოზე მიბრძანებს, მაგრამ კაცობრიობას შემორჩა ცივილიზაციები, რომელთა არსებობა გაცილებით მეტ დროს მიითვლიან. როგორი პარადოქსულიც უნდა გეჩვენოთ, ეს ფაქტია. როგორ ხდება ეს? როგორ ახერხებენ ერები და ცივილიზაციები გადარჩენას? სრულიად „მარტივი“ კანონზომიერებით – ისინი მარადიულად უბრუნდებიან თავიანთ მითურ დროს, თავიანთ არქეტიპებს. ჩვენ, ზერელედ თუ ღრმად, რაღაც მაინც ვიცით შამანთა სამკურნალო, მაგიური რიტუალების შესახებ.



როდესაც შამანთან სხეული განსაკურნად მიჰყავთ, აქ ისე არ ხდება, როგორც ეს დღევანდელ ექიმსა და პაციენტს შორის. შამანისგან პაციენტი არ იკურნება. მას პაციენტი „გადაჰყავს“ მითურ დროში (ტელეპორტაცია!), უფრო ზუსტად, ახდენს მისი სხეულის ინფორმაციულ პროცესირებას მითურ სივრცე-დროში, სადაც მიმდინარეობს მისი ხელახალი დაბადება. ასევე ემართება ეთნოსს, თუკი მისი მეხსიერებიდან არ არის გამქრალი ინფორმაცია თავისი საწყისური მდგომარეობისა. მხოლოდ იმ სივრცესა და დროს ველშია გარდაცვალებათა (და არა სიკვდილის!) უსასრულო შესაძლებლობა. მეხსიერება, ის, რაც „ნაზმანები ქონდა ძილის-შორისში“ მინდიას, არის ერთადერთი შემაკავშირებელი რგოლი კონკრეტული მომენტის ცნობიერების ველში არსებული შინაარსებისა (ობიექტების, მოვლენების) და ცნობიერებიდან „გამქრალ“, არაცნობიერ წყვედაღში ჩაძირულ შინაარსებს შორის. თუ მეხსიერების ველი გაუდაბურდა, ნებისმიერ ყოფიერს იგივე ემართება, რაც ფესვგამხმარ ხეს. ამ დროს ყოველი არსებული კარგავს კორექციის უნარს, ერღვევა გენეზისური ვესტიბულატორი, ეკარგება რეპროდუქციონის თვისები. იკარგება კონტროლი საკუთარ არსებობაზე. ეს ადგილის დაკარგვა სივრცე-დროში, საარსებო გარემო-პირობის გაქრობა სამყაროში. ჩვენ, ჩვენი ეთნოსი – იბერიული რასა, როგორც სხვა დანარჩენი, ვარსებობთ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ენიგმა-ინფორმაციით (თვისებით) და არა რაღაც ბიოკორპუსულებით! თუ ჩვენ დავკარგავთ, გავიმრუდებთ ან შევიცვლით გენეზისურ ინფორმაციას, მივიწყებთ მის ენას, სამყარო უმაღლვე გამოგვადევნებს თავისი სისტემიდან და ჩვენც ისტორიის გადახახვებულ საფლავებს შორის აღმოვჩნდებით. სიკვდილი არ არის გზა არც სამოთხისკენ, არც ჯოჯოხეთისკენ. იგი მხოლოდ წარმოუდგენელ მდგომარეობაში გადაგვიყვანს, რომელსაც ჩვენი გონი, ცნობიერი თუ ქვეცნობიერი ვერანაირ სუბსტანციურობას მიუსადაგებს და რომელში ჩახედვაც თვით ღმერთსაც კი შეაძრწუნებდა.

ამიტომ მარადიულად უნდა ვუბრუნდებოდეთ ჩვენს მითურ დრო-სივრცეს, სადაც ვიპოვით ყოფიერების უსაზღვრო და უწყვეტ შესაძლებლობებს. კობა არაბულის გამოვლინებული მითი ის კოორდინატული გადაკვეთაა, სადაც ერთმანეთს ხვდება ხორციელი და ღვთაებრივი მინდია, მომაკვდავი, ონტოლოგიურ იმპულსდაკარგული „მოხუცი“ ხოგაი და „თორმეტი წლის უწვერული ყრმა“ მინდია, რომელმაც თავიდან უნდა გაიაროს ის გზა, რომელიც მისმა წინამორბედმა გაიარა. იწყება სასრულ-უსასრულო ომი ქაჯავლებთან და, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს არსებობის პირობაა. რომ არ იყოს მთა და ლოდი, აღარ იქნებოდა მარად ცოცხალი სიზიფე...  
 ჩვენ მუდმივად უნდა ვახდენდეთ თვითდენტიფიკაცია!..  
 ვაზროვნებდეთ იქ, სადაც მატერიულად არ ვარსებობთ!.. ■



1. საიდუმლო დავალები

კიბე ბანცალით ავათავე და ზარი დავ-  
რეკე. კარი როდის-როდის გაიღო და ჩემი  
მეორე ნახევრის გაავდრებულმა სიფათ-  
მა გამოანათა:

- კაცი დაბერდი და ჭკუა ვერ ისწავ-  
ლე. ვერ უნდა გამტყყრალიყავ, სუ და-  
კარგე თავმოყვარეობა? მეზობლები რას  
იტყვიან...

- ერთი მაგათი! აჩოტებს ჩავაბარებ,  
აი! - წავილულულე.

ცოლმა ბუზლუნი მაინც არ მიატოვა.  
დივანთან მიმიყვანა და დამსვა...

\*\*\*

ჩვენ ერთ უბანში ვიზრდებოდით  
და კარგად ვიცო, რა მახვილაკი ვინმეც  
ბრძანდებოდა! არც მე გახლდით ჩალა-  
ში მისაკარგავი ნემსი! მაგრამ დრონი  
იცვალენ. ეგ ახლა ისეთ სიმალღეზე  
შეფრინდა, ჯერ კიდევ კანტიკუნტად შე-  
მორჩენილ მეგობართაგან ბევრი ვერ გა-  
უბედავს წარსულის უსახელო დღეების  
შეხსენებას. იყო დრო, როცა, ვისაც არ  
ეზარებოდა, ყველა თავში უჩაჩქუნებდა.  
რუსის „ბარაბანს“ არ მოხვედრია იმდენი,  
რამდენიც მაგის გოგრას. შეიძლება  
ზოგმა ჩემზე იფიქროს, მაინც რამ გა-  
ამაცა ეს კაცი, ასე რომ გულახდილობს,  
არ იცის, კედელსაც ყური აქვს გამობმუ-  
ლიო. ახლა ვიღას სჭირდება ჩემი ქეცია-  
ლი თავი? დარწმუნებული ვარ, საუკუნეც  
რო გავიდეს, „პირველს“ არ გაავსენდები  
- რა მისი ტოლი მე ვარ!

თვალში არავის ვეჩხირები. პატარა  
სასაუზმით ლუკმა-პურის ფულს ვშოუ-  
ლობ. რალა დროს ჩემი ყარამან-ყანთე-  
ლობა. თავქარიანობის აფრები უკვე და-  
მეხა. დამეხა და... დამერხა...

მე ის მაკვირვებს, როგორ მოახერხა  
ხალხის მოლორება, დაჯერება, ქვეყნის  
სიკეთისთვის ვარ გადაგებულიო! გუ-  
ლი მეუბნება, იმ სიმალლიდან მალე ისეთ  
ზღართანს მოადენს, მსოფლიოს თუ არა,  
კავკასიონს მაინც შეაკანკალებს... ამი-  
ტომაც არ მინდა, გამიხსენოს - დღეს თუ  
ხვალ ცუდად დამთავრებს და, ტალა-  
ხიანი ღორისა არ იყოს, ბევრს გასვრის.  
ოღონდ ეს სასაუზმე შემარჩინონ, სხვა  
არაფერი მინდა. აბა, პოლიტიკა და სინ-  
დის-ნამუსი ერთად ვის გაუგონია: „პირ-  
ველი“ ისე არ გაგორდება, ძურნა არ აიკ-  
რას: სანაცვლოდ რას მომთხოვს, ეშმაკ-  
მა იცის... ამიტომ ასე უჩინოდ, წყნარად  
ცხოვრება მირჩევნია... დამავინყდა კი-  
დეც, „პირველი“ და მე ერთად რომ ვსწავ-  
ლობდით, სისხლს ვუშრობდით მასწავ-  
ლებლებს! ერთთავად ნაგავში იქექებოდა  
და ათასგვარი სიბინძურით იყო დასვრი-  
ლი, რალაცნაირად საზიზღარი - მომყა-  
ვი-მომწკლარტო სუნი ასდიოდა... არც  
მე გახლდით ფითქინა, მაგრამ მაგასთან  
ნამდვილი ალენ დელონი ვიყავი...

მასხოვს, ერთმა თანაკლასელმა გო-  
გონამ დაბადების დღის აღსანიშნავად  
სკოლაში უზარმაზარი ნამცხვარი მოიტა-  
ნა, დიდ შესვენებაზე მივრთვათო. დიდი  
შესვენების წინ ფიზკულტურის მასწავ-  
ლებელმა ეზოში ჩავიყვანა. როცა უკან  
ვბრუნდებოდით, კიბეზე პირმოთხიზნი-  
ლი „პირველი“ შემოგვეფთა. მივხვდით,

ჩვენმა ნამცხვარმა ჩაილურის წყალი და-  
ლია... რაც შეეჭამა, შეეჭამა, რასაც ვერ  
მორეოდა, იატაკზე მიმოფანტა... იმ გო-  
გომ ტირილი დაიწყო, „პირველი“ - ხეი-  
ვინი. ველარ მოვითმინე, არც ვაციე, არც  
ვაცხელე და გვარიანად ვლენე საზიზღარ  
სიფათში! ვითომ არაფერი მომხდარა და  
ლოყაზე ჩემი ხუთი თითი არ დამჩნეოდა,  
წარბი არ შეუხრია, ისევ გულის ამრევად  
იღრმეჭებოდა.

მეორედ საექსკურსიოდ შეგროვილი  
ფული ასწაპა ჩვენს ჯგუფს. არც მა-  
შინ დამიზოგავს, მაგრამ ყველაზე ამაზრ-  
ზენი მაინც ტულეტის ამბავი იყო. უკვე  
დიდები, თითხმეტ-თხუთმეტი წლისანი  
ვიქნებოდით. გოგოების ტულეტში შე-  
პარულიყო. გოგოებმა  
გაუგეს, ნაესივნენ და  
ენით იატაკი ალოკინეს.  
დაიქადა, ახლა კი მიბ-  
რიყვებთ, მაგრამ, რომ  
გავიზრდები, ყველანი  
ჩემი მონები და ხასები  
იქნებითო. გაპარსული  
საულვაშეს მარჯვენა  
კუთხე ხოკერა გოგრასავით რომ ექმუჭ-  
ნება, ჩვენი მამინდელი შეტაკების სახსო-  
ვარია.

სკოლა რომ დავამთავრეთ, უხეირო  
კრუხის წინაღობებით მიმოვიფანტენით  
- ცხოვრებამ ვინ სად გადაგავადო და ვინ  
სად. ეგეც სადღაც მიიკარგა. ტრაბახობს,  
ამერიკის ყველაზე პრესტიჟულ უნივერ-  
სიტეტში ვსწავლობდით. რა ვიცი... რა-  
ღაც არა მგონია, იმ უნივერსიტეტის სი-  
კეთისა ეცხოს რამე...

ამ ამბებს ათასი წელიც არ გავიხსე-  
ნებდი, რომ არა ერთი გარემოება: მაგისი  
გაპირველკაცებიდან ორი წლის შემდეგ,  
სალამო ხანს, სასაუზმეში უცხო ტი-  
პი მენვია, „პირველს“ შენთან შეხვედრა  
სურს და გამომყვით.

ცოტა არ იყოს, მემცხეთა: ეშმაკს არ  
სძინავს, ვინ იცის, ამ გადარეულს რაში  
დაეჭირდი, რამე ხიფათს არ გადამყაროს!  
მივხვდი, უარი არ გამვიდოდა, ფეხი მა-  
ინც ავითრიე. აქაურობას მივალაგებ და  
თვითონ გეახლებით-მეთქი, - ვუთხარი  
უცნობს. თვალში გადმომიბრიალა, რა-  
საც გეუბნებიან, ის გააკეთეო.

რალას ვიზამდი? ჩამსვა გასისინებულ  
მანქანაში და წამიყვანა.

დღე იყო ორშაბათი, 2005 წლის 13 ივ-  
ნისი...

\*\*\*

ორშაბათი არ მიყვარს, ცუდად მაქვს  
დაცდილი: როცა გულისსწორთან ხელის  
მონერა ორშაბათს დავაპირე, ჩემმა ძვირ-  
ფასმა სასიდედრომ დამარიგა, ამ დღეს  
საქმე არ წამოიწყოს. არ დაუფჯერე...  
იმის მერე არც სიდედრი მავინყდება და  
არც მისი დარიგება...

კაბინეტში რომ შევედი, „პირველი“  
ფეხზე წამოდგა და გამომეგება. ხელი ჩა-  
მომხატოდა, გადამკოცნა (!), დივანთან მი-  
მიყვანა, დამსვა და გვერდით მომიჯდა.  
ოჯახის ამბების გამოკითხვას მორჩა თუ  
არა, საქმეზე გადავიდა:

- გაგეგონება (გაგეგონებო!) ძველ  
რომში დიდ ყურადღებას აქცევდნენ ხალ-  
ხის გუნება-განწყობილებას, მთავარია,  
სანახაობა და პური არ მოაკლდესო. ჩვენ,  
ჩემო ძმაო (ძმარო!), სანახაობის საქმე,  
ასე თუ ისე, მოვავარეთ, მაგრამ მიღწე-  
ლი არ მაქმყოფილებს. ერთი კარგი გან-  
ზრახვა მაქვს. ბევრი ვიფიქრე, ვისთვის  
გამენდო და მეთხოვა თანადგომა. გულმა  
შენკენ გამომიწია... არ დაგიმალავ, თით-  
ქოს საჭოჭმანო საქმეა, მაგრამ მხოლოდ  
ერთი შეხედვით. თუ განვხორციელებთ,  
ქვეყნის ეკონომიკასაც ძირფესვიანად  
განვამტკიცებთ, ხალხის კეთილდღეო-  
ბასაც გავაჯანსაღებთ და შენს ჯიბესაც  
საშველი დაადგება...

„პირველი“ კაბინეტში ბოლთას სცემ-  
და და ფაცხაფუცხით ლაპარაკობდა,  
თითქოს პირში ცხელი კარტოფილი ედო  
ან ვინმე მისდევდა. დროდადრო ცერად  
გამომხედავდა, როგორი შთაბეჭდილება  
მოვხდინებო. მე არაფრისმთქმელი თვა-  
ლებით შევყურებდი. „ნეტავ, რატომ მე-  
ორაზროვნება და პირდაპირ არ მეტყვის,

რა სურს?“ როცა დაბნეულობა შემატყო,  
მკითხა:

- უნარჩენო წარმოების შესახებ თუ  
გსმენია რამე?

მხრები ავიჩიჩე.  
- უნარჩენო, როგორც ეს სიტყვაც  
მიგვითითებს, არის რისამე წარმოება,  
როცა ნედლეული ბოლომდე ათვისებუ-  
ლი და გადასაყრელი ალარაფერი რჩება.  
ეს მეთივად საზკვებაში უნდა დავნერ-  
გოთ... ჰო, ჰო, საზკვებაში! ჯერ კიდევ  
ძველმა ბოლშევიკმა კამომ ხომ დაამტკი-  
ცა, ყველაფრის ჭამა შეიძლებაო...

- კამომ? ყველაფრისა?! - მოულოდ-  
ნელობისგან შევხტი.

- დიახ, ყველაფრისა! ჰო, ჰო, იმისიც,

# ყნაწილნი 6 წარმოება,

შენ რომ გაიფიქრე... სწორედ ეგ გვაქვს  
მხედველობაში... ეგ იქნება ძირითადი  
ნედლეული, მაგაზე ავამუშავებთ საგან-  
გებო რესტორანს! დიახ, დიახ, რაც სა-  
სარგებლოა, მტრებისგანაც გაბედულად  
უნდა გადმოვიღოთ.

თვალში ლამის შუბლზე ამიცივიდა.  
უნარჩენო წარმოება... მრეწველობაში კი-  
დეც ჰო, მაგრამ საზკვებაში...

- აი, ხომ გაგაფრთხილე, ერთი შე-  
ხედვით საჭოჭმანო საკითხია-მეთქი. აბა,  
წარმოიდგინე, რაც ბუნებაშია, თუ ყვე-  
ლაფერს მაქსიმალურად გამოვიყენებთ  
და არანაირი წარჩენი ალარ გვექნება,  
რამხელა პრობლემას გადავჭრიო! მარჩე-  
ნალ მინას ძალიან უჭირს ჩვენი გამოკვე-  
ბა. ვარაუდობენ, რომ ნახევარი საუკუნის  
მერე შიმშილობა პიკს მიაღწევს. მეცნიე-  
რებმა კი დაამუშავეს გენური ინჟინერია,  
მაგრამ ამ მეთოდით გამოყვანილი ბევრი  
პროდუქტი ხელს უწყობს საშიში დაავა-  
დებების, მათ შორის - კიბოს წარმოქმ-  
ნას. ჯერჯერობით უკეთესი გზა არა ჩანს  
- მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში ხალხი  
უკიდურეს სიღატაკში ცხოვრობს... ამი-  
ტომ სადღეისო პრობლემათა გადაჭრაზე  
დაუყოვნებლივ უნდა ვიზრუნოთ, ხვალე-  
ზე კი ხვალემ იფიქროს!

- კი, ბატონო, მაგრამ... ხალხს არა-  
ფერს ეკითხებით? მოსახლეობა როგორ  
შეხედება ამას?

- ნურაფერი გადარდებს, მაგაზეც ნა-  
ფიქრი მაქვს... თავდაპირველად სიახლის  
სიკეთით მხოლოდ ქვეყნის ელიტარუ-  
ლი ნაწილი - საზოგადოების შეძლებუ-  
ლი ფენა ისარგებლებს. მათი დაყოფილება  
ჩემზე იყოს... აბა, ერთი უარი გამიბედონ!  
ცხვირით მინას ვათხრევენებ! პროგრა-  
მას თანდათან გავასაყოფელთაოებთ.

„შენ ბალღობიდან რომ გიყვარდა მა-  
გების მირთმევა, ვიცოდი, მაგრამ ჩვენ  
რას გვემართლები?“ - გავიფიქრე, ხმა-  
მალა ეს კი ამოვიხსავლე:

- უარი რომ ვთქვა?

- ჰმ! - „პირველი“ ცერად გადმოხე-  
და. - ხომ არ დავაგინყდა, ვინა ვარ?! არ  
მიყვარს, როცა უარს მეუბნებიან... ასეთი  
სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სა-  
იდუმლოება გაგანდე და... ოჯახი გყავს,  
შვილები... იმათზეც ხომ უნდა იფიქრო...

„ეეჰ, ცუდად არის შენი საქმე, ისაკ  
ჭამაჭამიდე!“ - გავენდე ჩემს თავს.

- გამოდის, თუ იმ საცოდავ ბოლშევი-  
კებს მხოლოდ ერთი კამო ჰყავდათ, ახლა  
კამოების ქვეყანა გავხდებით, - ჩავილა-  
პარაკე უილაჯოდ.

- შენ რა, არ იცნობ ადამიანებს, მაგას  
დღესაც სიამოვნებით რომ მიირთმევენ?  
რისი პრეცედენტიც ოდესმე ყოფილა,  
იმის გამეორება მუდამ შესაძლებელია,  
მით უმეტეს, როცა საყოველთაო სიკე-  
თეს გვიპირდება. ჩვენ მოსალოდნელი მა-  
სობრივი შიმშილის თავიდან აცილებაზე  
კი არა, ადამიანთა ცნობიერების, მენტა-  
ლიტეტის შეცვლაზეც ვზრუნავთ!

„ეეჰ, ძალიან გაუბერა, აი!“

- მე რა მევალება? - როგორც იქნა,  
ამოვიკნავლე, რადგან ვიგრძენი, ორივე  
ფეხით ვიყავი გასკვანწული („ნეტავ, სად

## ელბუჯა ლებანიძე

გაქრა ჩემი რიხი და შემართება?!“). მისი  
ავადმყოფური აკვირებების ამბავი რომ  
ვიცოდი, უარის თქმა ჩემი და ჩემიანების  
სამუდამო დასამარებას ნიშნავდა.

- აი, ეს უკვე მესმის. ახლავე ავიხს-  
ნი, - გამოცოცხლდა „პირველი“. მიხვდა,  
„რვალი“ დამუშავებული იყო. - ერთხელ  
ყურნალში ამოვიკითხე, ოკეანის კუნ-  
ძულებზე ხალხი ყველაფერს მიირთმევს  
და მადას არ უჩივისო. გადავამოწმე. სი-  
ნამდვილე აღმოჩნდა! ჰოდა, გადავწყვი-  
ტე, ალლოიანი და ერთგული კაცი გავ-  
ზავნოთ. დაე, ნახოს და მოისმინოს, რა

როგორ არის. მანამდე კი აქაურ ამბებს  
მივხედავთ - ავადმყოფი სათანადო ინფ-  
რასტრუქტურის რესტორანს, რომელსაც  
ნედლეულით უწყვეტი მომარაგების უზ-  
რუნველსაყოფად ზოოპარკს დაუფუძე-  
დებარებთ, აფრიკიდან და ინდოეთიდან  
კი ნიანგებს, მარტორქებს, სპილოებს,  
ბეჭემოთებს, აქლემებსა და კამეჩებს შე-  
მოვიყვანოთ.

წარმოიდგინა, ერთბაშად რამდენ  
სამუშაო ადგილს შექმნით და რამდენ  
ოჯახს გაუჩინებთ მყარ შემოსავალს? არც  
კანალიზაციის ძვირად ღირებული კომუ-  
ნიკაციები დაგჭირდება, არც ვინმეს ჩა-  
რეცხვა! - კმაყოფილებას ვერ ფარავდა  
„პირველი“ და ხელეებს იფუნტდა.

არ ვიცი, რა დამემართა, მისი ალტა-  
ცება თანდათან მეც გადმომეღო: ბევრი  
ალარ მიფიქრია და „პირველს“ ოკეანიაში  
ნასვლაზე დავთანხმდი.

- ავსტრალიაში რომ ჩაფრინდები,  
კანბერაში კაიმაშაკაკას წარმომადგენ-  
ლები დაგხვდებიან. კუნძულზე კანოეთი  
ნაგვიყვანენ...

ხელი ხელს მივეცი. გამომშვიდო-  
ბებისას ვითომ გამეხუმრა, როცა საქმეს  
აანყო, ნურც ჩემს დამსახურებას დაი-  
ვინყებო...

ისევ ჩამსვეს გასისინებულ მანქანაში  
და შინ წამომასრიალეს.

ვიმეორებ: დღე იყო ორშაბათი, 2005  
წლის 13 ივნისი...

## 2. კუნძულ კაიმაშაკაკას საიდუმლოება

კანბერას აეროპორტში სათანადო  
პატივით შემხვდნენ და კანოესკენ გა-  
მიძღვნენ. ავხედ-დავხედე დიდ-პატარას.  
ისინიც ცნობისმოყვარეობით მათვალ-  
იერებდნენ და ჩემთვის გაუგებარ ენაზე  
ერთმანეთს რალაცას ეჩურჩულებოდნენ.

როგორც კი კუნძულზე ფეხი დავდ-  
გიო, მასხინძელთა კეთილგანწყობა მა-  
შინვე შეიცვალა. ხელბარგი წამგლიჯეს  
და აქეთ-იქიდან, როგორც ტყვეს, ისე  
ამომიდგნენ. „ვაი შენ, საცოდავო ჩემო  
თავო, რა შარში გაეხვიე! ხომ ვიცოდი,  
რა გიყი და გადარეულიც იყო „პირველი“,  
ვმჯდარიყავი ჩემს სასაუზმეში, რატომ  
დაუფუჯრე, რა მესაქმებოდა ამ გადაკარ-  
გულ კუნძულზე?“ - გამიოცდა თავში.

ტანტარა გოგო-ბიჭები გამაყრუებე-  
ლი ყიჟინით შემომეხვივნენ; დროდადრო  
წამახულ ჯოხებს მწარედ მჩხვლეტდნენ.  
გაპროტესტება დავაპირე, მაგრამ მანიშ-  
ნეს, ეს სტუმრის დახვედრის რიტუალში  
შედისო. რა ვიცოდი, წინ თურმე უარესი  
მელოდა...

ასე „ზარ-ზეიმით“ მიმიყვანეს ქალა-  
ქის შუაგულში, სადაც ბელადის „სასახ-  
ლე“ იდგა. სასახლის წინ შემის უზარ-  
მაზარი პირამიდა აღემართათ. თვალში  
მომხვდა დამხვედურთა კანის სიშავე,  
ცხვირში, ტურებსა და ყურებში გარჭობი-  
ლი თეთრი საგნები, გულზე ჩამოკონია-  
ლებული ამულეტები... შუბებითა და ტამ-  
ტამებით შეიარაღებულნი მამინვე გარს  
შემოგვერტყნენ და გამაყრუებელი  
ყიჟინა ატყეს. იმავე წუთს „სასახ- ▶▶

►► ლის“ კარი გაიღო და ბელადი სააკარა კუკუ მიშრი კიუ ტატე გამოჩნდა. კვერთხი მალა ასანია და გამართული ინგლისურით მომართა:

– თეთრო კაცო, კეთილი იყოს შენი მობრძანება კუნძულ კაიმამაკაკაზე! ჩვენი გული სავსეა სიამაყით! ახლა იხილავ შენი სტუმრობის აღსანიშნად წმინდა რიტუალს. ისე მოიქციე, როგორც ქურუმები გეტყვიან!

ბელადმა ნიშანი მისცა. სასახლიდან ხის ლატანებზე დაკრული ადამიანის ცხედარი გამოიტანეს, პირამიდის შუაგულში დაამაგრეს და შემას ცეცხლი შემოუგზნეს. ტამტამების ცემა ახალი ძალით განახლდა.

დაიკაპინეს და დიდი მონდომებით მახიარეს კერძების – მაკუკას, ბუჭაუჭას, კროუკუკას, სპიკუას, ლეკა-ლეკას, ყალაყუს, კომიკუკუს, ხვებეხვეს, ოხორკუტას მომზადების ტექნოლოგიას – ორი საერთო რვეული ჩანაწერებით ავავსე. მერე სამზარეულოში გვერდით ამოიყენეს და ჩემი ცოდნის პრაქტიკით განმტკიცებას შეუდგნენ.

საგულდაგულოდ დავამუშავე უსიამონო სუნის ლიკვიდაციის, საერთო მასიდან სითხის გამოყოფის, მატონიზებელი სასმელების დამზადების ხერხები.

დადგა დრო, დავემზადებე კეთილმასპინძლებს და ხუთი თვის განმარტების შემდეგ დავბრუნდი მონატრებულ სამ-

გარშემომყოფთა ინტერესს უფრო აათქვამდა.

ვისზე ნაკლები ვარო, – გაიფიქრა „ქვეყნის ხერხემლად“ მონათლულმა მინისტრმა და „პირველს“ მიბაძა. აღარც ლოყებალაჟღაჟებულმა ქალაქის მერმა დაახანა, აღარც უმრავლესობის მხიარულმა ლიდერმა, აღარც ყოველთვის ერთნაირი სიფათისა და გუნება-განწყობილების პარლამენტის თავმჯდომარემ – თავის ულუფას ყველა ენერგიულად ჩაუჯდა. ატყდა დანა-ჩანგლის ყურის წამლები წკრიალი, თევზების ჩხარაჩხური, სკამების ხრიგინი. მომეტებული აქტიურობითა და დაუოკებელი მადით საყოველთაო ყურადღება მიიქცია ერთმა

ახალგაზრდა ქალბატონმა, რომელიც შავ-შავ თვალებს საეჭვოდ აბრიალებდა...

– თუ შეიძლება, მომი-

ტანეთ მაკუკა, მერე კი კროუკუკა მოაყოლეთ, – ისმოდა მადამონოლილი ქალბატონის მოუთმენელი ხმა.

– მეც მომაქციეთ ყურადღება! – თითები გაფარჩხა სახელმწიფო უშიშროების უფროსის მოუსვენარმა მეორე ნახევარმა: – ყალაყუ და ხვებეხვევებ გამასინჯეთ!

ვიღას ახსოვდა წესი და წესრიგი, ლამის ერთმანეთზე გადადიოდნენ, ემანდ, სხვას ჩემზე უკეთესი კერძი არ შეხვდეს...

ოფიციალტები ლანგრების მიმოტანას ვეღარ აუღიოდნენ...

საზოგადოება ისე გამხიარულდა, ვინ ვის ცოლს პროშნინდა, ვინ ვის ცოლს უძვრებოდა ზომავე მეთად ამოჭრილ უბეში, კაცი ვერ გაიგებდა...

მიუხედავად საყოველთაო ენთუზიაზმისა, სუფრაზე მაინც აღმოჩნდა ორიოდე აზიზმაზიზი ტიპი – ტუჩი აიბზუეს და კერძების დაგემოვნებაზე უარი თქვეს. ერთმა განაცხადა, ექვსი საათის მერე არაფერს ვჭამო, მეორემ – კუჭი მტიკივო, მესამემ – ჭარბი წონა მანუხება...

– რაო? – დაიქუხა „პირველმა“, – აბა, რომელი უჩივის უმადობას? ახლავე ორმაგი ულუფა მიართვით და ყურადღება მიაქციეთ, თევზზე ერთი ჩიჩქი არ დატოვოს! არ შეჭამს და ცოცხებიც მოგვექცევა!

ეს არგუმენტი ისეთი შეუვალლობით გაჟღერდა, გარისკვა ვეღარავინ გაბედა: იცოდნენ, „პირველი“ თავის სიტყვას უკან არ წაიღებდა...

ისტორიიდან გვახსოვს, პეტრე პირველი რუს ბოიარებს შორის ცეცხლითა და მახვილით როგორ ნერგავდა სრულიად უმნიშვნელო სიახლეებსაც. აქ კი ლამის მთელი ქვეყნის კეთილდღეობა წყდებოდა და, აბა, ვის აპატიებდნენ თუნდაც წამიერ ყოყმანს?

პურობა საყოველთაო ზეიმად გადაიქცა... ბოლო არ უჩანდა „პირველის“ ქება-დიდებას:

– ეს ღონისძიება ქვეყანას ნამდვილად გადაარჩინს!

– მარტო ჩვენი ქვეყნის კი არა, მთელი კაცობრიობის ხსნის გზაა!

– ჩანაფიქრი გენიალურია, მისი ავტორი – გენიოსი!

– ლას ვეგასის სამორინეებს ეს რესტორანი ათასჯერ სჯობია! – აღიარა ლოყებულაჟღაჟა ქალაქის მერმა.

როცა სტუმრები ხმაურით აიშალნენ, თანამშრომლებს მოუხებე.

– ქვაბებში აღარაფერი დარჩენილა. საიდან მოგროვდა ამდენი სანსლე?! – უკვირდათ მრავლისმხილველ მზარეულებსა და მიმტანებს.

დღე იყო ორშაბათი, 2006 წლის 13 თებერვალი...

\*\*\*

ახალმა ბიზნესმა საოცარი გაქანება მოიპოვა. ზოოპარკი შეუფერხებლად გვანვდიდა ძვირფას ნედლეულს. დღე არ გავიდოდა, „საქმით გადაქანცული“ ჩინოვნიკების არმია არ გვწვეოდა. „პირველი“ ხომ ლამის ჩვენს რესტორანში დასახლდა! შემოსავალმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

როცა წარმატება სტაბილური გახდა და ეჭვის ნამცეცვიც გაქრა, „პირველმა“ გამომიცხადა, რესტორნის საზეიმო გახსნა უნდა მოვანყო და არ შემარცხვინო. საგანგებო ტრიბუნა მოატანინა და რესტორნის წინ დაადგმევინა.

დღე იყო ორშაბათი, 2006 წლის 13 ნოემბერი.

„პირველი“ ტრიბუნაზე ავიდა და დაიწყო:

– ბატონებო და ქალბატონებო! ძვირფასო მეგობრებო!

სულთ და გულთ მინდა მოგილოცოთ ჩვენი ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის სერიოზული წარმატება, რაც ქვეყანაზე, ხალხზე ზრუნვის ნათელი დადასტურებაა. იყო წუთები, როცა ჩანაფიქრის წარმატებისა ცოტა გვეჭევივებოდა. ახლა თქვენს წინაშე სრულიად ახალი ფორმისა და შინაარსის კვების ობიექტი, რომელიც ბევრი პარამეტრით აღემატება უცხოურ ანალოგებს. წარმოგიდგინთ ამ პროექტის სულის ჩამდგმელს, მთავარ შეფ-მზარეულს, ბატონ ისაკ ჭამჭამიძეს, რომელსაც „გემო-კვების მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო ნოდება მივანიჭეთ.

„პირველმა“ მანიშნა, მომიახლოვდიო. ვიღლო მომილოცა, ხელი ჩამომართვა და ოქროსვარაყიან ჩარჩოში ჩასმული დიპლომი გადმომცა. იქუხა ტაშმა.

– მაგრამ მიღწეულს არ დავჯერდებით, რესტორანი მარტო ელიტისთვის კი არა, საზოგადოების ყველა ფენისთვის ხელმისაწვდომი უნდა გავხადოთ! – განაგრძო „პირველმა“. – ჩვენ თავდაყირა დავაყენებთ ადამიანთა მენტალიტეტს! მქუხარე ტაშმა ცა ჩამოილო.

უეცრად ძლიერ დაიქუხა. თითქოს მინა იძრა, რესტორანმა მალა აინია, შუაზე გადაიხსნა და... მოყვითალო-მოშავო ზიზზიმა მასამ ვულკანივით ამოხეთქა – უნარჩენო წარმოებამ ამდენ დატვირთვის ვეღარ გაუძლო...

თვალი შევასწარ: „პირველმა“ გრძელი ფეხები აიქნია და მოვარდნილ ლავაში მოადინა ზღართანი. წამსაც არ გაეგლო, ზეიმის ყველა მონაწილე სიბინძურეში ფართხალებდა... ცოტა განზე ვიდექი, მაგრამ ერთი ცხელი შხეფი მაინც მომწვდა. სიმწრისგან შვინდის წნელივით დავივრისებ და არადადამიანური ხმით ვიბღავე:

– ვაიმე! მოშველეთ!

– რა იყო, კაცო, რა დავიდარაბას გადაეყარე, ჰა? გული გამიხეთქე, მთელი ღამე თვალი არ მომახუჭინე! – შემინებული მეუღლე თავზე წამომდგომოდა, მანჯღრევედა და ქოქოლას მაყრიდა...

რა ხანია, მისი სიფათის დანახვა ასე არ გამხარებია... ■

# ახალი წამოს მიმდევრობები

მერე რაც ვნახე, ნამდვილად კომპარი იყო: შემწვარი ადამიანის სხეული დაანაკუნეს და რიტუალის მონაწილეებს ჩამოურიგეს. ყველა პირის წკლაპუნით ელოდა კუთვნილ ნაჭერს. ზარდაცემული შეეყურებდი. გონებას ვკარგავდი. როცა ერთი ნაჭერი მეც მომართვეს და მანიშნეს, ჭამეო, წამაზიდა.

ქურუმები აყვირდნენ. მტაცეს ხელი და სადღაც წამათრიეს. ასე აღმოვჩნდი მიწურში, სადაც კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანდა. თურმე ხორცის ჭამაზე უარით შეგურაცხვავი მათი წმინდა ღმერთები, ამიტომაც მსჯიდნენ. როცა „განწმენდა“ დასრულდებოდა, ესე იგი, ჭამას შევძლებდი, ბელადი მაშინვე მიმიღებდა და მომისმენდა.

– მე ხელშეუხებელი ვარ და ჩემი ბელადის დავალებას ვასრულებ! – ვცადე გაპროტესტება.

– თქვენი ბელადის წესებით ქვეყანაში ცხოვრობთ, აქ კი ჩვენი ქვეყანაა და ჩვენი ბელადი გვყავს, – მომიჭრეს.

თქვენს მტერს, მე რომ დღეში ჩავვარდი! უნებურად გამახსენდნენ მაგვლანი და ჯეიმს კუკი: პირველი აბორიგენებმა ფილიპინებზე შეტაკებისას მოკლეს, მეორეს ჰავაელებმა აუგეს წესი. მკვლევართა ვარაუდით, ადგილობრივმა ტომებმა ორივე შესანსლეს. ნუთუ მეც ეს ბედი მელოდა?

დილით დოქით შემომიდგამდნენ ბლანტ სითხეს, რომელსაც აუტანელი სუნი ასდიოდა. ახლოს ვერ ვეკარებოდი. როცა ხახა გამიხმა და გონება დამებინდა, ზიზზი დავძლიე, დოქი მოვიყუდე... სპაზმებმა ხელი დამრიო. ვხაოდი და იატაკზე გვორაობდი. სიახლოვესაც არავინ გამეკარა.

ასე გაგრძელდა ხუთი თუ ექვსი დღე. ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდი, როცა ადამიანისთვის უკვე სულ ერთია, რას მიართმევენ, შემწვარს თუ მოშუშულს. ერთ დღეს ხორცის შემწვარი ნაჭერი შემომიგდეს. არც დამიხედავს, ისე ეცვია...

„განწმენდილი“ და მოთვინიერებული ბელადთან მიმიყვანეს. ბელადს ქონით გაპოხილ მაჯაზე ჩემი საათი ეკეთა, ჩემს შარვალ-ხალათშიც გამოწყობილიყო. კეთილად გამიღიმა და მკითხა:

– ზედმეტად ხომ არავინ შეგანუხა? კმაყოფილი ხარ ჩვენი დახვედრით?

მისმა შეპარულმა ტონმა ლამის შემაცდინა: ერთი სიტყვაც რომ დამცდენოდა იმაზე, რაც მისმა თანატომელებმა დამანიეს, ისე მინურში მიკრავდნენ თავს. არ ვიცი, რომელმა კეთილმა ანგელოზმა გადამაფარა თავისი კალთა – ქედი დავიდრიკე, ხელეზე მკერდზე გადავიჯვარდინე, ბელადს თავი მდაბლად დავუკარი, უკეთეს დახვედრას ვერც ვინატრებდი-მეთქი.

კმაყოფილებისგან გაიბადრა. დროა, საქმეს შევუდგეთო.

დღე იყო ორშაბათი, 2005 წლის 27 ივნისი...

\*\*\*

„გადადებული საქმე ეშმაკისააო“ – აღარ დამიხანებია. მასპინძლებმა ხელები

შობლოში, სადაც „დამკვეთი“ მოუთმენლად მელოდა...

დღე იყო ორშაბათი, 2005 წლის 14 ნოემბერი...

### 3. ტრიუმფი და ფინალი

„პირველს“ ჩამოსვლისთანავე დავუკავშირდი. გრანდიოზულ რეზიდენციაში მიმინვია. მის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ, რასაც დამპირდა, ყველაფერი პირნათლად შეესრულებინა – ისეთი რესტორანი ავეოთ, ერთ რამედ მარტო მისი ნახვა ღირდა!

გულთბილად მიმილო, დანვრილებით გამომკითხა კაიმამაკაკაზე ვიზიტის შედეგები. ხომ არ განვალდიო, ოჯახში როგორ დაგხვდნენო. მადლობა მოვასხენე, თქვენი ავტორიტეტის წყალობით არც კუნძულზე გამჭირვებია რამე და ოჯახშიც ყველა სალ-სალამათი დამხვდა-მეთქი. ქება ფრიად ესიამოვნა და შეიფერა.

რეზიდენციიდან გამოვედი თუ არა, ჟურნალისტები დამესივნენ. მიკროფონებს პირში მჩრიდნენ, მართალია, საზკვებაში უნარჩენო წარმოების დანერგვას რომ აპირებთ? ვისი ინიციატივაა, მხარს ვინ გიჭერთ, თქვენი ვიზიტი ოკეანიაში როგორ დამთავრდაო. ისეთი აბდაუბდეები ვუთხარი, ეშმაკაც გაუჭირდებოდა დალაგება და აზრის გამოტანა.


მეორე დღესვე ატყდა ერთი კაკაფონია – ყველა გაზეთისა და ტელეარხის უგამორჩეულესი გმირი გავხდი. რაც ვუთხარი, ხომ ვუთხარი, თავისიც ბლომად დაემატებინათ. განრისხებულმა „პირველმა“ მაშინვე დამირეკა: ეს რა ცირკი გავიმართავს, რატო ენას კბილი არ დააჭირეო. მლანძლა და მთათხა. მერე დამიყვავა, ჟურნალისტებს კისერი და კინჩხი უტეხიათ, რაც უნდათ, წერონ და იკითხონ, შენ შენს საქმეს მიხედეო.

ხელები დავიკაპინე და საქმეს დიდი ენთუზიაზმით შევუდექი...

დათქმულ დღეს „პირველი“ უზარმაზარი ამალით მობრძანდა. თან ახლდა სახელისუფლებო ელიტა – მაღალიც და დაბალიც, მსუქანიც და გამხდარიც, პორტფელიანიც და უპორტფელოც, პოზიციაც და ოპოზიციაც, სამთავრობოც და არასამთავრობოც... ჩანს, ახალ რესტორანზე „პირველისგან“ ბევრი საქებაში მოესმინათ და ახლა მოუთმენლად მოელოდნენ რაღაც განსაკუთრებულს.

აი, ცქრიალა ოფიციალტებმა შემოიტანეს ოხშივარავარდნილი, ერთმანეთზე უფრო სურნელოვანი, მადის აღმძვრელი კერძებით სავსე ლანგრები. პირველი ლუკმის გატეხვის უფლება, რა თქმა უნდა, „პირველს“ ეკუთვნოდა. დარბაზი გაისუსა. მანაც არ დაახანა, დანა-ჩანგალს ხელი წამოავლო და დამსწრეთათვის აქამდე უცნობი, ჯერ კბილდაუდგმელი კერძი პირისკენ გააქანა. ისე მადიანად შეექცეოდა, ვერც კი გრძნობდა, ტუჩის კიდებიდან როგორ ფიცვიოდა მოგრძობი ნაჭრები, ეღვრებოდა მოყვითალო სითხე... ხრუპუნებდა, ხრუპუნებდა, ქას-ქასებდა, ფხარკალებდა „პირველი“ და





საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, ბატონ თამაზ ნივნივადის ბრძანებულებით, მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ დაინიშნა პოეტი როსტომ მაჩხოშვილი. იგი დაიბადა ფშავში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. ოცდაათი წელიწადი მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე და პოლკოვნიკის ჩინით გავიდა პენსიაში.

როსტომ მაჩხოშვილი ჭაბუკობიდანვე ეზიარა პოეზიას, რომელიც მუდამ მისი თანამდევია გახლდათ. მიუხედავად სამსახურებრივი ტვირთისა, მან ლექსების ხუთი კრებული გამოსცა. რეგულარულად იბეჭდებოდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, „მებრძოლ გუშაგში“, „ასავალ-დასა-

ვალში“, „ლემში“, ალმანახ „პირიმზეში“, თიანეთისა და დუშეთის რაიონულ გაზეთებში.

როსტომ მაჩხოშვილი არასამთავრობო კავშირის „ფშავის ალორძინება-განვითარების“ თავმჯდომარე და ქველმოქმედი ადამიანია. კერძოდ, სოფელ ხოშარაში მისი თაოსნობით მიმდინარეობს ცნობილი ფშაველი ქალის სანათას და გმირულად დაღუპული მისი ქმარ-შვილის აკლდამის კეთილმოწყობა. კეთდება ობელისკი, შემოლობილია ე. წ. „დევეების სასაფლაო“, პროექტდება ფშავის არაგვის მარჯვენა მხარეს მდებარე სოფელ მიგრიულას (წინა კარი) X-XI საუკუნის კართანის ეკლესიის აღდგენა-რესტავრაცია.

როსტომ მაჩხოშვილი მონაწილეობდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

## როსტომ მაჩხოშვილი

● *სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია მეორეს*

აღმართულია სინმინდის და სიმართლის კვერთხი, ვერ მოისყიდის ვერა ძალა ოქრო და ვერცხლი. მათაა გადაღმა უკუნს აპობს კვილი ქართა, ესმოდეთ სიტყვა უწმიდესის ყრუთა და ბრმათა! როგორც მყინვარზე სისპეტაკის თოვლის

ფიფქები, ისე ეხვევა თავს ქვეყანას მისი ფიქრები. ღვთიური შუქი სტეფანწმინდით წვდება ყოველსა, ხელ-ფეხჩატყაულ მათხოვარს თუ ძუძუს მწოველსა.

ყოველი მხრიდან მოგვსევია მტერი აშარი, ეშმა ტროას ცხენს მოაგვლევებს ოქროს ავშარით. ბოროტებამდე მოკლეაო თურმე მანძილი, არა სჭირდება სამზადისი, დიდი, ხანგრძლივი. უცხოტომელმა გაილაღა, მოგვადგა კარსა, მუხას მუმილი ხრავს, შესევია, ეხვევა გარსა. ჩაფიქრებულა გელათი და სვეტიცხოველი ისევ ლოცულობს გმირ კოპალას ურჩი ფხოველი. მოდის სიონით ნათლის სხივი, ბრწყინავს სამება, უნეტარესი მოგვივლინა მხსნელად განგებამ! ლოცვა-კურთხევა უწმინდესის მადლია ცისა, ეპისტოლე კი სხივთა კონა თაკარა მზისა... ყური დაუფგდოთ, მოუუსმინოთ, გვჯეროდეს მისი და დასასრულიც გამოჩნდება ეკლიან გზისი.

● სად გაგონილა, ყოფილიყოს ბრმა გზის მკვალავი, ან ვინა ნახა თვალხილული ამ გზით მავალი? როცა რეკავენ ხმაშენყობით ცისა ზარები ყრუთ რა ჩაესმის მალალ ღმერთის დანაბარები?! ცხერის ფარა მიდის, მიუძღვება ვითომ მისანი, მაგრამ არა აქვს იმ გზის მკვალავს სწორი მიზანი. წლები მიქრიათ და ტრიალებს ბორბალი დროთა, ექიმი არ ჩანს, რომ უშველოს კომაში მყოფთა. სიდარბაისლის დანგრეულა სიმაღლის ბჭენი, ღირსება კაცთა, კაცობის და სინდისის მჩენი. ერთგულება და სიყვარული მდებდრთა და მამრთა, ხელში ჩაუგდავს საქილიკოდ ყრუთა და ბრმათა. შერცხვენილია და-ძმობა და დედის მანძილი, სდგას ცისქვეშეთში დედამინა, ნამუსახილი. ამპარტავნობა დაჯირითობს სახლში, ქუჩებში, ქვეყნის ბედს სწევტენ ყოვლისმცოდნე ბაიყუშები. ზნეკეთილობა არ უწყიან, რაა, მავანთა, რა დაგვიტოვებს სამოღვანოდ ბრძენთა მამათა. წარსულს ჩაბარდა, ვინლა იცის უფროს-უმცროსი, ქართულ ადათ-წესს სჯობნებია ქცევა უცხოისი. მთებსა და ცელებს მოსდებია ჯოგი ურდოთა, კალიებივით მოჭრიჭინე გუნდი უნდოთა. ღამის ბარებში ტიტლიკანა როკვა-ტრიალით დამმცირებელნი დედის თავშლის, ხმლის და ფიალის.

მრავალი გმირის გამომზრდელი ადგილ-მამული, დღეს ბერნია და სიცხისაგან გადაგვალული. განსხვავებულა მინდორ-ველი, მინა ივერთა, ჯანლი აპკვრია ცად ვარსკვლავებს მოციმციმეთა. შეგთხოვ, უფალო, კიდევ ერთხელ მოგვმადლე შუება, დიდება შენდა, ყოვლის შემძლე, დიდება შენდა!

## ნასახლარი

განა სახურავახილი, ან კედლებჩამონგრეული. ლიბოიანად მოთხრილი, სახლი, შამბნარად ქცეული! დრო-ჟამის ხელით ნანერი, ყდებშემოცილი რვეული. სამშობლოს ერთი ფურცელი, გულიდან ამოხეული.

● სად მიჰყრანტალებ, ყორანო, ორგული კაცის საფერო, ნისლო, შენ საით მისცურავ, მთისწელზე შემოსახვევო! რატომ ბობოქრობ, არაგვო, ბევრი ავ-კარგის მნახველო. შენ სადლა მიგეჩქარება, გაუტყხელო სახელო! უდროოდ რატომა ჰქრები, სიალნ-სინმინდის სანთელი.

● მადლობელი ვარ, ღმერთო, მალალო. რომ დამანათლე მხოლოდ სიკეთე. ამქვეყანაზე დავალ უვალოდ და ვარსკვლავებში ბუდეს ვიკეთებ. თავზე მახურავს დილა მზიანი, მესალბუნება სიო ქარაფთა. სულს მიცისკროვნებს სუნთქვა ნიავის, მუხლმოდრეკილი ვდგავარ არაგვთან. და მახსენდება წლები ბავშვობის იმ სიყვარულთან ერთად ჩავლილით... ხან თავი მომაქვს კაი კაცობით, ხან კი ვიქცევი ცელქი ბაღლივით... თურმე სიკეთე უფრო დიდია, ვიდრე გვგონია ადამიანებს. არ ვიცი, ცოდვად რატომ გვითვლიან, რაც კაცად გვაქცევს და გვაფრთიანებს.

● უთქვენოდ, სალო კლდეებო, ტირილით ვტირი ცხარითა. ღვთისგან ნაბოძებ სიცოცხლეს, ტკივილითა ვლევ მწართა. თქვენში მიდგია ფესვები, ბედნიერი ვარ ამითა. დღეს თქვენზე ფიქრში ვალამებ, ძილს ვერ ვიძინებ ღამითა. თქვენს მკერდზე დავიმარხები, ჩემი ხმლითა და ფართა. თუკი თავისად მიმიღებთ, თავს დამიკრავენ მთანიცა. მზის სხივით ძარღვებ გამთბარნო, განათებულნო მთვართა. თქვენად მიგულეთ, თქვენი ვარ ცოცხალიცა და მკვდარიცა.

## სამშობლოს

ღამე უკივის ცათა სამრეკლოს, ხეთა ტოტები ჩუმად მღერიათ. შენზე ფიქრებმა ღამის წამლეკონ და ეს ფიქრები ღამის ფერია.

ჩემი წინაპრის შფოთავენ ძვლები, მათი კიჟინა ისევ გუგუნებს. კრწანისის ველზე ელავენ ხმლები და ნაპერწკლები ფლეთენ უკუნეთს. თაბორის მთაზე რადა წვეს ნისლი, გულში დარდით და ფერით უზადო?! მიხმობს მარტყოფში დაღვრილი სისხლი, გადატეხილი ხმალი უვადო. დიდგორით ველი გმირთაგმირ დავითს, მეფეს, მდაბალს და გონით გამჭრიახს. ხელში მიჭირავს პაატას თავი, ცხადად ვხედავ, რომ მეც თავს მაჭრიათ... არ მსურს რაიმე დარჩეს არაკად, სული, გული და ხორციც შენია. ჩემი სიცოცხლე მომაქვს ზვარაკად, სხვა რამ სიმდიდრე არ შემრჩენია.

● საარავგოზე ნისლია, საარავგოზე წვიმს. რას მღერის ჩიტი ნიბლია, ეტრფიალება ვის? მთები დახრილან ქალებზე, გულებს ითბობენ ცივს. საარავგოზე ნისლია, საარავგოზე წვიმს.

## საქართველო

აქ მზე არის უფრო ახლოს, მინას სხვა სურნელი უდის, როცა მათაა წვერებს ათოვს, გალობს ანგელოზთა გუნდი. ნოჭვებს მოუყვება ქარი, ირმის ნაფეხურებს ლოკავს. ცის რომ გაიხსნება კარი, მთები აღავლენენ ლოცვანს. დილა წყნარია და მშვიდი, მადლი აფენია ღმერთის. ბინდი ცისიერში მიდის, ცათა სასუფეველს ერთვის.

● ღამეა. ვწევარ. ღრიალებს ქარი, თავგამეტებით უტევს სახურავს და სევდიანი ფიქრების ჯარი, როგორც ნაბადი, თავზე მახურავს. ცაზე არა ჩანს ვარსკვლავთკრებული, ისევ ეჭვი და კვლავ მოლოდინი. ხმალი ჭერხოში შემოდებული, ეშმაკეულის ცეკვა, ბოგინი. ნეტავი, დილა როგორი მოვა, თუ გაიხსნება ცათა კარები?! იქნებ მოსულმა ახალმა თოვლმა, თან მოიტანოს გრგვინვა ქარების!.. მჯერა, არწივი შეინავარდებს, არვის დაუთმობს თავის სანთლოს. დრო მოვა, ისევ ღმერთი გვფარავდეს და მზემ სხივები გაგვინანილოს.



**იპრატი. შენი ეზო-კარი**

ეზოში ჯირკი, სამფეხა სკამი, ნაღდი, გამოთლილი ცულისტარი... გაქვავებული დიდებული ნამი, საღამოს ძლივს რომ მივუსწარი.

ორშიმო ჭურისთავთან ჰკიდია ლურსმანზე, იქვე – სასმისები ორი – სამი და რითმა, როგორც არაყი უზმოზე, როგორც გამოცდილი მოისარი,

ერთი თვალის ჩაკვრით ფიქრს ურტყამს ათიანში, ნაკადულმაც თითქოს ახლა ნაიმღერა; გაჩერდა ნამი და გაჩერდა მატთან-თავშლად მოგეხვია ცა იმხელა,

ო, მერე გენახათ ვარსკვლავთა რიალი, ყველას რო თავშალზე უნდოდა თამაში და მომდევს ფეხდაფეხ იმ ნამის წკრიალი, როგორც ჩაფრენილი მემკვიდრე ქამარში.

**მოვემზავრები თანდათანობით...**

მივემზავრები თანდათანობით, ყურში ჩამესმის ხმები ქარების... თავის შექცევა მხიბლავს გალობით და ჩუმად, სადღაც მივექანები...

ციხის ნაშალი მომდევნ ქვები და სცვივით ხავსი, როგორც ვარდები, ეს მერამდენე სიკვდილით ვკვდები, ეს მერამდენედ მე ვიბადები...

და ვუჭვრეტ ჭადრის ფოთოლთა სიცილს,- შეყვარებული გულების ფართხალს... და შემოდგომის კოცონზე იწვის ჩემი ლექსები სამოთხის ბაღთან...

მიდის ზამთარი - სევდისთვალეა, ცივი, უტყვი და სანდო ყველაზე, მომიკაკუნეს კარზე ვალემა და შემაცვივდა სიტყვა ენაზე.

და ლექსი, როგორც წინილა კვერცხში ბორგავს და ნისკარტს შეამსხვრევს სივრცეს...

წყვილი ხარი და მეურმე ხენეშით მიწასთან ჭიდილს სიმღერით იწყებს!..

და იბადება ხნულში მარცვალი, სულში ლექსი და კვერცხში წინილა, და გენიოსებს უხმობს ნაცარი, ბუხრის კვამლში რომ გამოიძინა...

● სულში ნიკოტინივით ჩაეფინა დარდი, შენ რომ არ გეგონა, მაშინაც ჩანდი... რატომ იზრდება ლელისპირს ია? - ერთად კეკლუცობენ, ერთად იციინან... იას შეცივდება, წყალი ათბობს, ლელე კეთილია, ყვავილი - სათნო!

**მუხას ქარიშხალი ახვევია**

მუხას ქარიშხალი ახვევია, რაღას დააკლებს მუმლი? - კივის ბოლო ხმაზე, ღრიალებს, წრიალებს, დავლურს უვლის.

ფესვმაგარია და ძვალუტეხი, უნახავს ბევრი ჭილყვავი, მიდი და ჯიბრში ჩაუდექი, თუნდაც ქარიშხალი იყავი...

მუმლი გაქრება და მუხა გადარჩება - კალთას დაიბერტყავს ნაომარი... ურჩიეს სიჯიუტის გადაჩვევა - ის კვლავ მშვიდია და საოცარი.

● ეს გაზაფხული - მოფრენა და უცებ გაფრენა, მაინც: ტკივილი, სიყვარული, ცრემლი - სამფერა... მარტოობა და ყვავილობა - ღრუბლით დაღბობა... თხილის ბუჩქებში შემალული ჩემი ბაღლობა...



მაინც მზისა და მთვარის გაყრა დაის - სისხამით... და ხნულში თესლის გაღვივება თბილი ისხარით... ეს გაზაფხული - მოფრენა და ისევ გაფრენა, მაინც: ტკივილი, სიყვარული, ცრემლი - სამფერა...

**ჩემი სუნთქვა - ზურგის ქარად**

ჩემი სუნთქვა - ზურგის ქარად, ჩემი ცრემლი - მინის სიღობად და მზე, როგორც დედო-ზარი ანდა დედის კალთის სითბო...

სიყვარული - გულის ნამლად, ია-ია - თვალის ჩინად... ღრუბელს ჰკითხეთ (მე რომ წავალ) ქვეყნად რისთვის გამაჩინა?..

შენ რომ ტირი, ნეკნი მტკივა და შენს გამო უფალს ვმადლი, მთვარის ტოტზე ჩუმად ვიზარ, მეფერება მთვარე ბადრი.

მე გაფრენას ახლა ვსწავლობ და ჩიტები იციინან, გაზაფხული ისე გალობს თითქოს სულ არ მიძინია.

**ნაშრომი ფართო მკითხველსაც დაინტერესებს**



მრავალ სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტშია გახსნილი, ყოველწლიურად ჟურნალისტიკის დიპლომით ასეულობით ახალგაზრდა ემატება მედიასივრცეს, თუმცა მათი პროფესიონალიზმი შორს არის სასურველისგან.

იმედს გამოვთქვამ, რომ ხსენებული ნაშრომი საჭირო სამსახურს გაუნეწებს არა მხოლოდ სტუდენტს, არამედ პრაქტიკოს ჟურნალისტებსაც და ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ დაოსტატებას.

ნიგნში გაშუქებულია ჟურნალისტიკის განვითარების გზა „ზეპირი გაზეთიდან“, ანუ ინფორმაციის გავრცელების უძველესი ფორმიდან მოყოლებული თანამედროვე ინტერნეტმედიაზე. ამასთან, ნაშრომში დინამიკაშია წარმოდგენილი ქართული ჟურნალისტიკის ევოლუციაც პირველი ქართული გაზეთიდან დაწყებული უახლესი მასმედიის ფართო სპექტრის ჩათვლით.

ტერმინი ჟურნალისტიკა თავდაპირველად მხოლოდ ნაბეჭდ პერიოდულ გამოცემებს აღნიშნავდა, შემდგომში ცნების შინაარსი გაფართოვდა და მან კომუნიკაციის სხვა სფეროებშიც მოიცვა, მათ შორის სამაუწყებლო მედია — რადიო, ტელევიზია და ინტერნეტი. შესაბამისად, დღეს ჟურნალისტიკაში მომუშავე ადამიანს, პირველ რიგში კი ჟურნალისტს, არა მხოლოდ გამართული წერა და მეტყველება მოეთხოვება, არამედ ვიზუალური აზროვნება და სხვა ისეთი უნარების დაუფლება, რომლებიც აუცილებელია ახალ მედია სამყაროში წარმატებული საქმიანობისთვის.

ნიგნი ჟურნალიზმის ყველა დარგს აერთიანებს და თემატურად მრავალფეროვანია. იგივე ითქმის ამ ტრეადი ნაშრომის ინფორმაციულობაზეც: ფართოდ არის გათვალისწინებული ქართულ, რუსულ,

ფრანგულ და ინგლისურ ენებზე არსებული უახლესი სპეციალური ლიტერატურისა და ინტერნეტმედიის მონაცემები.

თანამედროვე ჟურნალისტიკა აღარ არის მარტო ინფორმაციის მოძიება და გავრცელება, იგი იმავდროულად ინდუსტრიაც გახლავთ და ბიზნესიც. ახალმა რეალობამ ჟურნალისტიკის პროფესიაზე ტრადიციული წარმოდგენაც შეცვალა. მიუხედავად ამისა, ჩვენს საზოგადოებაში ჟურნალისტიკა ძველებურად მაინც ინფორმირების საშუალებად აღიქმება, მაშინ, როდესაც დემოკრატიულ სახელმწიფოებში მას „საზოგადოებრივი გუშაგის“ უაღრესად საპასუხისმგებლო ფუნქციაც აკისრია, რაც ხელისუფლების სხვადასხვა შტოს (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) სოციალურ კონტროლში მდგომარეობს (აქედან — გამოთქმა „მეთხე ხელისუფლება“). ჟურნალისტიკა არა მარტო გამოხატავს საზოგადოებრივ აზრს, არამედ მისი ფორმირების მძლავრი საშუალებაც არის. აზრის თავისუფალი გამოხატვა ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, კონსტიტუციითაა უზრუნველყოფილი. ეს პრობლემატიკა საფუძვლიანად განმარტებულია ნიგნში, რომელშიც ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ჟურნალისტიკის ეთიკის, იმიჯის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სხვა თეორიულ თუ პრაქტიკულ საკითხებს.

ცნობილია და ნაშრომშიც აღნიშნულია, რომ მედიის თავისუფლების ხარისხი ქვეყნის დემოკრატიულობის ბარომეტრად მიიჩნევა. ხაზგასმულია ისიც, რომ სიტყვის თავისუფლება აზრთა სხვადასხვაობას და განსხვავებული მოსაზრებების პატივისცემასაც ნიშნავს. სიტყვის თავისუფლებასთან შეხამებული უნდა იყოს ჟურნალისტიკის პასუხისმგებლობაც, განსაკუთრებით ტე-

ლემედიაში, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს მოქალაქეთა განწყობებზე და მნიშვნელოვანწილად აყალიბებს მათ შეხედულებებს, ორიენტირებსა და კოლექტიურ ცნობიერებას.

მოსაწონია, რომ ავტორები არ ერიდებიან თანამედროვე ქართული საინფორმაციო საშუალებების მუშაობის კრიტიკულ ანალიზს. ნაშრომში სავესებით სამართლიანად არის მითითებული, რომ ბოლო წლების საქართველოში დემოკრატიულ ფასეულობებზე ორიენტირებული მედია კი არ ჩამოყალიბდა, არამედ ის ხელისუფლებას შეეზარდა (გვ. 103).

წინამდებარე ტექსტი არ არის რეცენზია. იგი გამომხატურება, ამ ნაშრომის გამოცემით გამოწვეული ავტორის კმაყოფილების გამოხატვა უფროა და მიზნად არ ისახავს მის სიღრმისეულ ანალიზს. აქვე მინდა აღვნიშნო შემდეგიც: ნიგნში მასალა ზოგადად სწორი პრინციპითაა განლაგებული — ქართული გამოცდილება ორგანულად არის ჩასმული საერთაშორისო კონტექსტში, მაგრამ ეს წესი ვერ დაუცავთ ისეთ პარაგრაფებში, რომლებიც სიტყვის თავისუფლების ისტორიულ ასპექტებსა და ცენზურას შეეხება. დაეძინ იმასაც, რომ ნაშრომი დაზღვეული არ არის ამა თუ იმ ისტორიულ თარიღსა და გვართან დაკავშირებული, ასევე ზოგიერთი ტერმინოლოგიური უზუსტობისგან, რაც აუცილებელია გასწორდეს მეორე გამოცემისას.

დაბოლოს, ვულოცავ ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებს, და არა მხოლოდ მათ, საჭირო და ორიგინალური ნიგნის გამოცემას, ხოლო ავტორებს წარმატებას ვუსურვებ შემდგომ საქმიანობაში.

ოთარ ჯანელიძე

ხანდახან ხდება, შუადღეზე დგება განწყობა, რაშიც უკვალოდ იკარგება ცნობიერება. გაშტერებული სახით უმზერ ნერტილს ჰაერში, სადმე წიგნში, ან სახურავზე... ამოვარდნილი დღევანდელი ქუჩის ჩარჩოდან მაღლა მიიწევი... სინათლესავით აშკარავდება თაღებს შორის მოქცეული აივნების მსოფლიო სევდა... ფილოსოფიურ მოსაზრებათა გადაკვეთის უსხეულო ადგილი გტკივა... ლაქაშია გალურსული მოსაწყენი სამკუთხედებით... გამკრთალებული შორი მიწიდან. ვარსკვლავებიდან, ზღვათა სიღრმიდან, ლურჯად მცურავი დავიწყებიდან ამოკრთი სულო, მეტეოროვით და გადმოქროლე უსაზღვროება, დროთა აჩრდილი...

იგივე გზაზე, მიმქრალ მზეში, ზვის ტოტებზე უსხეულოდ განფენილი იგივე სული. უკვე დაკარგულ სიტყვებს ვეძახი, დამიბრუნონ ის მიწაარსი. იმ ნისლში ჩამდგარს, სურვილი მაქვს, ერთად ვიფრინოთ, წელი ცხოველის შორი ზმუილით ჩავუღრმავდე ხავსიანი ტბების სიმუქეს. იქ, მთების თავზე, კვლავ დაბადების სიხარულით ათრთოლებულნი, გრილ ნესტოებში წვეთებივით შევუძვრებით, გვსმის, ერთმანეთს.

ცივი ზამთრით დაბინდული ჩვენი გონება ხედავდა წყალში ჩაპირქვავებულ გაბურძნულ ხეებს, მწვანე თევზების მოციხფრო კოპებს, რქოვანებით შემოსაღებულ მძინარე შუბლებს, უზარმაზარი მოფარფატი გვიმრების ჩრდილებს.

დაფდაფის ხმაში ბარბაცებს მიწა, მერე ფოთლები მოგვყარა კუდიტ რაღაცამ, შოლტივით ბრუნავს, სივრცეს სერავს, მოყვითალო ხერხივით მჭრელი, ფეხიდან-ფეხზე გადადის რწევით. გველგზნება გულზე საძულველად შემართული ძველი გარემო... იგივე გზაზე იგივე სული. ჩემი ხელით ამოტეხილ საფეხურებს ვცნობ, დარტყმების ექოც მოდის აშკარად. გამოქვაბულშიც უძგერს გული ალბათ ვიღაცას. უახლოვდები, ცეცხლში ყრია ლოკოკინები. ქვევით ნაყავენ მაგარ ზურგებს, მშვიდი ზარია. მორიც ზრიალებს ჭერში გაჩრილი, შეღებილი ღვთაება აქონლის მკერდის, დარტყმებისგან ლურჯდებიან მათი ხელები. ხორცის ლპობისგან იჟღინთება, მძიმდება მიწა. კერის გარშემო სართულებად დაუწყვიათ დამწვარი ძვლები. მუხლებზე დგანან, ცეცხლს ითვისებენ ნითელი ტვინით... მცხინვარე ეშვი დანახა ხნიერმა ქალმა, ხელი დასტაცა, ალში შეიჭრა სოლივით სწორი, მართალი ძალით, ახალ სამკაულს დანახშირებულ თითთან ერთად აუდის კვამლი. ის მარტივია და არც ცხოველზე გემრიელია ცხიმისგან გაპოხილი, გაშლილი თმებით. ქვასავით უტყვი სახეებით ახმაურდნენ დანარჩენები. დარღვეულია წრეზე სრბოლის თემობრივი „გეომეტრია“.

კვეთავს კლდის ქიმი ქარში სიმღერას და შეისერის სტვენასავით გამოქვაბულში... ტყორცნიან ისარს, ნადირობენ, იჭრება ზღუდე, იდრიკება უხეში ტყავი, თუ დააცდენენ, ქვას ქვა არ ტკივა. კაჟის ატყეჩილ, ნამახული პირით მთელი დღე ჩეხეს ბებერი დათვი. ცეცხლში ჩაღვრილი ბლანტი სისხლი ბურთივით სკდება, დაწვრილი კი სურნელოვან მოგონებას ნელავდა ქაფით, ხმაში ისროდა წინა დღეების ნანადირევის ბუნდოვან ხსოვნას. გაატყავს და ანცვივრებთ კვლავაც თვალის სირბილის ამ სიმაგრეში, კუნთებში ჯდომა. სველი გორაობს, ალაპლაპებულ ნაპერსკლებში გამომწყვდეული, შუბლზე ახლჩილ ბალანიდან ჩამოუღამდა. გაშემშებულს ქვით უმტვრევენ ქარვისფერ კბილებს. შემოატანა დავის მწუხრის მონითალო გამჭვირვალეობამ, ენთება მიწის თითო ნერტილი, ემატება ხმები სიჩუმეს, ბევრდება დარტყმა, ალბათ ღამდება, წვეტიანი ფიჭვების ჩრდილიც ემატება მთათა სიმაღლეს. ახალ სინათლეს ამოისერის მწველი ცეცხლის ასხივოსნება, დაბლდება მუხლი, წევა მინაზე და იშლება ქარი კოჭებთან. მოწყენილი დგას მიტოვების უცვლელი შიში, წყლისკენ მოფორთხავს, გრილია წყალი. სამი ნაბიჯი შიგ შესვლის მერე ალაპრობინებს მკლავებს ზეცისკენ, კარგავს ფეხებს მუხლებების ქვემოთ, დაბრეცილები ქანაობენ, მოცახცახე რგოლებში დგანან, დანწინარებული მანძილებიც მოკაშკაშე ვარსკვლავებივით თავისთავს გვანან.

იქით კიდევ მიდიოდნენ, გორავდნენ ქვები. წვივდარეცილი ცელქი ბავშვიც ქვევით ჩარბოდა, ველარ გაცდა იქაურობას, ძალიან უნდა შორს გაიტყორცნოს ეს ქვა გრიალით. ახტა, დაეცა, ისევე ახტა მოგლიჯა ბუჩქი, გადახტა გვერდზე ჩქარი ტრიალით. იგივე ვნებით ხალისიანად მივექანებით ჩახერგილი მტვრიანი გზებით, წინ ბრუნვით ვთვრებით, ცაში შემოდის გამოლეული ნერტილივით შორი იმედი, სხვა გალაქტიკის ექოსავით ამოვარდნილი, ვინრო ხევიდან თხის ჯოგოვით შემომხტარი მეორე მხარეს. გათავისება უნდა სამყოფელს. ნეტა მოხვდეს თავის სანადელს. მოულოდნელმა წარმატებამ დააყვირა ჩამომგო-



რებელს, მიზანს მოხვდება თავის ნებაზე თავისუფლად დაშვებული ყველა სხეული სივრცეთა ბოლოს და, ეტყობა, უმიზნობაც მიზანი მიდის, ან უმიზნობა ხდება მიზანი... ათას წელს ველი დადუმებული პლანეტების უმორეს პასუხს, რაღაცა უნდა ნიშნავდეს რამე. ათასი წელი ეჯავგურება მოკლე შუბის წვერს გრძელი ტარიდან გამოსაძრობად ათასი წელი...

მერე სიჩუმემ დაისადგურა, ფიქრმა მოსწყვიტა ყოფის სიჩქარეს, ირმის ჯოგმა გადაირბინა სხვა მანძილში გადაიტყორცნა ახლა სიმძიმე, ამ ტანს ჰქონდა უკვე სხვა საქმე, რგოლში შექცეული ფიქრით გაძლომა, რგოლს ხედავდა არაფრისგან ნაღვლიანად ამომრგვალებულს, იმის სროლა მონივრად ნამოსაცმელად. უცხო რგოლში თავისას აძვრენს, ისმება მძივი, ითვლის უწყინარი რაოდენობას და ეცინება, ეს სიცილი გემრიელია. ყოფას დაუდგა ჯარასავით, წარმავლობამ აზბიკა ცერი, ჩარხავს დღეებს, კალიას ახმობს, ნახტომს ახსენებს, ზაფხულს ავგონებს გამოქვაბულში დარჩენილი ხმეის მარცვლი. ზედაპირების წამიერი გამოცხადებით ერთმანეთზე გადაბმული უამრავი ჭრელი გველივით გასრიალდა ათასი წელი. ხატავს კედლებზე, იმაზე ტოვებს თავისი ტანის პატივისცემის სუსტ გარდასახვას, სიბრბილი ჯდება და იჩვენება, თითქოს მიფრინავს გულისფართხალით ვარსკვლავებისკენ, სირბილის იქით. თვალმოჭუტული ცეცხლის პირას, ზღაპარივით ყვება რაღაცას. ენის ბორძიკით, ხელგებანვდილი მთვარესთან მიდის სალაპარაკოდ. ანგრევადა ხოლმე მისი ამოსვლა ტყავზე მძივივით წამოგებულ ცრუ წარმოკვლევებს, მოვარდისფრო ჩრდილებს აფრქვევდა, ოღონდ ნუგეში აკლდათ ამ ჩრდილებს. მტაცებელი ფრინველივით შეუშობლული უსახურობა დიდი ბურთივით ახლოვდებოდა გამომშრალი სილიანი გორების მხრიდან. სიმწვანეს წავადა, ღამეს აცლიდა ადამიანთა სიყვარულით, ვარსკვლავებიდან მონაბერი სიმშვიდის ტალღებს, წკრილის ხმაზე სიკვდილის ფენა მოარღვევდა მოუთმენლობას, ცოტას აძლევდა, ბევრს იღებდა სამაგიეროდ. აკივლებდა, აძლიერებდა ცეცხლში ცეცხლის ხმას, ვინროვებოდა სიცოცხლის არე, ცხელ ქაბებს ურტყამდნენ შემოსასვლელში სხადისწეროდ, ცისფერ შუქივით გაჩრილ ლოლუებს, მურიან წყალს ისვამდნენ შუბლზე, ლოცუ-

ლობდნენ გადარჩენისთვის.

ვერ მარხავდნენ მიცვალბულებს, ითხერებოდნენ, სისხლში ცურავდნენ, ვიდრე ნათელს არ მოიხსნიდა ჩრდილოეთიდან მოციაგე თეთრი კოსმოსი...

კისერს უნდოდა, ძილის მერე თავი მიედო რბილ ბალახზე, ის ნაზამთრალი ლაქები რომ ჩაებნიდა მსუყე მიწაში, გადამძვრალი თავზე მძივივით. უკვე შექცეული სძინებოდა ყველაფერში დაკარგულის უგონო ძილით... თუ შებინდდა განმარტოებით წყალზე ვერ მიდის, ბნელია ფიქრის ყოველი ტოტი, საცხე და შრიალებს გაზაფხულის ყველა ფოთოლი. ქარი არ წყდება, ათასი წელი ის გრძელდება და უსასრულო

კახა დევდარიანი



გვირგვინებით შემოგარენი, ერთი ტოტი ათი მბრძანებლის შუბლს შემოსავდა, ნედლ ყვავილებს იხმობენ თავზე. ბრუნავს ბორბალი ყოველდღიურად, კვერცხის ფორმით გვიახლოვდება, ნისლეულთა სიმძიმისგან გაბზარული, სისხლიანი: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა...

მარადიული ხარაჩოდან მის ფეხებთან ცვივა ნაფოტი... ტაძარს ვაშენებთ ათასი წელი... ხელით აკრიფა კენჭებიდან უფერულად მტკივნეული სულის წვეთები, დაიხარა, შეუბერა მიწაზე ნაყოფს და აიკრიფნენ, აშრიალდნენ ისევე ხეები...

ეს გზა რამდენჯერ ჩამოხველდა, რამდენი კენჭი გადასკდება შენს მოლოდინში, რამდენი სულის მოშადება მოგინებს კიდევ. იქნებ არასდროს აღარ გაივლი დაჭიშული ფეხის წვერებით ოქროსფერი კლდეების თავზე, სამი ეგ ქვა გულზე მახია, მაგით დამიხსნი, ალბათ შენთან მცირედან მოვალ, მცირეში მოვალ ერთადერთი ვინრო ბილიკით. თუ გავიზრდები, დამენახვე, მთის სოფელში მაინც ჩამოდი, მაგ ღრუბლებშიც ეგება, გცივა, იმედინად მოგვაცხუე იქნებ ეგება. სხვანაირად ვსაუბრობთ უკვე, მჭევრმეტყველებს უბრალო ძალით, საშიშიც გახდი. ბინდი გახლავს, ბინდში გვაყოვნებ და ამ ბინდს ცვლი დაუსრულებლად... გვიახლოვდება ნისლეულთა გაულწეველი სიმძიმისგან გამოჭედილი ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა... რეკენ ზარები და მარადიულ ხარაჩოდან მის ფეხებთან სცივია ნაფოტი...

იმდენ ხანს მიდის წყნარი ზღაპარი, სიხარული ღამის გათავდეს, შემობრუნებას სიხარულისგან ჰქვია ცხოვრება. ზურგის შექცევას, მდორედ ყოფნას — ბედნიერება...

ის ხომ სიკვდილზე იცინოდა, სიკვდილთ შორის ერთი სიცოცხლე — ამას იქით ვაცივებდა არ შეგვიძლია, სახე ვერ უძლებს ღვთიური ძალით შემოგარენის გამონათებას, რა გაუძლებს ცის კამარებში ფეხდაფეხ ნანწალს. ბალახის ხმაზე ვარსკვლავებში გიერთდები კიდევ ახლიდან. არ იციან, საით მიდიან, რამდენი ხანი მიაბიჯებენ, ან რომელ სურვილს აედევნები, სურვილები მომდინარეობს, ან ცალცალკეა და თითოს მოკვლას, დავიწყებას ხოლმე დრო უნდა. „ეპოქები“ მონაცვლეობენ ქიმიურად გამყარებული გემოვნების დაზოლილი შუალედებით, სითბოს ხელაა იმ ფენებში ჩაგლესილი დამზრალი ცეცხლიც, მისი ალიც ოცენება სადღაც არავის, ჩაჭყურებ მიწას დანყნარებული და შენში ხედავ სხვების არაფერს...

... ჩვენც დროს ვანელებთ, შორ ხილვათა ამ ურჩხულის მრისხანებით გაბრეცილ ზურგზე, იქ, სადაც ოჯახს პირობითად საზღვრავს კედელი და თაროებზე შემოწყობილი, გაუმყლავნებელი ფირებივით გვიძინავს სახლებში, ამ ოთხკუთხედ ფანჯრებიან გამოქვაბულში...

იგივე გზაზე, ნისლოვანად განფენილი იგივე სული სხვა სულებს, ადრე ჩაძირულ დიდი ხომალდის დახვასებულ ალმებივით აშრიალებულთ...

დაბადებას ხოლმე დრო უნდა... ან უაზრობა ხდება მიზანი და უაზრობაც თავის თავში გაბნეული კოსმოსივით მიჰქრის მიზანში... ■

# ნ ა უ რ ჯ ა თ ე ვ ი

ქველი რვაულიდან

## საჯაყი ავტოპორტრეტი

თვითონვე არის მომწყობი  
თახსირულ ინტერვიუთა,  
კითხვაც მისია, პასუხიც —  
ქე დაიხატა იუდა.

## შეფუცხუნებული არაკაცი

სამარცხვინო გამოდექ,  
ნათელია და ცხადი,  
მუჩუჩი და ჩუჩა ხარ,  
დაიჩირე, დაცხავდი.

სასახლეებს თხოულობ,  
არა ღირხარ ფაცხადაც,  
ფაცხა-ფუცხით მავალო,  
ყველაფერი გაცხადდა.

## დაჩაჩანაკებული წუპაკი

ოთხმოც წლისთავს მიბჯენილი,  
თახსირობას რახან არ თმობ,  
შენს რახუნს და შენს კაცობას  
ვირმა გაკრა გარდი-გარდმო.

## ზოგიერთების გასაგონად

განცხრომა, კაი ცხოვრება  
თუმცაღა ბევრს ენატრება —  
უხერხულია ფულისთვის  
ყველაფრის ჭამა, კადრება.

## ბანქოთი მოამაყე არაკაცუნა

პოკერს მე არ ვთამაშობ,  
თავს არ ვიკლავ კარტისთვის,  
ვირის ნანყლს — შენნაირი  
პოეტ-ავანგარდისტი.

## გამორჩენაზე ყურებდაცქვეტილი

ჰაერსაც წამლავს, ისე აშმორდა,  
სხეული მისი ეშმას გარსია,  
რაც რო გამოძვრა დედის საშოდან,  
ბილნი, მას მერე საშოვარზეა.

## გადანყვეტილება

სახარებას რომ ჩაზეხდე,  
მათე ვარჩიე მე ლუკას,  
თავს წავანყვეტიდი, უცილოდ,  
ერთ კაცის გლახას, გველუკას.

## გაცვეთილი გაიძვერა

პირწმინდად ხარ კობრასა და  
მაიმუნის ნაზავი —  
გასაპუტო ლილიპუტო,  
გაყიდულო თხასავით.

## ვაი-ყურნალისტები

ეფიქრობ, რად მოვიხსენიო —  
წუმპედ, ჭაობად თუ ბლეფად —  
„ყვითელი პრესა“, თავს რომ თვლის  
„მეოთხე ხელისუფლებად“.

## ვითომ რესპუბლიკა

სად შეხვდებით სხვაგან ამდენ  
ტვინდახურულს, კარჩაკეტილს,  
ეს ქვეყანა აღარაა,  
უნდა ერქვას ფარჩაკეთი.

## კანჭებასაჭრელებელ მეკენჭეს

(„გაიძვერა მოყვარეს“)  
შენ როგორ უნდა ახსენო  
დიდგორი ანდა სამშვილდე;  
გაგინყრა ღმერთი, ვერ გითხარ:  
„დაფიქრდი, სანამ წამშლიდე!“

გაბრძელება იძნება

## უსაშველოდ შეგეშალა!

არც იფიქრო, წუპაკო,  
მსუყეს მოხდი ნაღებს;  
ეგ სიმუხთლე, ღალატი —  
უფრო გაგაგლახებს.

## ბოროტის ბუნება

ლამობ, სიკეთის შხამი მიაგო,  
წუპაკო, ფლიდო და მანიაკო,  
იაგოების სიმრავლეს წუხდი,  
თავად ყოფილხარ ასგ ზის იაგო.

## რა აღარ გვჭირს

ამ ქვეყანას, გაკოტრებულს,  
ვერ უშველის, ვერა, კობა;  
ბოლოს გვიღებს უპირობა,  
მტაცებლობა, ვერაგობა.

## შემჩნეულია

(ვაი-ავანგარდისტები)  
ვერ უცვნიათ ძირი, ფესვი,  
ნეტავ ასე რად იცინან?  
ტინგიცებს და უნიჭოებს  
არად უღირთ ტრადიცია.

## დასაწყევარი

ვილვეი ისე, სტრიქონ-სტრიქონად,  
ვაი, მამულო, ამ დღის შესწრებას;  
სული გავარდეს, ვინც მოიგონა —  
ეს გაყინვა და გასეკვესტრება.

## მუქთამჭამელი

მიზანი, გეგმა გაქვს თვალსაჩინო —  
არას შემქმნელი, სხვებმა გარჩინონ.

## გაიძვერა მოგებულია

ლექსებს ვებჭდავ, ჩემს ოქროში,  
ვერ ავიღე ფარა-გროში;  
აგერ, აქვე, თავის მთხლეში,  
გააკეთა ერთმა „ფლეში“.

## დაბერებული ავკაცი

ვინ ჩამოთვალოს, რამდენი  
„იღვანა“ და იფულავა;  
ახლა „საბავშვო ფონდს“ წუნის —  
წუნკი ბერიანულავა.

## „დაწყვეტილი პოეტები“

თავი გიჟურ ოცნებით  
გამოითაყვანეს  
და აბზინდას ნახარში — სვეს აბსენტი მწვანე...  
ფიქრობ, ამას არ იქმდენ —  
არც მონე, არც — მანე.

## მთანმინდა ეზმანება, ნამეტანია!

მთხლეს ასაღებს ბრილიანტად,  
თითქოს გვეკრას თვალზე ბისტი;  
გალაკტიონს ეზომება —  
ეს მამალი აფერისტი.

## უჯიშო ფაფხურა

კაცი კი არა, შენა ხარ ხინვი,  
ვითომ მედგარი და ვითომ ფიცხი,  
ემშაკის თესლო, არც-რა შეგცვლიდა,  
ცრუ და ბოროტი იყავი მიწყვი,  
ისეც მოთხრილო, არ მინდა, გითხრა:  
დაიწვას შენი გაჩენის რიცხვი.

## წურბელები

თავზე გვაზის და დაგვცინის —  
გროვა, ხროვა მასხარათა;

რა ვთქვა მისი, ვინც ეს ყოფა  
ასე გაამასკარადა.

## სიზმარსა და ცხადში

ცხოვრება არი წუსხა და სია,  
ამდენი ტანჯვა რამ დამასია?!  
მესიზმრა, ხუთი ლარილა მედო,  
გამოვიღვიძე... მართლაც მასეა.

## ენის და თავის გასატეხი

(მცირე სავარჯიშო)  
ჭორიკანა ტარიკანა,  
სატყვიე ხარ, არა განა?  
მანაკი ხარ, მანუკი ხარ,  
შხამიანი ტარაკანა.

## ვითომ ამერიკელობა ჯობდეს

კვლავ ტრიალებს კარუსელი,  
კვლავ შიში გვკლავს გარუსების.

## ხელობა

კუბოს გაგითლი სხვარიგად,  
იცოდე, შენთვის ვდურგლობ,  
პრეზერვატივთა ბარიგავ,  
აშმორებულო კურკლო!

## ეროვნული მოწოდება

ხელში ყველამ დავიჭიროთ თითო კეტი,  
ღრანტი, ხრამი მეჩვენება მეც ველობად.  
რის დანდობა, მო, დავლენოთ ერთმანეთი,  
საქართველოს გადაარჩენს მღენველობა!

## გვიანდელი მინანური ერთ ადრინდელ მაიმიტურ ლექსზე

თურმე ახმობს რა ცოფი,  
დასთრევს კეთრის იარა;  
სულგასაცხებს კაცობის,  
მადლის არა სცხია-რა.

## შავების შემგროვებელი

რად უნდა ამას ფიცი და ხატი,  
გველურმა ქცევამ, შენმა დახურა;  
ცუქცუქავ, ბოლოს ხომ გახდა ცხადი —  
გიმუშავნია რა ჩათლახურად.

## ნახერხით გატენილი ტიკინა

დედ-მამის სული თვით შეიგინა,  
ხმალიც არა აქვს, გატყდეს ვადაში,  
გველო, პამპულავ, ძველო ტიკინავ,  
შენს წიგნს არცაროს აღარ გადავშლი.

## დაკნაჭული მეკენჭე

შენდარს რა უნდა უშველოს —  
ქრისტემ, ბუდამ და ალაჰმა;  
ვისაც გსურს, იმას შეტენე,  
ბანძო, ბინძური მყარალა ხმა.

## უფლებააყრილი

რითი გინდა, შეებრძოლო,  
ამ ცხოვრებას მურდალს —  
ზოგი კეცავს დოლარებს და  
ზოგიც ითვლის ხურდას.  
ნურვინ მკითხავს, თუ სად არი  
იგი, რაც მე მსურდა.

## ხელმრუდენი

ბაირამობენ გაიძვერანი,  
დაისაკუთრეს მთელი „მერანი“.

კუტა ფორია



გივი ბერია დაიბადა 1937 წლის 10 ნოემბერს ზუგდიდის რაიონში. 1956 წელს დაამთავრა სოფელ დარჩელის საშუალო სკოლა, ხოლო 1961-1966 წლებში სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ფურნალისტიკის განხრით. სხვადასხვა დროს გივი ბერია მუშაობდა გულრიფშის რაიონულ გაზეთში („დროშა“), „საბჭოთა აფხაზეთში“, იყო საქტელერადიოს კორესპონდენტი აფხაზეთის რეგიონში, ასევე — აფხაზეთის ბეჭდვითი სიტყვის სამმართველოს ქართული გამოცემის მთავარი რედაქტორი...

საქართველოს მწერალთა კავშირში პოეტი 1979 წელს გაწევრიანდა.

დევნილობაში მყოფი გივი ბერია 1994 წლიდან 2010 წლამდე იყო ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ჟურნალის მთავარი რედაქტორი. სწორედ ამ პერიოდში ჟურნალმა „რინაშ“ ბევრი ფუნქცია იტვირთა, მათ შორის პრიორიტეტული იყო ქართველ და აფხაზ მწერალთა, ხელოვანთა შორის ურთიერთდობის აღდგენა, ასევე მკითხველთა ინფორმირება ამ ორი მოძმე ხალხის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ჟურნალ „რინაში“ ქვეყნდებოდა როგორც ქართველი, ასევე აფხაზი მწერლების მხატვრული ნა-

წარმოებები და ეს ფაქტი არც ერთ მხარეს გულგრილს არ ტოვებდა, რაც ხშირად მკითხველის ემოციურ, ადეკვატურ გამომხატურებებში ვლინდებოდა.

1993 წლიდან გივი ბერია აქტიურად იყო ჩართული სოხუმის უნივერსიტეტის საქმიანობაში. სტუდენტებს (არამარტო აფხაზეთიდან დევნილებს) წლების განმავლობაში უკითხავდა ანტიკური ლიტერატურის კურსს. ახალგაზრდებთან თანამშრომლობა მისთვის საინტერესო და სტიმულის მიმცემი გახლდათ, რაც გამოძახილს ჰპოვებდა მის ბოლოდროინდელ შემოქმედებაში, იმ დახვეწილი გემოვნებით შემოთავაზებულ ლექსებში, რომელსაც პოეტი სისტემატურად აქვეყნებდა ლიტერატურულ პრესაში და სცემდა კრებულების სახით.

გივი ბერია არის ათეულობით წიგნის ავტორი. პოეზიის მოყვარულთა წიგნის თაროებს ამშვენებს პოეტის ლექსების კრებულები: „პირველი თოვლი“, „სიმშვიდე“, „მგრძობიარე გულის ბაღადა“, „ისფერ ბინდში ნათქვამი“, „მეშვიდე სტრიქონი“, „ელვის ვარდები“, „ნოსტალგიური“, „ხსოვნის მირაჟები“, „სხვა განზომილება“, „ტალღის ანაბეჭდები“...

გივი ბერიას კალამს ეკუთვნის ასევე სამეცნიერო ნაშრომი „პოეტი, ლექსი, ლექსპერიმენტი“.

1999 წელს კრებულისთვის „ხსოვნის მირაჟები“ პოეტს მიენიჭა გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია.

ქართველ ინტელიგენციას დიდხანს ემახსოვრება ქართველი პოეტი და უანგარო ადამიანი გივი ბერია.

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირი**

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირი**  
ღრმა მწუხარებით იწყებთან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი, გ. შარვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალ „რინაშ“ ყოფილი მთავარი რედაქტორი **გივი ბერია** და თანაგრძობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სიყვარულის მორფოლოგიური სტრუქტურა**

„სი“, ვიცი, რომ ნოტს აღნიშნავს, ვიცი „ყვა“ და ვიცი „რულიც“, თუმც არ ვიცი, თუ რას ნიშნავს თვითონ სიტყვა „სიყ-ვა-რული“.

**წარწერები ღობა-ყორაზე**

ბრძოლით, სისხლით, თავდადებით შევირჩინეთ გეორგია. დღესაც კლდედ თუ არ დავდგებით, შეგვრჩება გვი-ორგია.

**ქარნაღებული**

იუსტიციის სახლი დააზიანა ქარმა — ძიება ფსევდოახლის, მილიონები არმად.

**აკვიატებული კუპლეტი**

ვფიქრობ, და... ვფიქრობ, თუ რატომ ვფიქრობ და ვერ მივმხვდარვარ, თუ რატომ ვფიქრობ. თუმცადა ვიცი, თუ რაზე ვფიქრობ ვფიქრობ იმაზე, თუ რატომ ვფიქრობ.

● მიშა, რაკი შენ თვითონვე თქვი, რომ ხალხი გადაგვალე, მოდი, მაშინ ნუ ჩამოხვალ, დასვენება დაგვაცალე, ტაიმ-აუტი აილე, რითაც დიდად დაგვავალე.

● პური გახდა კვაზი-პური, მარილი — კვაზი-მარილი, ამიტომაც ძველებური აღარ არის პურ-მარილი.

**უტოპიური კოაბიტაცია**

თავს იკლავს, ოღონდ საქმე გაკეთდეს საპარლამენტო უმრავლესობა. ჭიპზე სკდება, რომ საქმე გაჩერდეს, საპარლამენტო უმცირესობა.

**ტურიზმის შუქ-ჩრდილი**

რომ გვეგონა, გვეწვეოდნენ ხელგამლილი ტურისტები, თურმე მეტწილად გვსტუმრობდნენ ჩვენ სულ ავანტიურისტები.

**„ატჩაიანი მარუსას“ მოტივზე**

უსინდისო ექიმმა რომ ჩამიგდო ხელში, აფთიაქებს შეპირდა ჩემს გაფცქვნას ორ დღეში. დამინიშნა ზედმეტად იმდენი ნამლები: ყველას ყიდვის შედეგად დამედო ვალები.

● იყო მიშა მავნებელი, იყო მიშათმშენებლობა. იყო მიშა მწამებელი, იყო მიშათმწამებლობა...

**ირაკლი ბუნიაშვილი**

**აკაკისეზურად**

უჭმელ-უსმელ ჩვენს სამართალს ბედი აღარ უნერია, ბნელ ღამეში ურმით დადის, ბეჩავეს ძილიც მოერია. მაგრამ არა, მოვა დრო და სამართალი გარიჟრაჟზე გაიღვიძებს, პურს შეჭამს და გადაჯდება თვის თეთრ რაშზე.

**პარლამენტი აგვაცვავებს**

პარლამენტის გადატანით თუ აყვავდა ქუთაისი, მაშინ, მოდით, ავაცვავოთ იმავე გზით თუნდ დმანისი.

**სასიყვარულო სკერცო**

ვინც მიყვარობდა, არ მიყვარდა ვინც მიყვარდა, არ ვუყვარდი, უქმროდ დარჩნენ ქალები და მეც უცოლოდ გადაგვარდი.

● დავსვით კითხვა: ორ ხიდს შორის კიდეც ხიდი საჭიროა? „რა ჭირად მინდა“-ს სანაცვლოდ ვიტყვი მოკლედ: საჭიროა!

**მკითხველთა საყურადღებოდ!**

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქარესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრეს-

ქსარესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.**

**რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**ძვირფასო ავტორებო!**

**რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღმატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!**

დაბეჭდილია შპს „ასავალ დასავალის სტამბაში“  
მისამართი: თბილისი, აგლაძის ქ. 39  
ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი  
**თამაზ ნივნივაძე**



გაზეთი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

თავისუფლების მოედანი №4  
E-mail: litsaqaartvelo@yahoo.com  
ტელ.: 292 34 89

**გამოდის პარასკეობით**